

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2010, №4

პ ე ნ ს ი ე ბ ი
და
კ ო მ პ ე ნ ს ა ც ი ე ბ ი

- დევნილებისათვის შემწეობის გაცემის დროის დადგენა
- ერთჯერადი დახმარების გაცემის წინაპირობები
- კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო
- კვების კომპენსაციის და წელთა ნამსახურების დანამატის ანაზღაურება
- მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნა
- მიუღებელი პენსიის მოთხოვნის ხანდაზმულობა
- პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება
- პოლიციელისათვის პენსიის დანიშვნა
- სამხედრო მოსამსახურისათვის ერთჯერადი დახმარება
- სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა
- სწავლის გამო დანიშნული პენსიის გაგრძელების საფუძველი
- უმწეო მდგომარეობის ოჯახისათვის დახმარების გაცემა
- ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირის დადგენა

**კვების კომპენსაციაზე უარი
ხანდაზმულობის გამო**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#-ბს-1034-997(23-08) 8 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 19 ივლისს დ. მ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 1996-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო კლინიკურ ჰოსპიტალში ზოგადი ქირურგიის განყოფილების უფროს მედდად, საიდანაც გათავისუფლდა 2007 წელს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სამხედრო კლინიკური ჰოსპიტალის რეორგანიზაციის გამო.

მოსარჩელის განმარტებით, სამსახურში მუშაობის დროს მიუღებელი დარჩა ხელფასი და ჯილდო -1280 ლარი, სანივთე ქონების კომპენსაცია -3550 ლარი და გამოუყენებელი შვებულება -710 ლარი, სულ -5540 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა სულ 5540 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა სახელფასი დავალიანების -1066,75 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება.

მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. მ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების -1066,75 ლარის, მათ შორის, ხელფასის -300,91 ლარის, კვების კომპენსაციის -480,33 ლარის, ფულადი ჯილდოს -221 ლარისა და მატერიალური დახმარების -64,51 ლარის, აგრეთვე, სანივთე ქონების კომპენსაციის -1939,79 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ მოსარჩელე, იმყოფებოდა რა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან -საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან, იგი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა მოხელეს, ხოლო "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად -სამხედრო მოსამსახურეს.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. უდავოა, რომ შრომის ანაზღაურების ნაწილში სამხედრო მოსამსახურეებზე უნდა გავრცელდეს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ნორმები; ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს; დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

რაც შეეხება ხანდაზმულობის საწლიან ვადას, აგრეთვე, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების გამო მოთხოვნის უფლებას, სასამართლოს მითითებით, ეს სამართლებრივი ინსტიტუტები შემოდებულია კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტით -საქართველოს სამოქალაქო კოდექს-

სით (მუხლი 129-ე) და მოქმედებს კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში, რასაც ნამდვილად არ განეკუთვნება მოსარჩელე დ. მ-შვილსა და ადმინისტრაციულ ორგანოს -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა; კერძოდ, უდავოა, რომ მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა როგორც სამხედრო მოსამსახურე და ეს ურთიერთობები რეგულირდება საჯარო სამართლის საკანონმდებლო აქტებით - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონებით, აგრეთვე, "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებით და "სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ" დებულებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის #609 ბრძანებულების შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადები შეეხება ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებს. მოსარჩელე დ. მ-შვილსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დადებული არ ყოფილა რაიმე სახის ხელშეკრულება, მათ შორის ურთიერთობა რეგულირდებოდა საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების -ბრძანებების მეშვეობით, ამიტომ განსახილველ სასარჩელო მოთხოვნაზე ვერ გავრცელდება სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლი განსაზღვრავს ურთიერთობათა იმ წრეს, რომელზედაც უნდა გავრცელდეს ამ კოდექსის ნორმები. კერძოდ, 1-ელ მუხლში განმარტებულია, რომ ეს კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. მოსარჩელე დ. მ-შვილსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული ურთიერთობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კერძო ხასიათის ზემოთ ჩამოთვლილ ურთიერთობათაგან რომელიმე სახის ურთიერთობად. პირიქით, დავის გამო დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთთან იმყოფებოდნენ საჯარო შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში.

"სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლებისათვის სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება.

სასამართლოს განმარტებით, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო ან/და მატერიალური დახმარება წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ ისეთ დანამატებს, რომლებზედაც მითითებულია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ელ პუნქტში და რომლებიც განიხილება საჯარო მოხელის შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) შემადგენელ ნაწილებად (ანუ ჯილდო და მატერიალური დახმარება წარმოადგენს კონკრეტული შინაარსის სამართლებრივ კატეგორიას -ხელფასს, ხელფასის შემადგენელ ნაწილს). ჯილდოსა და მატერიალური დახმარების, როგორც განსაზღვრული სამართლებრივი კატეგორიების, კერძოდ, ხელფასის შემადგენელი ნაწილების ბუნებას ვერ შეცვლის (სხვა სახის სამართლებრივ კატეგორიად ვერ ჩამოაყალიბებს) ის გარემოება, რომ ისინი გაიცემა პერიოდულად, თუნდაც -წელიწადში ერთხელ.

"სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით (ძველი რედაქციის) დადგენილია, რომ სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი არის ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტებისა, რომლებიც ახასიათებს სპეციფიკური შინაარსის საჯარო სამსახურს -სამხედრო სამსახურს; ამ კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი წარმოადგენს იმავე მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის პირდაპირ, უშუალო პრაქტიკულ გამოხატულებას; კერძოდ, მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს, რომ სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. ამ სამართლებრივი ნორმის საფუძველზე სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, თავად გაეწია ყველა აუცილებელი ხარჯი, თავად შეექმნა შესაბამისი პირობები სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეების შესანახად; სახელმწიფოს მიერ ამ ვალდებულების თავის თავზე დაკისრების პირობებში სამხედრო მოსამსახურე უნდა გათავისუფლდეს ყველა იმ ხარჯის გაწევის ვალდებულებისაგან, რომელიც აუცილებელია მისი, როგორც მოქალაქის და როგორც სამხედრო მოსამსახურის, შენახვისათვის.

ამასთან, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოსამსახურეს აქვს უფლებები და გარანტიები, მიი-

დოს თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და პირობები, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით მოსამსახურეთათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა დამატებითი უფლებები და გარანტიები - ასეთი ხასიათის დამატებითი უფლებები და გარანტიები სამხედრო მოსამსახურეთათვის მოცემულია სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით. სახელდობრ, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიას იძლევა სახელმწიფო, სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული პირობების გათვალისწინებით, სამხედრო მოსამსახურის სხვა დამატებითი სოციალური დაცვის გარანტიები კი განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება იმის შესახებ, რომ სადავო სამართალურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის ახალი რედაქცია. კერძოდ, ამ უკანასკნელის მე-3 პუნქტით დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია და ფორმის ტანსაცმელი. მუხლის ამ ნაწილმა ცვლილება განიცადა და ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 2007 წლის 11 მაისის საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე. საკანონმდებლო ცვლილება ძალაშია გამოქვეყნების დღიდან. უდავოა, რომ მოსარჩელე დ. მ-შვილი შეიარაღებული ძალების რიგებში მსახურობდა, საიდანაც დაითხოვეს (2007 წლის 20 მარტი) "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის ძველი რედაქციის მოქმედების პირობებში და დღეისათვის მოსარჩელე სწორედ ამ პერიოდში წარმოშობილ და შეუსრულებელ კანონისმიერ ვალდებულებებზე დაობს; სასამართლოს განმარტებით, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის ახალი რედაქცია ძველ ურთიერთობებზე არ უნდა გავრცელდეს, რადგან კანონის ახალ ნორმას არ აქვს მინიჭებული უკუქმედების ძალა. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს, რომ ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. უდავოა, რომ "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის არცერთი მუხლი არ შეიცავს დათქმას კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისთვის უკუძალის მინიჭების თაობაზე.

სასამართლოს მითითებით, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლი იმპერატიული ხასიათისაა, ამდენად, შრომითი გასამრჯელოს -ხელფასის, მათ შორის, ფულადი ჯილდოს, მატერიალური დახმარების, ასევე, სასურსათე ულუფისა და ფორმის ტანსაცმლის ან მათი ადეკვატური კომპენსაციის გაცემის ვალდებულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აკისრია კანონმდებლობის საფუძველზე, ანუ იგი ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულებაა, უფრო მეტიც, სამხედრო მოსამსახურეს მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში უნდა მიეცეს ზემოთ მითითებული დანამატები და ეს დანამატები გაიცემა იუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

სასამართლომ მოპასუხის არც ის არგუმენტი გაიზიარა, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელი ხელფასის მოთხოვნის ნაწილში წარდგენილი უნდა ყოფილიყო "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127.1 მუხლით დადგენილ ვადაში, იმ დღიდან, როდესაც ის გათავისუფლდა სამსახურიდან, ე.ი. გათავისუფლებიდან ერთი თვის ვადაში. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული კანონით მოწესრიგებულია საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა. სწორედ ამ კანონის 37-ე მუხლით დაეკისრა ადმინისტრაციულ ორგანოს ვალდებულება, გასცეს შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეზე, რათა შესრულებული სამუშაოსათვის მიიღოს ანაზღაურება, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი და საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს დაფინანსების შემცირების საფუძველი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლით საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

შრომის კანონთა კოდექსის (2006 წლის) 31-ე მუხლის მე-2 ნაწილით, შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, სამუშაო ადგილზე, ხოლო იმ დროს მოქმედი "შრომის კანონთა კოდექ-

სის" 81-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ხდება დროებლივად, 94-ე მუხლის პირველი პუნქტით ხელფასი გაიცემა ყოველი ნახევარი თვის შემდეგ მაინც, თუ შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ე.ი. ხელფასის გაიცემა დამსაქმებლის მიერ პერიოდულად შესრულებელი ვალდებულებაა.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127.1 მუხლით მოხელეს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე, მოქმედება.

აპელანტის მოსაზრებით, მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაეყენებინა იმ დღიდან ერთ თვეში, რაც დადგენილია ხელფასის გაცემის დღედ, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, სამ წელიწადში (როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების).

აპელანტის მითითებით, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილით, სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. სასურსათო ულუფა გაიცემა ყოველთვე ფულად სარგობთან ერთად, ხოლო ფორმის ტანსაცმელი წელიწადში ერთხელ.

ამდენად, აპელანტის განმარტებით, უდავოა, რომ ხელფასის, კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და სხვა მოთხოვნების გაცემა წარმოადგენდა პერიოდულ სახელშეკრულებო ვალდებულებას, რომელზეც ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, ხოლო ამ ვადის ათვლა, სსკ-ის 130-ე მუხლის შესაბამისად, იწყება იმ პერიოდიდან, როდესაც მოსარჩელეს უნდა მიეღო ხელფასი.

ამდენად, აპელანტის მითითებით, მოსარჩელის მოთხოვნა 1998-1999-2000 წლების სახელფასო დავლიანების თაობაზე ხანდაზმულია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების, სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების დაკისრების ნაწილის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 2004-2006 წლების სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის -1027,99 ლარის ანაზღაურება; ხოლო 2001-2003 წლების სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებაზე ეთქვა უარი, დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სამართლებრივ დასკვნებს ხელფასის, კვების კომპენსაციის, ჯილდოს და მატერიალური დახმარების ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე და დამატებით მიუთითა, რომ 1998 წლიდან ამოქმედდა "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონი, რომლითაც განსხვავებულ რეჟიმში მოექცა, ერთის მხრივ, ჯილდო და მატერიალური დახმარება და მეორეს მხრივ კვების კომპენსაცია. კანონის 12.2-ე მუხლი ითვალისწინებს წლის განმავლობაში სამხედრო მოსამსახურეთათვის ჯილდოს და/ან მატერიალური დახმარების დაწესების შესაძლებლობას, ხოლო 12.3-ე მუხლით გათვალისწინებულია სანივთე ქონების და სასურსათო ულუფის, ან მათი ფულადი კომპენსაციის გაცემის ვალდებულება. ჯილდო და მატერიალური დახმარება განხილულ უნდა იქნეს როგორც ხელფასზე დანამატი, რომლის დაწესების საკითხს წყვეტს ადმინისტრაცია "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 12.2-ე მუხლით მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში და უნდა მოექცეს ხელფასის ანაზღაურებისათვის დადგენილ სამართლებრივ რეჟიმში. სასურსათო ულუფის და ფორმის ტანსაცმლის საკომპენსაციო თანხა კი კომპენსაციის სახეს წარმოადგენს. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 134¹ მუხლით გათვალისწინებული, წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესი მათზე ვერ გავრცელდება. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს საჯარო მოხელეზე კუთვნილი თანხის გაცემას და მითითებული დათქმის თანახმად, იგი არ ეხება კომპენსაციებს. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, კვების და სანივთე ქონების კომპენსაციებზე, როგორც პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებაზე, უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

საპელაციო პალატის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებით, დადგენილია, რომ ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ 2007 წლის 20 სექტემბერსა და 8 ოქტომბერს, გაცემულ იქნა ცნობები მოსარჩელის სახელზე იმის თაობაზე, რომ მის მიმართ სახელფასო დავალიანება 1998-2000 წლებში შეადგენს 1066,75 ლარს. დავალიანება მოიცავს ხელფასს, კვების კომპენსაციას, ჯილდოს და მატერიალურ დახმარებას. ამ დოკუმენტით მოხდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დ. მ-შვილის მიმართ 1066,75 ლარის დავალიანების არსებობის დადასტურება. საპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მითითებული დოკუმენტის შინაარსზე. თავდაცვის სამინისტრო 2007 წელს გაცემული ცნობებით არ უარყოფს მოსარჩელის მიმართ დავალიანების გაცემის ვალდებულებას მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. უფრო მეტიც, კვლავ აღიარებს მოსარჩელის წინაშე იმ გარემოებას, რომ თავდაცვის სამინისტროს გააჩნია მისი კუთვნილი, ხელზე გასაცემი დავალიანება. აღნიშნული დოკუმენტით დადასტურდა, ერთი მხრივ, დ. მ-შვილის უფლება, მოითხოვოს მითითებული თანხა, ხოლო, მეორე მხრივ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვალდებულება -გასცეს აღნიშნული თანხა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 05.07.07 წლის წერილით ასევე დადგენილია, რომ მოპასუხე აღიარებს მოსარჩელის წინაშე სახელფასო დავალიანების არსებობას და გამოხატავს ნებას შესაბამისი წყაროს არსებობის შემთხვევაში კვლავ დაუბღუნდეს დავალიანების ანაზღაურების საკითხის განხილვას. აქვე მიუთითებს, რომ სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხები კრედიტორულ დავალიანებად არ დაფიქსირებულა და სამინისტრო მოკლებულია მისი გადახდის შესაძლებლობას. აღნიშნული წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ თავდაცვის სამინისტრო არ აღიარებს მხოლოდ სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების ვალდებულებას. კვების კომპენსაციას სამინისტრო თავად მოიაზრებს სახელფასო დავალიანებად (გაცემული ცნობებით სამინისტროს სახელფასო დავალიანებად მიიჩნევს 1066,75 ლარს, რაც კვების კომპენსაციასაც მოიცავს) და, მართალია, იგი არ შეადგენს ხელფასის კომპონენტს, მაგრამ იგი წარმოადგენს მოპასუხის მიერ მოსარჩელის წინაშე აღიარებულ ვალს, რადგან არ უარყოფს მისი გადახდის ვალდებულებას სანივთე კომპენსაციის მსგავსად.

საპელაციო პალატის მოსაზრებით, ესაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლით დადგენილი შემთხვევა, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შესრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულებისას მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარების და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართ.

საქმეში წარმოდგენილია წერილობითი მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელეს მისაღები აქვს 2001-2003 წლების სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხა -911,84 ლარი, ხოლო 2004-2006 წლების -1027 ლარი. აღნიშნული თანხის მოთხოვნით სარჩელი აღძრა 19.07.07წ. ამდენად, მას უნდა აუნაზღაურდეს სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხა სარჩელის აღძვრიდან სამი წლის უკანდახვეით, ანუ 2004-2006 წლის დავალიანება -1027 ლარი.

რაც შეეხება ადვოკატის ანაზღაურების მოთხოვნას, სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით. ამავე კოდექსის 53-ე მუხლი განსაზღვრავს ხარჯების განაწილების წესს მხარეთა შორის, რომლის თანახმად, წარმომადგენლის დახმარებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაძლებელია დაეკისროს მეორე მხარეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებში შედის ადვოკატისთვის სახელმწიფო სალაროდან გადახდილი თანხები. შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება სასამართლოს მიერ სახელმწიფოს ხარჯზე მოწვეული ადვოკატისთვის გადასახდელი თანხები, რის გამოც, მოსარჩელის მოთხოვნა წარმომადგენლის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და დ. მ-შვილმა.

კასატორი დ. მ-შვილი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილით სახელმწიფოს ეკისრება სამხედრო მოსამსახურის ფორმის ტანსაცმლით ან შესაბამისი კომპენსაციით უზრუნველყოფა. ადმინისტრაციულ სამართალში მატერიალური სამოქალაქო კოდექსის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ვინაიდან დ. მ-შვილსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული შრომითი ურთიერთობა წესრიგდებოდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რაც დადასტურებულია საქმეში არსებული დ. მ-შვილის თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებით, ფორმის ტანსაცმლის ფულადი თანხით კომპენსაციის ვალდებულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეკისრებოდა კანონით, რომელზეც არ ვრცელდება

ხანდაზმულობის ვადები. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ კანონისმიერ ვალდებულებებზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა.

გარდა ამისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მოსარჩელეს მისაღები აქვს 2001-2003 წლების სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხა 911,84 ლარის ოდენობით. მაშასადამე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აღიარებს, რომ გააჩნია მოსარჩელის მიმართ დავალიანება და შესაბამისად, სასამართლო, რომელიც კანონისმიერ ვალდებულებებზე ავრცელებს მატერიალურ სამოქალაქო ნორმებს და არ იყენებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს (რომლის თანახმად, თუ მოპასუხემ აღიარა ვალდებულება), ხანდაზმულობის ვადები ჩერდება.

კასატორის მითითებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სანივთე კომპენსაციის გაუცემლობა არის მოქმედება (რეალაქტი), რომელიც პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს დ. მშვილის კანონიერ უფლებებსა და თავისუფლებებს და გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლი. აღნიშნული მუხლით თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსით 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან. მაშასადამე, სადაო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმა და სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების 2001-2003 წლების სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

მეორე კასატორი -საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11.2 "თ" ქვეპუნქტით სამხედრო მოსამსახურეებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამდენად, ხელფასის არსა და მის შემადგენელ კომპონენტებზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს 1998-2000 წლებში მოქმედი "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის მოთხოვნები, ხოლო ამ კანონმდებლობაში განსხვავებული დებულებების არარსებობის შემთხვევაში, სადავო ურთიერთობა უნდა მოგვარდეს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის დებულებებით, კერძოდ, 37-ე მუხლით (1998-2000 წლების რედაქციით), მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფინანსურ გასაცემელს მიეცეს ხელფასზე დანამატის სტატუსი და ჩაითვალოს ხელფასის შემადგენელ ელემენტად, საჭიროა, ამ ფულად გასაცემელს (კვარტალური პრემია, კვების კომპენსაცია), კანონმდებლობის მიხედვით, ჰქონდეს "დანამატის" სტატუსი.

კასატორის განმარტებით, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტით (2000 წლამდე რედაქციით) სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლებისათვის სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება.

ამავე მუხლის მესამე პუნქტით -სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

ამავე მუხლის მესამე პუნქტით, ოფიცერს თანამდებობაზე ნამსახური კალენდარული წლების (მათ შორის, ყოფილი სსრკ-ის და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში) მიხედვით ეძლევა თანამდებობრივ და სამხედრო წოდებების ფულად სარგოებზე პროცენტული დანამატები ნამსახურობისათვის შემდეგი ოდენობით: 1-დან 2 წლამდე -5%; 2-დან 5 წლამდე -10%; 5-დან 10 წლამდე -20%; 10-დან 15 წლამდე -25%; 15-დან 20 წლამდე -40%; 30 წელზე მეტი -45%.

როგორც "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტიდან ირკვევა, "დანამატის" სტატუსი მინიჭებული აქვს მხოლოდ იმ თანხებს, რომლებიც დაიანგარიშება ნამსახური წლების მიხედვით. რაც შეეხება კვების კომპენსაციას, ჯილდოსა

და მატერიალურ დახმარებას, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე და მესამე პუნქტებიდან გამომდინარე, "დანამატის" სტატუსი არ აქვს მინიჭებული.

აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების თანხები არ წარმოადგენს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37.1 მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატებს და ისინი ხელფასისაგან დამოუკიდებელ ფულად გასაცემელს წარმოადგენს.

კასატორის განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნა კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ნაწილში ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლით –საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

აქედან გამომდინარე, კანონიერია საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობისას წარმოშობილი დავის დროს გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტია, მაგრამ მისი ნორმები ხშირ შემთხვევაში იმ ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებადაც გვევლინება, რომლებიც თავისი შინაარსით წარმოადგენს ადმინისტრაციულ (საჯარო) ურთიერთობებს.

საყურადღებოა, განისაზღვროს, მოსარჩელესა და თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული ურთიერთობა წარმოადგენდა თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობას. აღნიშნული ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობა იყო იმ მარტივი გარემოებიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელის განცხადება –ნების გამოვლენა –თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამსახურის დაწყების შესახებ (ოფერტი) და სამინისტროს თანხმობა (აქცეფტი –ბრძანების სახით), მასთან შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ, ასევე ამ ორ სუბიექტს შორის ურთიერთობის და მათი უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები ერთობლიობაში წარმოადგენს მოსარჩელესა და სამინისტროს შორის ფაქტობრივი საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტს და ამის დასადასტურებლად სრულიად არ არის საჭირო ერთიანი, გარკვეულ სისტემაში მოყვანილი ან გარკვეული ფორმის მქონე დოკუმენტის –ხელშეკრულების არსებობა.

აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა არ ავალდებულებს მხარეებს კონკრეტული შინაარსისა და სტილის მქონე დოკუმენტის გაფორმებას ხელშეკრულების დადებისას. ხელშეკრულებათა ფორმები და სტილი შეიძლება იყოს განსხვავებული და შესაბამისად, წერილობითი განცხადება და ბრძანება თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ერთობლიობაში წარმოადგენს წერილობითი შრომითი ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

აღნიშნული მიდგომა სახელმწიფოს მიერ ასევე ფაქტობრივად აღიარებულია "შრომის კოდექსის" მე-6 მუხლის მე-3 ნაწილითაც –პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

ის ფაქტი, რომ საჯარო სამსახურზე ვრცელდება შრომითი კანონმდებლობა, უდავოა, უფრო მეტიც, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამდენად, სახელფასო დავალიანებების ხანდაზმულობის საკითხზე, რომელიც არ წესრიგდება მითითებული კანონით, უნდა გავრცელდეს შესაბამისი კანონმდებლობა: ა) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის ვალდებულებას მიეცა სახელშეკრულებო ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა; ბ) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა.

სსკ-ის 130-ე მუხლის მიხედვით, როგორც სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლით განსაზღვრული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მოსარჩელეს უნდა მიეღო თითოეული თვის ან პერიოდის ჯილდო და კვების კომპენსაციის გაცემისათვის დაწესებული დღის მეორე დღიდან.

როგორც ცნობილია, სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2007 წელს.

ამდენად, სარჩელის შეტანის დროს მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა როგორც სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლით გათვალისწინებული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადები.

სსკ-ის 129-ე მუხლის გამოყენების უპირობო კანონიერებაზე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლიც, სადაც განმარტებულია, რომ წესები სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ, გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართაც.

კასატორის განმარტებით, იმ დროს მოქმედი "შრომის კანონთა კოდექსის" 81-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ხდებოდა ეტაპობრივად, 94-ე მუხლის პირველი პუნქტით ხელფასი გაიცემოდა ყოველი ნახევარი თვის შემდეგ მაინც, თუ შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული.

ამდენად, უდავოა, რომ ხელფასის გაცემა წარმოადგენდა პერიოდულ ვალდებულებას, რომლის მოთხოვნაზე ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის თითოეული თვის სახელფასო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე დამოუკიდებლად უნდა წარიმართოს მსჯელობა.

ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების, კვარტალური პრემიისა და კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში, ორივე მსჯელობის მიხედვით ხანდაზმულია.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია საქმეში არსებულ თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2007 წლის 7 ივლისის №-9/2008 ცნობა ვალის აღიარებად, ვინაიდან აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძვლად სსკ-ის 137-ე მუხლის მიხედვით, რადგან დასახელებული დოკუმენტით მისი გამცემი ორგანო არ აღიარებს მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას და მისი შეფასება სამინისტროს მიერ ვალდებულების აღიარების დამადასტურებელ დოკუმენტად, კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან, მას ინფორმაციული ხასიათი აქვს, კერძოდ, მოსარჩელეს (განმცხადებელს) მიეცა სამინისტროში დაცული საჯარო ინფორმაცია მისი მოთხოვნის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით დ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: დ. მ-შვილი 1996-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო კლინიკურ ჰოსპიტალში ზოგადი ქირურგიის განყოფილების უფროს მედდად, საიდანაც გათავისუფლდა 2007 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სამხედრო კლინიკური ჰოსპიტალის რეორგანიზაციის გამო. საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის №-3-11/7469 ცნობის თანახმად, მოსარჩელის მიმართ მოპასუხის დავალიანება შეადგენს: ხელფასს -300,91 ლარს, კვების კომპენსაციას -480,33 ლარს, მატერიალურ დახმარებას -64,51 ლარს, ჯილდოს -221,00 ლარს, სულ -1066,75 ლარს.

"სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო უზრუნველყოფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. კვების კომპენსაცია წარმოადგენს "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს

კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამდენად, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად დებულებებს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის -ულუფის სახით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხა (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) უნდა გაიცეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან -სასურსათო ულუფისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლში. ამდენად, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, თუ საქართველოს შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტემენტის მიერ გაცემულ საინფორმაციო ხასიათის ცნობაში სახელფასო დავალიანებასთან ერთად, მითითებულია კვების ულუფის დავალიანებაზე, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების ულუფის დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტემენტის ცნობა ატარებს ინფორმაციულ ხასიათს, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება კვების კომპენსაციის თანხის -480,33 ლარის დ. მ-შვილის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში დ. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

რაც შეეხება გასაჩივრებულ განჩინებას დანარჩენ ნაწილში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში განჩინება მიღებულია კანონის სწორი გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება გაზიარებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის II ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. დ. მ-შვილის მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის - 480,33 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

4. თბილისის სააკველიციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სახელფასო დავალიანების - 586.42 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის 1027,99 ლარის დაკისრების ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-968-932(კ-08) 22 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 28 ნოემბერს თ. ქ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის #172 ბრძანებით დაინიშნა ცენტრალურ სამხედრო კლინიკურ ჰოსპიტალში, ანესთეზიოლოგია_რეანიმაციის განყოფილებაში, ექიმ ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგად, საიდანაც გათავისუფლდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 20 ნოემბრის ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სამხედრო კლინიკური ჰოსპიტალის რეორგანიზაციის გამო.

მოსარჩელის განმარტებით, სამსახურში მუშაობის დროს მიუღებელი დარჩა ხელფასი -567,12 ლარი, ჯილდო -274,14 ლარი, კვების კომპენსაცია -667,05 ლარი და მატერიალური დახმარება -81,55 ლარი, სულ -1589,86 ლარი, რაც დასტურდება საქართველოს შეარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2007 წლის 24 ოქტომბრის #3-11/8411 ცნობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა სულ 1589,86 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. ქ-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების -1589,86 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ მოსარჩელე იმყოფებოდა რა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან -საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან, იგი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა მოხელეს, ხოლო "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად -სამხედრო მოსამსახურეს, რის გამოც შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას მასზე უნდა გავრცელდეს ზემოაღნიშნული კანონების მოთხოვნები.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. იმავე კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის შესა-

ბამისად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს, ამასთან, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

ამავე კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფება ამასთან, სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლებისათვის წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება. აღნიშნული ნორმა მოსარჩელეს ანიჭებს შესაძლებლობას, მოითხოვოს სახელმწიფოსაგან მიუღებელი შრომითი გასამრჯელო - ხელფასი, ფულადი ჯილდო, მატერიალური დახმარება და სასურსათე ულუფა, რადგან ამ მოთხოვნის უფლების რეალიზების შესაძლებლობა არ არის შეზღუდული დროის კონკრეტული პერიოდით.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მსჯელობა სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები მოქმედებს სახელშეკრულებო მოთხოვნათა მიმართ, კონკრეტულ შემთხვევაში კი თ. ქ-მესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენდა არა სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობას, რომელიც რეგულირდებოდა საჯარო კანონმდებლობით - "საჯარო სამსახურის შესახებ" და "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონებით, რის გამოც კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გავრცელდეს არა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა, არამედ ამავე კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის ზოგადი 10-წლიანი ვადა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და ამასთან, დამატებით მიუთითა, რომ ესაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლით დადგენილი შემთხვევა, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულებისას მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარების შემთხვევაში.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2007 წლის 12 ნოემბრის წერილი (შინაარსით დაპირება) პასუხია თ. ქ-მის 2007 წლის 6 ნოემბრის წერილისა, რითაც იგი ითხოვდა კუთვნილი დავალიანების - 1589,68 ლარის ანაზღაურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა არა მხოლოდ სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას, არამედ - კვების კომპენსაციის ანაზღაურებასაც (შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2007 წლის 10 ოქტომბრით დათარიღებული ცნობის მიხედვით, თ. ქ-მის მიმართ არსებული დავალიანება (სახელფასო და არასახელფასო) მთლიანობაში შეადგენდა სწორედ 1589,86 ლარს.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლით, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო

სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, სამუშაო ადგილზე, ხოლო იმ დროს მოქმედი "შრომის კანონთა კოდექსის" 81-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ხდება ეტაპობრივად, 94-ე მუხლის პირველი პუნქტით ხელფასი გაიცემოდა ყოველი ნახევარი თვის შემდეგ მაინც, თუ შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული.

უდავო ფაქტია, რომ შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტია, მაგრამ მისი ნორმები ხშირ შემთხვევაში იმ ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებადაც გვევლინება, რომლებიც თავისი შინაარსით წარმოადგენს ადმინისტრაციულ (საჯარო) ურთიერთობებს.

საყოფადღებოა, განისაზღვროს, მოსარჩელესა და თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული ურთიერთობა წარმოადგენდა თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობას. აღნიშნული ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობა იყო იმ მარტივი გარემოებიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელის განცხადება -ნების გამოვლენა -თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამსახურის დაწყების შესახებ (ოფერტი) და სამინისტროს თანხმობა (აქცეფტი -ბრძანების სახით), მასთან შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ, ასევე, ამ ორ სუბიექტს შორის ურთიერთობის და მათი უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები ერთობლიობაში წარმოადგენს მოსარჩელესა და სამინისტროს შორის ფაქტობრივი საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტს და ამის დასადასტურებლად სრულიად არ არის საჭირო ერთიანი, გარკვეულ სისტემაში მოყვანილი ან გარკვეული ფორმის მქონე დოკუმენტის -ხელშეკრულების არსებობა.

აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა არ ავალდებულებს მხარეებს კონკრეტული შინაარსისა და სტილის მქონე დოკუმენტის გაფორმებას ხელშეკრულების დადებისას. ხელშეკრულებათა ფორმები და სტილი შეიძლება იყოს განსხვავებული და, შესაბამისად, წერილობითი განცხადება და ბრძანება თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ერთობლიობაში წარმოადგენს წერილობითი შრომითი ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

აღნიშნული მიდგომა სახელმწიფოს მიერ ასევე ფაქტობრივად აღიარებულია "შრომის კოდექსის" მე-6 მუხლის მე-3 ნაწილითაც -პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

ის ფაქტი, რომ საჯარო სამსახურზე ვრცელდება შრომითი კანონმდებლობა, უდავოა. უფრო მეტიც, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამდენად, სახელფასო დავალიანებების ხანდაზმულობის საკითხზე, რომელიც არ წესრიგდება მითითებული კანონით, უნდა გავრცელდეს შესაბამისი კანონმდებლობა: ა) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის ვალდებულებას მიეცა სახელშეკრულებო ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა; ბ) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 11.2 მუხლის "თ" ქვეპუნქტით, სამხედრო მოსამსახურეებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამდენად, ხელფასის არსა და მის შემადგენელ კომპონენტებზე მსჯელობისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამის წლებში მოქმედი "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის მოთხოვნები, ხოლო ამ კანონმდებლობაში განსხვავებული დებულებების არარსებობის შემთხვევაში, სადავო ურთიერთობა უნდა მოგვარდეს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის დებულებებით, კერძოდ, 37-ე მუხლით (1998-2000 წლების რედაქციით) -მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფინანსურ გასაცემელს მიეცეს ხელფასზე დანამატის სტატუსი და ჩაითვალოს ხელფასის შემადგენელ ელემენტად, საჭიროა, ამ ფუ-

ლად გასაცემელს (კვარტალური პრემია, კვების კომპენსაცია), კანონმდებლობის მიხედვით, ჰქონდეს "დანამატის" სტატუსი.

კასატორის განმარტებით, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტით (2000 წლამდე რედაქციით), სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლებისათვის სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება.

ამავე მუხლის მესამე პუნქტით –სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

ამავე მუხლის მესამე პუნქტით –ოფიცერს, თანამდებობაზე ნამსახური კალენდარული წლების (მათ შორის, ყოფილი სსრკ-ის და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში) მიხედვით, ეძლევა თანამდებობრივ და სამხედრო წოდებების ფულად სარგოებზე პროცენტული დანამატები ნამსახურებისათვის შემდეგი ოდენობით: 1-დან 2 წლამდე -5%; 2-დან 5 წლამდე -10%; 5-დან 10 წლამდე -20%; 10-დან 15 წლამდე -25%; 15-დან 20 წლამდე -40%; 30 წელზე მეტი -45%.

როგორც "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტიდან ირკვევა, "დანამატის" სტატუსი მინიჭებული აქვს მხოლოდ იმ თანხებს, რომლებიც დაიანგარიშება ნამსახური წლების მიხედვით. რაც შეეხება კვების კომპენსაციას, ჯილდოსა და მატერიალურ დახმარებას, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე და მესამე პუნქტებიდან გამომდინარე, "დანამატის" სტატუსი არ აქვს მინიჭებული.

აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების თანხები არ წარმოადგენს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37.1 მუხლით გათვალისწინებულ, ხელფასში შემავალ დანამატებს და ისინი ხელფასისაგან დამოუკიდებელ ფულად გასაცემელს წარმოადგენს.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია საქმეში არსებული, 2007 წლის 10 ოქტომბრის ცნობა ვალის აღიარებად, ვინაიდან აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძვლად სსკ-ის 137-ე მუხლის მიხედვით, რადგან დასახელებული დოკუმენტით მისი გამცემი ორგანო არ აღიარებს მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას და სამინისტროს მიერ ვალდებულების აღიარების დამადასტურებელ დოკუმენტად მისი შეფასება კანონსაწინააღმდეგაა, ვინაიდან მას ინფორმაციული ხასიათი აქვს, კერძოდ, მოსარჩელეს (განმცხადებელს) მიეცა სამინისტროში დაცული საჯარო ინფორმაცია მისი მოთხოვნის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თ. ქ-მე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო კლინიკურ ჰოსპიტალში, ანესთეზიოლოგია-რეანიმაციის განყოფილებაში, ექიმ ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგად. საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის #3-11/8144 ცნობის თანახმად, მოსარჩელის მიმართ მოპასუხის დავალიანება შეადგენს: ხელფასს - 567,12 ლარს, კვების კომპენსაციას - 667.05 ლარს, მატერიალურ დახმარებას - 81,55 ლარს, ჯილდოს - 274,14 ლარს, სულ - 1589,86 ლარს.

"სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. კვების კომპენსაცია წარმოადგენს "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამდენად, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად ლეზულობს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის -ულუფის სახით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხა (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) უნდა გაცეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად -პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან -სასურსათო ულუფისაგან, რაც სხვაგვარადაა მოწესრიგებული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლში. ამდენად, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, თუ საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ გაცემულ საინფორმაციო ხასიათის ცნობაში სახელფასო დავალიანებასთან ერთად მითითებულია კვების ულუფის დავალიანებაზე, ხელფასისაგან განსხვავებით კვების ულუფის დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი უნდა აითვალოს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ცნობა ატარებს ინფორმაციულ ხასიათს, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. აღნიშნულის გამო საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის განჩინება კვების კომპენსაციის თანხის -667,05 ლარის თ. ქ-მის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში თ. ქ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

რაც შეეხება გასაჩივრებულ განჩინებას დანარჩენ ნაწილში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში განჩინება მიღებულია კანონის სწორი გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება გაზიარებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის II ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის განჩინება კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. თ. ქ-ის მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის - 667.05 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სახელფასო დავალიანების -922.81 ლარის დაკისრების ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა

განჩინება

#-ბს-825-793(კ-08)

4 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თვაჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. გ-შვილმა 2007 წლის 24 ოქტომბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი -სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის -სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილის -ი. ბ-ძის მიერ 2007 წლის 29 აგვისტოს მიღებული აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც ნ. გ-შვილს უარი ეთქვა კომპენსაციებს შორის სხვაობის -3015 ლარი ანაზღაურებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ნ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის -სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ 2007 წლის 29 აგვისტოს მიღებული ადმინისტრაციული აქტი ნ. გ-შვილთან მიმართებით; მოპასუხეს დაევალა, ნ. გ-შვილისათვის ანაზღაურებინა კომპენსაციებს შორის სხვაობა 3015 ლარის ოდენობით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ მოსარჩელე სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში მუშაობდა 32 წლის განმავლობაში, მათ შორის, 25 წელი -სასამართლოს მოსამართლედ. საპენსიო ასაკის მიღწევასთან დაკავშირებით 2006 წლის 25 ოქტომბრიდან დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 225 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა გამოყვანილ იქნა მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტისათვის თანამდებობრივი სარგოს 300 ლარის 3%-ის ნამრავლით მოსამართლედ მუშაობის სტაჟზე. იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ კიდევ მოსარჩელესათვის კომპენსაციის დანიშვნამდე, კერძოდ, 2006 წლის 13 ოქტომბერს, "სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" კანონის 12-ე მუხლის მეორე ნაწილში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, კომპენსაციის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო მოქმედი მოსამართლისათვის განსაზღვრული ხელფასის -1450 ლარის 3%-ის ნამრავლით მოსამართლედ მუშაობის სტაჟზე, მაგრამ არაუმეტეს 560 ლარისა. მოპასუხემ მოსარჩელის განცხადების საფუძველზე 2007 წლის აგვისტოს კომპენსაცია განუსაზღვრა უკვე არა 225 ლარით, არამედ -560 ლარით. ხოლო მოსარჩელეს მოთხოვნაზე, გადაეხადათ მისთვის მიუღებულ 560 ლარსა და 225 ლარს შორის სხვაობა 2006 წლის ნოემბრიდან 2007 წლის ივლისის ჩათვლით, უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ კანონით არ იყო განსაზღვრული კანონში შეტანილი ცვლილებების გავრცელება იმ მოსამართლეებზე, რომელთაც უკვე დანიშნული ჰქონდათ კომპენსაცია, რაც სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია; სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხემ ზემოთ აღნიშნული ცვლილება მოსარჩელის მიმართებით გაავრცელა მაშინ, როდესაც მას ჰქონდა დანიშნული კომპენსაცია -225 ლარი და ცვლილების შემდეგ განისაზღვრა 560 ლარით. სასამართლომ განმარტა, რომ კანონში შეტანილი სადავო ცვლილება არ ამძი-

მებს ადამიანის უფლებებს, რის გამოც უნდა მიენიჭოს უკუძალა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს მოცემულ შემთხვევაში უნდა ეხელმძღვანელა "სახელმწიფო კომპენსაციების და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მეორე ნაწილში 2006 წლის 13 ოქტომბერს შესული ცვლილებებით და უნდა დაეკმაყოფილებინა მოსარჩელის მოთხოვნა.

პირველი ინსტაციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა სოციალური სუბსიდიების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასართლოს ადამინისტრაციული საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის -სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სოციალური სუბსიდიების სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ მოტივებს: კასატორი აღნიშნავს, რომ 2006 წლის 1 ნოემბერს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა 2006 წლის 13 ოქტომბრის #3567 III კანონი, რომლითაც ცვლილება შევიდა ამ კანონის მე-12 მუხლში და განისაზღვრა მოქმედი მოსამართლისათვის განსაზღვრული კომპენსაციის ოდენობა თანამდებობრივი სარგოს 3%-ის ნამრავლით საერთო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის სტაჟზე. კასატორი განმარტავს, რომ ნ. გ-შვილმა მას განცხადებით მიმართა 2007 წლის 13 ივლისს, მისთვის დანიშნული კომპენსაციის შეწყვეტისა და ხელახლა დანიშვნის თაობაზე. მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და იმავე წლის 1 აგვისტოდან ნ. გ-შვილს დაენიშნა კომპენსაცია კანონში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით 560 ლარის ოდენობით. კასატორს მიაჩნია, რომ ნ. გ-შვილისთვის კომპენსაციის დანიშვნა 2006 წლის 25 ოქტომბერს მოხდა კანონის სრული დაცვით. გარდა ამისა, 2006 წლის 1 ნოემბერს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებულ 2006 წლის 13 ოქტომბრის #3567 II კანონში ამოქმედების ვადად მითითებულია გამოქვეყნების დღე და არ წინა პერიოდი, ამიტომ კასატორი თვლის, რომ მისთვის წინა პერიოდის თანხის ანაზღაურების თაობაზე უარი თქმის შესახებ სააგენტოს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის სფუძველი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის შესაბამისად, არ არსებობს. კასატორი აღნიშნავს, რომ ნ. გ-შვილს კომპენსაცია არ გადაანგარიშებია, არამედ ადრე დანიშნული, შეწყდა და ახალი კომპენსაცია დაინიშნა მისივე მოთხოვნის შესაბამისად, რადგან "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" კანონი კომპენსაციის გადაანგარიშებას არ ითვალისწინებს, გარდა ერთი გამონაკლისისა, რომელიც ეხება უზენაესი სასამართლოს ყოფილ მოსამართლეებს და გათვალისწინებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის #46 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის" 21- ემუხლის I პუნქტის "ა" ქვეპუნქტით და ხორციელდება 2006 წლის 1 იანვრიდან. ხოლო სახელმწიფო კომპენსაცია, კანონის 26-ე მუხლის მიხედვით, ინიშნება კომპენსაციის დანიშვნის შესახებ განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ. კასატორს არაწორად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სააგენტომ ნ.გ-შვილს გაუზარდა კომპენსაცია, რადგან მოხდა კომპენსაციის ხელახლა დანიშვნა და არა გაზარდა. კასატორს ასევე არაწორად მიაჩნია სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სააგენტო ვალდებული იყო 2006 წლის 1 ნოემბერს, კანონში ცვლილების შეტანის შემდეგ, გადაეანგარიშებინა კომპენსაცია, რადგან კანონი ამას არათუ არ ითვალისწინებს, არამედ იმპერატიულად კრძალავს. კასატორის მოსაზრებით, წინა პერიოდის მიუღებელი თანხის ანაზღაურების საკითხი, შეიძლება დამდგარიყო მაშინ, თუ სააგენტოს მიერ ნ. გ-შვილს არაწორად დაენიშნებოდა კომპენსაცია, რაც აღნიშნულ შემთხვევაში არ მომხდარა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი -სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ ნ. გ-შვილი სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში მუშაობდა 32 წლის განმავლობაში, მათ შორის, 25 წელი -საერთო სასამართლოების მოსამართლედ. საპენსიო ასაკის მიღწევასთან დაკავ-

შირებით საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2006 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით იმავე წლის 25 ოქტომბრიდან დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 225 ლარის ოდენობით. "სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის იმ დროს მოქმედი რედაქციის საფუძველზე "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში 2006 წლის 13 ოქტომბერს შევიდა ცვლილება, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის ოდენობაა მოქმედი მოსამართლისათვის განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 3%-ის ნამრავლი საერთო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის სტაჟზე. აღნიშნული "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 2006 წლის 13 ოქტომბრის №-3567-III საქართველოს კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე - 2006 წლის 1 ნოემბრიდან.

საპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მას შემდეგ, რაც ნ. გ-შვილისათვის ცნობილი გახდა კანონში შესული ცვლილების შესახებ. მან 2007 წლის 13 ივლისს განცხადებით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს და მოითხოვა კომპენსაციის დანიშვნა მითითებული ნორმის ახალი რედაქციის მიხედვით. მას იმავე წლის 1 აგვისტოს დაენიშნა კომპენსაცია 560 ლარის ოდენობით; ნ. გ-შვილმა 2007 წლის 21 აგვისტოს კვლავ მიმართა განცხადებით სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს და მოითხოვა კომპენსაციებს შორის სხვაობის ანაზღაურება. სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 2007 წლის 29 აგვისტოს №-02/07-3690 წერილით განმცხადებლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ კანონში შესული ეს ცვლილება ვერ გავრცელდება იმ მოსამართლეებზე, რომელთაც უკვე დანიშნული ჰქონდათ კომპენსაცია. საკასაციო სასამართლო ვერ გაზიარებს მოპასუხის ამგვარ მოსაზრებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძველს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე, მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. ამავე კანონის 24-ე მუხლის "ა" პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად კომპეტენტური ორგანოს უფლება-მოვალეობაა კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნა, მისი გაცემის ორგანიზება, შეჩერება, განახლება, გადაანგარიშება და შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნული კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომპეტენტური ორგანოს მიერ კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კომპენსაცია/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია ინიშნება განცხადების წარდგენის დღიდან, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ნ. გ-შვილს კი სწორედ ამ ნორმის შესაბამისად საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2006 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით იმავე წლის 25 ოქტომბრიდან მოსარჩელის განცხადების საფუძველზე დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 225 ლარის ოდენობით, ხოლო 2007 წლის 1 აგვისტოდან, განხორციელდა რა უკვე დანიშნული კომპენსაციის გადაანგარიშება ახალი საკანონმდებლო ნორმის საფუძველზე, კომპენსაციის ოდენობა განესაზღვრა 560 ლარის ოდენობით, თუმცა არა ახალი საკანონმდებლო ნორმის ამოქმედების დღიდან, ე.ი. 2006 წლის 1 ნოემბრიდან. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან ნ. გ-შვილს უკვე მიმართული ჰქონდა ადმინისტრაციული ორგანოსათვის კომპენსაციის დანიშვნის მოთხოვნით, კანონში კი ცვლილება შევიდა რამდენიმე დღის შემდეგ, ამიტომ მას სწორედ 2006 წლის 1 ნოემბრიდან დადგენილი ახალი წესის შესაბამისად წარმოეშვა კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშების მოთხოვნის საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო საპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის -სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის -სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კვების კომპენსაციაზე უარი
ხანდაზმულობის გამო**

განჩინება

#-ბს-1235-1197(კ-08) 4 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შეადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი -სახელფასო დავალიანების, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და კვების კომპენსაციის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

14.12.07წ. ე. ა-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს. მოსარჩელემ მოპასუხე თავდაცვის სამინისტროსათვის 2291 ლარისა და 74 თეთრის გადახდის დაკისრება და თანხის ინფლაციის კოეფიციენტის გათვალისწინებით დაბრუნება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1994-2003წწ. მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში ექიმად. სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ ხელფასის, კვების და სხვა მატერიალური ნივთების კომპენსაციის სახით ასაღები დარჩა 1258 ლარი და 93 თეთრი და სანივთე ქონების კომპენსაცია 1032 ლარი და 81 თეთრი.

28.12.07წ. ე. ა-შვილმა სანივთე ქონების კომპენსაციის ნაწილში, რომლის თანხა შეადგენდა 1031 ლარს 81 თეთრს, სარჩელი გამოიხმო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.07წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ე. ა-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 1258 ლარისა და 93 თეთრის გადახდა. ე. ა-შვილს უარი ეთქვა ინფლაციის კოეფიციენტის გათვალისწინებით თანხის ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 134¹ მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. სახელმწიფოს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების არსებობას, გარდა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მითითებული ნორმისა, აღიარებდა 2005 წლის და ყოველი მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯე-

ტის შესახებ კანონებით. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს უფროსის წერილით აღიარებული იყო სადავო დავალიანება. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ე. ა-შვილისათვის სარჩელით მოთხოვნილი თანხების თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 31.12.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის -472 ლარის ანაზღაურების დაკმაყოფილების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად. საკასაციო საჩივარი ე. ა-შვილის სასარგებლოდ ხელფასის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ე. ა-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის -472 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ე. ა-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

“სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 37-ე მუხლის თანახმად, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) თანამდებობრივი სარგოს გარდა მიეკუთვნება, აგრეთვე, პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში, “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად იღებს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის -ულუფის სახით. კვების კომპენსაცია წარმოადგენს “სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” კანონის 12.3 მუხლით განსაზღვრული სასურსათო ულუფის კომპენსაციას. “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 134¹ მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება. შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ კანონებით აღიარებულია წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან -სასურსათო ულუფისაგან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ხანდაზულობის გამომრიცხავი კანონმდებლობის ხსენებული ნორმები აღნიშნულ კომპენსაციაზე ვერ გავრცელდება. სამხედრო მოსამსახურეზე სასურსათო ულუფის ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციის გაცემის ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. აღნიშნული ვადა უნდა აითვალოს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუქცევით. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს მისაღები აქვს 1998-2000 წლების კვების კომპენსაცია. ვინაიდან სარჩელის აღძვრის მომენტისათვის (14.12.07წ.) გასული იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, მისი მოთხოვნა ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში დაცული საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 16.11.07წ., №-3-11/9006 ცნობა, რომლის თანახმად, 1998-2000 წწ. პერიოდში ე. ა-შვილის კუთვნილი კვების კომპენსაციის ოდენობა შეადგენს 472 ლარს, არ წარმოადგენს ვალის აღიარებას. ცნობა ინფორმაციულ ხასიათს ატარებს და ადასტურებს არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ -ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგებოდა მოსარჩელეს. ფაქტის და სარჩელის აღიარება არ არის იდენტური ცნებები, ფაქტის აღიარება არის მტკიცებულება, ხოლო სარჩელის აღიარება არის დისპოზიციური პრინციპიდან გამომდინარე განკარგვითი აქტი, ფაქტის აღიარება არ ნიშნავს სარჩელის აღიარებას. რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 03.12.07წ. წერილს, ამ წერილით აღიარებულია სახელფასო დავალიანება, რომლითაც არ არის მოცული კვების კომპენსაცია. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება სამინისტროსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის თანხების დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში

მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით სამინისტროს მოსარჩელე ე. ა-შვილის სასარგებლოდ უნდა დეკისროს 786 ლარი და 93 თეთრი, მათ შორის, სახელფასო დავალიანება -422 ლარი და 22 თეთრი, ჯილდო - 280 ლარი და 89 თეთრი, მატერიალური დახმარება -83 ლარი და 52 თეთრი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.08წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.07წ. გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ე. ა-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის -472 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. არ დაკმაყოფილდეს ე. ა-შვილის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის -472 ლარის დაკისრების ნაწილში;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.07წ. გადაწყვეტილების და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.08წ. განჩინების კანონიერ ძალაში შესული ნაწილების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ე. ა-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს 786 ლარი და 93 თეთრი;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნა

განჩინება

#-ბს-479-458 (კ-08) 11 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. სილაგაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მიუღებელი პენსიის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ლ-იამ 2007 წლის 19 თებერვალს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის ფილიალის და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ და მოითხოვა ა. ლ-იას სასარგებლოდ, მისი აწ. გარდაცვლილი მამის, მარჩენალის მოსამართლე ბ. ლ-იას გარდაცვალების გამო 2003 წლის 1 იანვრიდან, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, თვეში მოსარჩელის სრულწლოვანობამდე მიუღებელი პენსიის -520 ლარის ოდენობით, მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ლ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ბ. ლ-ია 1984 წლიდან მუშაობდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს წევრად. ბ. ლ-ია გარდაიცვალა 2001 წლის 21 აპრილს. მოსარჩელე ა. ლ-ია, დაბადებული 1986 წლის 23 სექტემბერს, ბ. ლ-იას შვილია.

სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს, რადგან "მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, ამ კანონის მე-14 მუხლი ვრცელდება 1999 წლის 15 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე და მითითებული ნორმა ამოქმედდა 2003 წლის 1 იანვრიდან; ა. ლ-იას კი მის

სრულწლოვანებამდე, ანუ 2004 წლის 23 სექტემბრამდე უნდა მიემართა პენსიის დანიშვნის მოთხოვნით მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის, რაც რეალურად მის კანონიერ წარმომადგენელს არ განუხორციელებია. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიხედვით, ა. ლ-იას არ ჰქონია დანიშნული პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულს ადასტურებს საქმის მასალებში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 აპრილისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 20 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებები.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ ა. ლ-ია ადმინისტრაციული ორგანოსათვის პენსიის მოთხოვნით მიმართვის დღეს -2007 წლის 6 თებერვალს იყო სრულწლოვანი, რის გამოც მასზე "მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათები ვეღარ გავრცელდება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ლ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის განჩინებით ა. ლ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ლ-იას წარმომადგენელმა ნ. ჩ-იამ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია იმის შესახებ, რომ მას პენსიის დანიშვნის მოთხოვნით ადმინისტრაციული ორგანოსათვის 2004 წლის სექტემბრამდე არ მიუმართავს. კასატორის განმარტებით, ა. ლ-იამ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა ჯერ კიდევ 2003 წელს, თუმცა მოპასუხემ მისი განცხადება პენსიის მოთხოვნის შესახებ შეგნებულად დამალა, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი მთელი რიგი დოკუმენტები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ ა. ლ-იას წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მამა ბ. ლ-ია 1984 წლიდან მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრად. იგი 2001 წლის 21 აპრილს გარდაიცვალა. საქმეში წარმოდგენილი, ა. ლ-იას დაბადების მოწმობის თანახმად, ა. ლ-ია ბ. ლ-იას შვილია და იგი დაიბადა 1986 წლის 23 სექტემბერს. საქმეში ასევე წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის საბჭოს 2004 წლის 13 იანვრის ცნობა იმის შესახებ, რომ ბ. ლ-ია აჭარის უზენაესი საბჭოს 1999 წლის 30 დეკემბრის #283 დადგენილების საფუძველზე დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლედ, სადაც იგი მუშაობდა გარდაცვალებამდე -2001 წლის 21 აპრილამდე.

"მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მოსარჩელემ მოითხოვა მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნა. აღნიშნული ნორმის 2005 წლის 23 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის თანახმად მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში გარდაცვლილი მოსამართლის ოჯახის არასრულწლოვან ან შრომისუუნარო წევრებს ენიშნებათ პენსია მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით, თითოეულს თანაბარი პროპორციით.

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის სრულწლოვნების მიღწევამდე 2004 წლის სექტემბრამდე არ მიუმართავს, რის გამოც მასზე "მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი შეღავათები ვერ გავრცელდება. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია და სამართლებრივი შეფასება არ მისცა საქმეში წარმოდგენილ, საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებლის 2004 წლის 13 იანვრის #30-01 წარდგინებას იმის შესახებ, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სოციალური დაზღვევის ერთიანი საპენსიო ფონდის ფილიალს გაეგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის ბ. ლ-იას ქვრივის, თ. შ-

მის განცხადება და თანდართული დოკუმენტები, რათა მათ შვილს -ა. ლ-იას "მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად დანიშნოდა პენსია თვეში 525 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" პუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ლ-იას წარმომადგენელი ნ. ჩ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-1249-1211(კ-08) 24 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე**

სარჩელის საგანი: კვების (ულუფის) კომპენსაციის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 18 სექტემბერს ნ. ს-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში; მის მიმართ 1999-2001 წლების სახელფასო დავალიანებამ შეადგინა 602,31 ლარი.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აღიარებდა დავალიანების არსებობას, მაგრამ მოსარჩელის არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, უარს აცხადებდა დავალიანების გადახდაზე მწირი ბიუჯეტის გამო.

მოსარჩელის განმარტებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, მუშას ან მოსამსახურეს, მისი დათხოვნისას დაწესებულებიდან კუთვნილი მთელი თანხა ეძლეოდა დათხოვნის დღეს.

საბოლოოდ, მოსარჩელემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ მიუღებელი სახელფასო დავალიანების -602,31 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ნოემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო შეიცვალა სათანადო მოპასუხე -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოთი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ს-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს ნ. ს-შვილის სასარგებლოდ 602,31 ლარის გადახდა დაეკისრა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის 15 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობით დასტურდებოდა, რომ მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელე ნ. ს-შვილის მიმართ ერიცხებოდა 602,31 ლარის დავალიანება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანი იყო, ვინაიდან "სა-ჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ცალსახად იყო განსაზღვრული, რომ ამ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათვისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). იმავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა უხეში საპროცესო დარღვევების გარეშე. ამასთან, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებზე ვრცელდებოდა აღნიშნული კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით, ხოლო იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც აღნიშნული კანონით არ წესრიგდებოდა, რეგულირდებოდა შესაბამისი კანონმდებლობით. იმ პერიოდში მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, მუშას ან მოსამსახურეს, მისი დათხოვნისას, საწარმოსაგან, დაწესებულებისაგან, ორგანიზაციისაგან კუთვნილი მთელი თანხა ეძლეოდა დათხოვნის დღეს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველი ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის, აგრეთვე, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების გამო მოთხოვნის უფლებაზე სასამართლომ განმარტა, რომ ეს სამართლებრივი ინსტიტუტი შემოღებული იყო კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტით -საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (მუხლი 129-ე) და მოქმედებდა კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში, რასაც არ განეკუთვნებოდა ნ. ს-შვილსა და ადმინისტრაციულ ორგანოს -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. ს-შვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოსთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა როგორც საჯარო მოსამსახურე და ეს ურთიერთობები რეგულირდებოდა საჯარო სამართლის საკანონმდებლო აქტით -"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა შეეხებოდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებს. სააპელაციო სასამართლომ განმარტა,

რომ ნ. ს-შვილსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს შორის დადებული არ ყოფილა რაიმე სახის ხელშეკრულება, მათ შორის ურთიერთობა რეგულირდებოდა საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების -ბრძანებების მეშვეობით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნაზე ვერ გავრცელდებოდა სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლი განსაზღვრავდა ურთიერთობათა იმ წრეს, რომელზედაც უნდა გავრცელდებოდა ამ კოდექსის ნორმები, კერძოდ, პირველ მუხლში განმარტებული იყო, რომ ეს კოდექსი აწესრიგებდა პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ნ. ს-შვილსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს შორის არსებული ურთიერთობა არ შეიძლება მიჩნეულიყო კერძო ხასიათის ზემოთ ჩამოთვლილ ურთიერთობათაგან რომელიმე სახის ურთიერთობად. პირიქით, მხარეები ერთმანეთთან იმყოფებოდნენ საჯარო შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2006 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა "საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ასევე აღიარებდა წინა წლებში წარმოქმნილ ფაქტობრივ დავალიანებებს და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გამოეყენებინათ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებული დავალიანებების დასაფარავად. შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებას და რომლისთვისაც კარგად იყო ცნობილი და დადასტურებული მოსარჩელის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების არსებობა, უარი მის ანაზღაურებაზე არსებული სახელმწიფო პოლიტიკის საწინააღმდეგო და კანონშესაბამო იყო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ მოქმედების განუხორციელებლობა -ხელფასის გაუცემლობა -პირდაპირ და უშუალო ინდივიდუალურ ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ინტერესს და საქმეზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლი, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონო იყო და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანდა გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს და ავალბედა, განეხორციელებინა ეს მოქმედება ან თავი შეეკავებინა ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი უკანონოდ მიიჩნევს გასაჩივრებულ განჩინებას და განმარტავს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსაგან 1999 და 2001 წლების დავალიანების ანაზღაურებას, რომელიც მისთვის ცნობილი იყო 1999 წლიდან.

მოსარჩელის განმარტებით, სასამართლომ იხელმძღვანელა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2006 წლის 15 მაისის #-27/9/14-ს/45 ცნობით, რომელშიც არ იყო მითითებული დარიცხული თანხების კლასიფიკაცია მათი სახეების (ცალკეული კომპონენტების) და პერიოდულობის მიხედვით და არ იხელმძღვანელა კასატორის მიერ წარმოდგენილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს 2008 წლის 1 მაისის #-27/7/3-2277 ცნობით, რომელშიც გათვალისწინებული იყო შესაბამის საფინანსო განყოფილებაში გადამოწმების შედეგად ნ. ს-შვილის მიმართ დარიცხული და ხელზე მისაღები თანხები. საბოლოოდ კი მოხდა მოსარჩელისათვის არა მხოლოდ სახელფასო თანხის ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილება, არამედ კვების (ულუფის) კომპენსაციის ნაწილშიც, რაც კასატორმა არასწორად მიიჩნია. ამასთან, აღნიშნა, რომ სასარჩელო განცხადებაში მითითებული სამართლებრივი საფუძვლები არ შეიძლება გამხდარიყო მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ხელფასი შედგებოდა თანამდებობრივი სარგოსა და წოდების დანამატისაგან. კვების (ულუფის) კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატი კი წარმოადგენდა დამატებით კომპონენტებს ხელ-

ფასზე, რაც პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენდა, ვინაიდან ისინი გაიცემოდა გარკვეული პერიოდულობით, როგორც წესი – თვის ბოლოს.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდამზულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობოდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელი იყო. შესაბამისად, დავის საგნის მიმართ უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანხამად, ხანდაზმულობა იწყებოდა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ჩაითვლებოდა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. კასატორის განმარტებით, ნ. ს-შვილისათვის მოთხოვნის წარმოშობის მომენტი დაიწყო 1999 წელს. ამდენად, კვების კომპენსაციის მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 იანვრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი მოსარჩელისათვის კვების (ულუფის) კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2009 წლის 24 თებერვალს ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება კვების (ულუფის) კომპენსაციის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ნ. ს-შვილის სარჩელი 1999 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის -236 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდეს, ხოლო არ დაკმაყოფილდეს 2001 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის -177 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს შემდეგს: ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 იანვრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი მოსარჩელისათვის კვების (ულუფის) კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში იქნა დასაშვებად მიჩნეული, ამდენად საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს ნ. ს-შვილისათვის მხოლოდ კვების (ულუფის) კომპენსაციის თანხის ანაზღაურების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2006 წლის 15 მაისის #–27/9/14-ს/45 ცნობით დადგენილია, რომ ნ. ს-შვილის სახელფასო დავალიანება შეადგენს 602,31 ლარს: 1999 წლის - 352,80 ლარს, 2001 წლის -249,51 ლარს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს 2008 წლის 1 მისის #–27/7/3-2277 ცნობით დაზუსტებულია, რომ ნ. ს-შვილის მიმართ დარიცხულ იქნა 602,31 ლარი, მათ შორის: 1999 წლის ხელფასი - 116,80 ლარი, კვების (ულუფა) კომპენსაცია -236 ლარი; 2001 წლის ხელფასი -72,51 ლარი, კვების (ულუფა) კომპენსაცია -177 ლარი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან –საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოსთან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციის, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. იმავე კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით კი დადგენილია, რომ მო-

სამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისთვის, ღამის საათებში, ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. ასეთივე დანაწესს შეიცავდა მოსარჩელის სახელფასო დავალიანების წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების" 55-ე მუხლი, რომლის პირველი აბზაციტ დადგენილი იყო, რომ პოლიციაში სამსახურისათვის თანამშრომელი იღებდა ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლეოდათ), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო, დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის, ისევე, როგორც "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ დებულების" შესაბამისი ნორმებით დადგენილი იყო, რომ პოლიციელის ხელფასი მოიცავდა არა მარტო თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, არამედ -ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას და სხვა. თუმცა 2000 წლის 28 ივნისის #413 კანონით "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, ხსენებული კანონის 31-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, ხელფასი მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ ნ. ს-შვილის წინაშე სახელფასო დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა 1999 და 2001 წლებში და დღეისათვის მოსარჩელე დაობს სწორედ ამ პერიოდში წარმოშობილ და შეუსრულებელ ვალდებულებებზე. 1999 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის ძველი რედაქციის მოქმედების პირობებში, რომლის დროსაც ხელფასში გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი განაკვეთი, არამედ -ნამსახურობის დანამატი, სასურსათო ულუფის ღირებულება და სხვა, ხოლო 2001 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლში 2000 წლის 28 ივნისის #413 კანონით განხორციელებული ცვლილების შემდეგ, რომელთა შედეგადაც პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნება მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. უდავოა, რომ "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის, აგრეთვე, "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების" არც ერთი მუხლი არ შეიცავს დათქმას ახალი რედაქციის ნორმებისათვის უკუძალის მინიჭების თაობაზე. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების შესაბამისი მუხლების ახალი რედაქცია ძველ ურთიერთობებზე არ უნდა გავრცელდეს, რადგან კანონის ახალ ნორმას არ აქვს მინიჭებული უკუქმედების ძალა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ნ. ს-შვილის სარჩელიდან გამომდინარე დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნეს ის სამართლებრივი ნორმები (იმ რედაქციის სამართლებრივი ნორმები), რომელთა მოქმედების დროსაც წარმოიშვა სახელფასო დავალიანება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, დადგენილია და შესაბამისად აღიარებულია, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის გაცემა (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული კომპენსაციისა) უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად, ხოლო 2006 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა "საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ასევე აღირებს წინა წლებში წარმოქმნილ ფაქტობრივ დავალიანებებს და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფი-

ნანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, გამოიყენონ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებული დავალიანებების დასაფარავად. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უკანონოდ მიიჩნევს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებას, მოსარჩელის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების, რომელშიც 2000 წლის 28 ივნისამდე გათვალისწინებული იყო კვების (ულუფის) კომპენსაცია, ანაზღაურებაზე უარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე და 33¹ მუხლების თანახმად, მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1999 წლის კვების (ულუფის) კომპენსაცია -236 ლარი.

2001 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის მოპასუხისათვის ნ. ს-შვილის სასარგებლოდ დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლი, 2000 წლის 28 ივნისის #413 კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად, პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნებაში გულისხმობდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კვების (ულუფის) კომპენსაციის თანხა 2000 წლის 28 ივნისის შემდეგ მოქმედი რედაქციის "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს არ წარმოადგენს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც საპენალციო სასამართლომ არ გამოიყენა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კვების (ულუფის) კომპენსაცია წარმოადგენს "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამდენად, პოლიციის თანამშრომელი სამსახურის პერიოდში "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობდა კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის -ულუფისა და სანივთე უზრუნველყოფის -ფორმის ტანსაცმლის სახით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. კვების (ულუფის) კომპენსაცია წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად -პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან -კვების (ულუფის) კომპენსაციისაგან, რაც განსხვავებულია და მოწესრიგებული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლში. ამდენად, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება, ვინაიდან კვების (ულუფის) კომპენსაცია წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს. შესაბამისად, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების (ულუფის) დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი უნდა აითვალოს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

რაც შეეხება ვალის აღიარების საკითხს, საკასაციო სასამართლო განმარტავს: იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი განხილულ იქნეს ამ ორგანოს მიერ ვალის აღიარებად, მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე. ამასთან, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალში დაუბრუნდება ამ საკითხს და/ან აანაზღაურებს დავალიანებას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2001 წლების კვების (ულუფის) კომპენსაციის თანხის -177 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულია, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს კი არ უღიარებია მოსარჩელის წინაშე კვების (ულუფის) კომპენსაციის დავალიანება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის 2001 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და არასწორად განმარტა "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლი. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინება კვების (ულუფის) კომპენსაციის თანხის ნ. ს-შვილის სასარგებლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამავე ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ს-შვილის სარჩელი 1999 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის -236 ლარის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდება, ხოლო 2001 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის -177 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი დაშვებულ -კვების (ულუფის) კომპენსაციის ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინება ნ. ს-შვილის სასარგებლოდ კვების (ულუფის) კომპენსაციის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ნ. ს-შვილის სარჩელი 1999 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის -236 ლარის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს, ხოლო 2001 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის -177 ლარის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კვების კომპენსაციაზე უარი
ხანდაზმულობის გამო

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

#-ბს-1649-1603(კ-08) 9 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: სახელფასო დავალიანების, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და სანივ-
თე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 28 ივნისს ს. მ-ვამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს #-22662
სამხედრო ნაწილში. მოსარჩელე ისე გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, რომ მას მიუ-
ღებელი დარჩა ხელფასის, კვების, ჯილდოს, მატერიალური დახმარების თანხები და სანივთე ქო-
ნების კომპენსაცია, კერძოდ, ხელფასი -224,17 ლარი, კვება -451,55 ლარი, მატერიალური
დახმარება -66,14 ლარი, ჯილდო -147,49 ლარი, სულ კი აღნიშნულმა დავალიანებამ შეადგინა
889,35 ლარი. მოსარჩელეს ასევე მიუღებელი დარჩა ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონე-
ბის კომპენსაცია 767,56 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ხელფასის, კვების, მატერიალური
დახმარების, ჯილდოს -889,35 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის -767,56 ლარის, სულ
-1656,91 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მის სასარგებლოდ ანაზღაურების
დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 ოქ-
ტომბრის გადაწყვეტილებით ს. მ-ვას სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -საქარ-
თველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების -
889,35 ლარის ანაზღაურება; ს. მ-ვას უარი ეთქვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის
სანივთე ქონების კომპენსაციის -767,56 ლარის ანაზღაურების დაკისრებაზე.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი, საქართველოს
თავდაცვის სამინისტროს #-22662 სამხედრო ნაწილის 2002 წლის 11 ოქტომბრის #-83 ცნობის
თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ს. მ-ვას მიმართ გააჩნდა სახელფასო დავალია-
ნება 889,35 ლარის ოდენობით, ხოლო იმავე ნაწილის მიერ 2007 წლის 30 ივლისს გაცემული
#-275 ცნობის მიხედვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის მიმართ გააჩნდა
სახელფასო დავალიანება 1014,05 ლარის ოდენობით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით
უტყუარად იყო დადგენილი მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობა სახელფასო დავალიანების -
889,35 ლარის ანაზღაურების ნაწილში. რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას სანივთე ქონების
კომპენსაციის -767,56 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, ხსენებული მოთხოვნა იყო
ხანდაზმული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხან-
დაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობოდა პერიოდულად შესასრულებელი
ვალდებულებიდან, იყო სამი წელი. მოსარჩელემ მოითხოვა 1998-1999 წლების სანივთე ქონების
კომპენსაციის ანაზღაურება, ხოლო აღნიშნულის თაობაზე მან სარჩელი აღძრა 2007 წლის 28 ივ-
ნისს, ანუ ხსენებული ვადის გასვლის შემდეგ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 ოქ-
ტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ,
რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით
სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 აპრი-
ლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;
უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007
წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო ხსენებული დასკვნების გაბათილება, რის გამოც მისი საჩივარი იყო უსაფუძვლო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2007 წლის 17 მაისის #9/1399 წერილითა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს #22662 სამხედრო ნაწილის 2007 წლის 30 ივლისის #275 ცნობით მოპასუხემ აღიარა მოსარჩელის წინაშე სახელფასო დავალიანების არსებობა, რაც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის კანონისმიერი საფუძველი იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია.

კასატორის განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნა ხელფასის, კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ნაწილში ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სასამართლომ არ გამოიყენა. იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფინანსურ გასაცემელს მიეცეს ხელფასზე დანამატის სტატუსი და ჩაითვალოს ხელფასის შემადგენელ ელემენტად, საჭიროა, ამ ფულად გასაცემელს (კვების კომპენსაცია) კანონმდებლობის მიხედვით, ჰქონდეს დანამატის სტატუსი. "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის (2000 წლამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლებისათვის სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მისცემოდა ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო სამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დანამატის სტატუსი მინიჭებული აქვს მხოლოდ იმ თანხებს, რომლებიც გაიანგარიშება ნამსახური წლების მიხედვით. რაც შეეხება კვების კომპენსაციას, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებიდან გამომდინარე, მას დანამატის სტატუსი არა აქვს მინიჭებული. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ კვების კომპენსაციის თანხები არ წარმოადგენს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, ხელფასში შემავალ დანამატს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი, 377-ე მუხლის პირველი ნაწილი, ასევე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ გაცემული ცნობები, ვინაიდან ისინი არ ჩაითვლება მოპასუხის მიერ ვალის აღიარებად. აღნიშნული ცნობები საინფორმაციო ხასიათისაა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა ამავე სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის წერილის პირველ აზვაცზე, სადაც ასახულია განმცხადებლის (მოსარჩელის) მოთხოვნის ფარგლები - განმცხადებელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სთხოვდა მხოლოდ სახელფასო და სანივთე ქონების კომპენსაციის და არა კვების კომპენსაციის თანხას. აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ ხსენებული წერილი, კვების კომპენსაციის თანხების ნაწილში არ შეიძლება ჩაითვალოს არც ვალის აღიარებად, არც ადმინისტრაციულ დაპირებად და არც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძვლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ

რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ს. მ-ვასათვის ხელფასის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და ამ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 აპრილის განჩინება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ს. მ-ვასათვის კვების კომპენსაციის -451,55 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და ამ ნაწილში საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებულ განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს შემდეგს: ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ს. მ-ვასათვის ხელფასის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და ამ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 აპრილის განჩინება, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ს. მ-ვასათვის კვების კომპენსაციის -451,55 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და ამ ნაწილში საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს ს. მ-ვასათვის მხოლოდ კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ს. მ-ვა, დაბადებული 1963 წელს, 1993 წლის 19 მარტიდან 1999 წლის 17 ნოემბრამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს #-22662 სამხედრო ნაწილში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს #-22662 სამხედრო ნაწილის 2002 წლის 11 ოქტომბრის #-83 ცნობის თანახმად, მოსარჩელის მიმართ სახელფასო დავალიანება შეადგენდა 889,35 ლარს, საიდანაც კვების კომპენსაცია იყო 451,55 ლარი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2007 წლის 17 მაისის #-9/1399 წერილის მიხედვით, მიუღებელი ხელფასების ანაზღაურება განხორციელდებოდა ამ მიზნებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კვების კომპენსაციის თანხა არ წარმოადგენს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, ხელფასში შემავალ დანამატს და სასარჩელო მოთხოვნა კვების კომპენსაციის ნაწილში ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იმავე პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. კვების კომპენსაცია წარმოადგენს "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამდენად, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში "საჯა-

რო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობდა კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის - ულუფისა და სანივთე უზრუნველყოფის - ფორმის ტანსაცმლის სახით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან - სასურსათო ულუფისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლში. ამდენად, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო სამმართველოს (ან სამხედრო ნაწილის) მიერ გაცემულ საინფორმაციო ხასიათის ცნობაში სახელფასო დავალიანებასთან ერთად, მითითებულია კვების ულუფის დავალიანებაზე, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების ულუფის დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

რაც შეეხება ვალის აღიარების საკითხს, საკასაციო სასამართლო განმარტავს: იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი განხილულ იქნეს ამ ორგანოს მიერ ვალის აღიარებად, მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე. ამასთან, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალში დაუბრუნდება ამ საკითხს და/ან აანაზღაურებს დავალიანებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2007 წლის 17 მაისის №-9/1399 წერილით (რომელშიც არ არის მითითებული თანხის ოდენობა) საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აღიარა მოსარჩელის მიმართ მხოლოდ ხელფასის დავალიანების არსებობა და არ უღიარებია კვების კომპენსაციის -451,55 ლარის დავალიანების არსებობა. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს №-22662 სამხედრო ნაწილის მიერ 2002 წლის 11 ოქტომბერს გაცემული №-83 ცნობით (კვების კომპენსაციის თაობაზე) მოხდა მხოლოდ საჯარო ინფორმაციის გაცემა.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს №-22662 სამხედრო ნაწილის მიერ 2007 წლის 30 ივლისს გაცემული №-275 ცნობის მიხედვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის მიმართ გააჩნდა 1998-1999 წლების დავალიანება, რაც შეადგენდა 1014,05 ლარს. ს. მ-ვამ კი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 ოქტომბრის სხდომაზე განმარტა შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ ცნობაში სახელფასო დავალიანება გაცილებით მეტი ოდენობით იყო მითითებული, ვიდრე იგი სარჩელით მოითხოვდა, იგი არ ზრდიდა სასარჩელო მოთხოვნას და მოითხოვდა მის სარჩელში მოყვანილი თანხის ანაზღაურებას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 1998-1999 წლების კვების კომპენსაციის თანხის -451,55 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 აპრილის განჩინება კვების კომპენსაციის თანხის -451,55 ლარის ს. მ-ვას სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამავე ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კვების კომპენსაციის თანხის -451,55 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების თაობაზე ს. მ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ -კვების კომპენსაციის ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 აპრილის განჩინება კვების კომპენსაციის თანხის -451,55 ლარის ს. მ-ვას სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ს. მ-ვას სარჩელი კვების კომპენსაციის -451,55 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო;

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 აპრილის განჩინების კანონიერ ძალაში შესული ნაწილების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ს. მ-ვას სასარგებლოდ დაეკისროს 437,80 ლარი;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უმწეო მდგომარეობის ოჯახისათვის
დახმარების გაცემა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#-ბს-1173-1135(კ-08) 12 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ცისკაძე**

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, დახმარების გაცემა და მიუღებელი დახმარების სრულად ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 29 ოქტომბერს ს. შ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2005 წლის 28 ნოემბრიდან იღებდა მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებულ დახმარებას 22 ლარის ოდენობით. 2007 წლის 1 იანვრიდან მოსარჩელეს აღნიშნული დახმარების გაცემა შეუწყდა. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელემ 2007 წლის 16 აგვისტოს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობას და იმ მიზეზების ახსნა მოითხოვა, თუ რის საფუძველზე შეუწყდა მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისთვის გათვალისწინებული დახმარების გაცემა, რაზედაც განემარტა, რომ დახმარების გაცემის შეწყვეტის მიზეზი იყო პირადობის მოწმობის არქონა, რაც, მოსარჩელის განმარტებით, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. მით უფრო, რომ მისი პირადობის მოწმობა გაცემული იყო 2006 წლის 7 ნოემბერს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2007 წლის 20 სექტემბერს განცხადებით მიმართა სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 30 იანვრის #35/ნ ბრძანების მე-3 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისთვის გათვალისწინებული დახმარების -22 ლარის გაცემა და 2007 წლის 1 იანვრიდან მიუღებელი დახმარების ანაზღაურება მოითხოვა, რაზეც სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" 2007 წლის 28 სექტემბრის წერილით უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მოსარჩელის პირადი საქმე სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" რაიონულ განყოფილებაში არ იყო გადაცემული, ხოლო ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგებლის მოადგილის წერილიდან ჩანდა, რომ სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტომ" არ გადაიბარა მოსარჩელის პირადი საქმე, რის მიზეზადაც ს. შ-შვილის პირადობის მოწმობის არქონა დაასახელა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მოსარჩელის განმარტებით, მან ორივე ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინა პირადობის მოწმობა და დაასაბუთა, რომ მისთვის დახმარების გაცემაზე უარის თქმის არანაირი მიზეზი არ არსებობდა.

მოსარჩელემ სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" 2007 წლის 28 სექტემბრის წერილი (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) უკანონოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ ხსენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 96-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მოთხოვნათა დარღვევით იქნა გამოცემული, რის გამოც სადავო აქტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" 2007 წლის 28 სექტემბრის #-10/10-6168 წერილის ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებული დახმარების გაცემისა და 2007 წლის 1 იანვრიდან მიუღებელი დახმარების სრულად ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობა ჩაება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით ს. შ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" 2007 წლის 28 სექტემბრის #-10/10-6168 წერილი; სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" ს. შ-შვილისათვის მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებული დახმარების გაცემა და 2007 წლის 1 იანვრიდან მიუღებელი დახმარების სრულად ანაზღაურება დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტომ", რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ს. შ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი. ასევე დარღვეულ იქნა იმავე კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტი, კერძოდ, გადაწყვეტილება იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რაც, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" 2007 წლის 28 სექტემბრის #-10-10-6168 წერილი წარმოადგენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტით რეგლამენტირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაბამისად, სასამართლოს მისი ბათილად ცნობის თაობაზე უნდა ემსჯელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და "სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #-145 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ს. შ-შვილს განემარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #-145 დადგენილების თანახმად, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალურ (საოჯახო) დახმარებას სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტომ" ადმინისტრირებას უწევდა 2007 წლის 1 იანვრიდან და რომ განმცხადებლის -ს. შ-შვილის პირადი საქმე სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში არ იყო გადაცემული.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა "უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების" სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების დამატებით ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 22 ნოემბრის #-547 განკარგულებაზე და აღნიშნა, რომ ხსენებული განკარგულების პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაევალებათ 2007 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 9 თებერვლის #-44/5 ბრძანებით დამტკიცებული "უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების" სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება, ხოლო 2006 წლის 15 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა იურიდიული პირის -სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოსათვის გადაცემა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, თბილისის მასშტაბით სოციალური დახმარების პროგრამების შესრულების საკითხი დარეგულირდა "მიზნობრივი სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #-145 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 27 დეკემბრის #-254 დადგენილებით, რომლის მიხედვითაც თბილისის ტერიტორიაზე საოჯახო დახმარების პირადი საქმეების გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაევალებათ 2007 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი და რომ დახმარების გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება გამოცემული იყო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა ს. შ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ "მიზნობრივი სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #145 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 27 დეკემბრის #254 დადგენილების თანახმად, გამგეობას 2007 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე უნდა გადაეცა სააგენტოსათვის მოსარჩელის პირადი საქმე. თუმცა, კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ პირადი საქმე არ გადაიბარა თავად სააგენტომ, რაც დასტურდებოდა საქმეში არსებული ქ. თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილის 2007 წლის 8 ოქტომბრის #შ-2788 წერილით.

კასატორი აღნიშნავს, რომ სსიპ "სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #145 დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა -სოციალური სუბსიდიების სააგენტომ უნდა უზრუნველყოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისთვის სოციალური დახმარების დანიშვნა-გაცემა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის დანიშნული სოციალური დახმარების გაცემა დადგენილი წესით და ამ პროცესის ადმინისტრირებისას წარმოშობილ ურთიერთობათა რეგულირება. იგივე აზრია ჩამოყალიბებული ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტშიც, რომლის თანახმად, საოჯახო დახმარების ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა სააგენტო, ხოლო აფხაზეთიდან დევნილი ოჯახებისთვის -აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომლებიც ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფენ საოჯახო დახმარების შეწყვეტას, გადანაწილებას, შეჩერებას, აღდგენასა და საოჯახო დახმარების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტას.

კასატორის განმარტებით, ზემოხსენებული ნორმების შინაარსი არაორაზროვნად აღგენდა, რომ სააგენტოს უნდა უზრუნველყოფდეს დახმარების დანიშვნა-გაცემა, შეჩერება, აღდგენა და საოჯახო დახმარების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტა. მას შემდეგ, რაც ს. შ-შვილმა სააგენტოს განცხადებით მიმართა, სააგენტო "სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #145 დადგენილების მე-10¹ მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ვალდებული იყო, გამგეობიდან გამოეთხოვა ის ინფორმაცია, რომელიც საჭირო იყო საოჯახო დახმარების გადაანგარიშების, შეჩერების, განახლების ან/და შეწყვეტის საკითხის გადასაწყვეტად. მოცემულ შემთხვევაში ეს ინფორმაცია იყო კასატორის პირადი საქმე. პირადობის მოწმობა კასატორს წარდგენილი ჰქონდა დ, შესაბამისად, არ არსებობდა მის კანონიერ მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა "სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #145 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-10¹ მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი. გამოიყენა "მიზნობრივი სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #145 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2006 წლის 27 დეკემბრის #254 დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლები, რომლებიც არასწორად განმარტა, რის გამოც არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტით დადგენილი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ს. შ-შვილის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 25 დეკემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ს. შ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 5 მარტს, 11.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ს. შ-შვილს სოციალური დახმარება, როგორც მარტოხელა პენსიონერს, დაენიშნა 2005 წლის 1 დეკემბრიდან. 2007 წლის 1 იანვრიდან მოსარჩელეს აღნიშნული დახმარების გაცემა შეუწყდა. ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობამ ს. შ-შვილისათვის დახმარების გაცემის შეწყვეტის მიზეზად პირადობის მოწმობის არქონა დაასახელა. საქმეში წარმოდგენილი იყო ს. შ-შვილის პირადობის მოწმობა, რომელიც გაცემულ იყო 2006 წლის 7 ნოემბერს. 2007 წლის 20 სექტემბერს ს. შ-შვილმა განცხადებით მიმართა სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 30 იანვრის #35/5 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი ნაწილის "ა" პუნქტის საფუძველზე, მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებული დახმარების -22 ლარის გაცემა და 2007 წლის 1 იანვრიდან მიუღებელი დახმარების ანაზღაურება მოითხოვა. სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" 2007 წლის 28 სექტემბრის #10/10-6168 წერილით ს. შ-შვილს განემარტა, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტომ განიხილა ამავე სააგენტოში შესული ს. შ-შვილის 2007 წლის 20 სექტემბრის განცხადება და აცნობა, რომ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #145 დადგენილების თანახმად, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალურ (საოჯახო) დახმარებას სააგენტო ადმინისტრირებას უწევდა 2007 წლის იანვრიდან, თუმცა ს. შ-შვილის პირადი საქმე სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში არ იყო გადაცემული. საქმეში წარმოდგენილი იყო ასევე ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგებლის მოადგილის 2007 წლის 8 ოქტომბრის #შ-2788 წერილი, რომლის თანახმად სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტომ" არ გადაიბარა მოსარჩელის პირადი საქმე, ვინაიდან საქმეში ინახებოდა ძველი, საბჭოთა პასპორტი.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ ს. შ-შვილს 2007 წლის 1 იანვრიდან ეკუთვნის მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებული დახმარება და განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ის გარემოება, თუ რომელ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაეკისროს ხსენებული ვალდებულების შესრულება -ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობას თუ სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოს" (სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" უფლებამონაცვლე).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების" სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების დამატებით ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 22 ნოემბრის #547 განკარგულებაზე, რომლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაევალებათ 2007 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 9 თებერვლის #44/5 ბრძანებით დამტკიცებული "უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების" სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება, ხოლო 2006 წლის 15 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა იურიდიული პირის -სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოსათვის გადაცემა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის მასშტაბით სოციალური დახმარების პროგრამის შესრულების საკითხი დარეგულირდა "მიზნობრივი სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #145 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 27 დეკემბრის #254 დადგენილებით ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაევალებათ 2007 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყონ იმ პირთა პირადი საქმეების საჯარო სამართლის იურიდიული პირის -სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოსათვის გადაცემა (გადაბარება), რომლებიც იღებდნენ საოჯახო დახმარებას და რომელთაც შეჩერებული ჰქონდათ საოჯახო დახმარება.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან ს. შ-შვილის პირადი საქმე 2007 წლის 1 იანვრისათვის არ იყო გადაცემული სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოში", მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ვერ დაევალებოდა მარტოხელა პენსიონერისათვის დახმარების გაცემა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #145 დადგენილების მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს -სოციალური მომსახურების სააგენტოს უნდა უზრუნველყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისთვის სოციალური დახმარების დანიშვნა-გაცემა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის დანიშნული სოციალური დახმარების გაცემა დადგენილი წესით და ამ პროცესის ადმინისტრირება. იმავე დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საოჯახო დახმარების ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა სააგენტო, ხოლო აფხაზეთიდან დევნილი ოჯახებისთვის -აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომლებიც ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფენ საოჯახო დახმარების შეწყვეტას, გადაანგარიშებას, შეჩერებას, აღდგენასა და საოჯახო დახმარების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #145 დადგენილებით დახმარების დანიშვნა-გაცემა, შეჩერება, აღდგენა და საოჯახო დახმარების ადმინისტრირების ფუნქცია 2007 წლის 1 იანვრის შემდეგ გადაეცა სააგენტოს. ამდენად, 2007 წლის 1 იანვრიდან მას ხსენებული ფუნქციის განსახორციელებელ თანხებთან ერთად გადაეცა აღნიშნულის ადმინისტრირების ფუნქციაც, კერძოდ, ხსენებული დადგენილების მე-10¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საოჯახო დახმარების ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო უზრუნველყოფდა: ა) დანიშნული დახმარების გადაანგარიშებას, შეჩერებას, შეწყვეტას, აღდგენას ან/და გაცემის ორგანიზებას; ბ) საოჯახო დახმარების მიმღებ პირთა აღრიცხვას; გ) სტატისტიკის წარმოებას. ხსენებული ფუნქციების განსახორციელებლად, მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, საოჯახო დახმარების ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო (სააგენტო) უფლებამოსილი იყო შესაბამისი დაწესებულებიდან, ასევე ორგანოზაციებიდან გამოეთხოვა ინფორმაცია, რომელიც საჭირო იყო საოჯახო დახმარების გადაანგარიშების, შეჩერების, განახლების ან/და შეწყვეტის საკითხის გადასაწყვეტად. მოცემულ შემთხვევაში ეს ინფორმაცია იყო ს. შ-შვილის პირადი საქმე, რომელიც საოჯახო დახმარების ადმინისტრირების კომპეტენტურ ორგანოს -სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" უნდა გამოეთხოვა ქ. თბილისის გლდანი-ნამალადვეის რაიონის გამგეობიდან, თუ გამგეობამ ასეთი არ წარუდგინა შესაბამისი საქმეების გადაბარების დროს, ვინაიდან სწორედ სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" ეკისრებოდა საოჯახო დახმარების მიმღებ პირთა აღრიცხვა. ამასთან, სადავო არ არის ის გარემოება, რომ ს. შ-შვილს გააჩნდა ახალი პირადობის მოწმობა, გაცემული 2006 წლის 7 ნოემბერს, რაც ცნობილი იყო ორივე ადმინისტრაციული ორგანოსათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ს. შ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა დახმარების გაცემაზე უარის თქმის შესახებ სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" 2007 წლის 28 სექტემბრის #10/10-6168 წერილის ბათილად ცნობის, სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოსათვის" ს. შ-შვილის სასარგებლოდ მართობელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებული დახმარების გაცემისა და 2007 წლის 1 იანვრიდან მიუღებელი დახმარების სრულად ანაზღაურების თაობაზე საფუძვლიანია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. იმავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველია. საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ს. შ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. შ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდება, კერძოდ, ბათილად იქნება ცნობილი სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" 2007 წლის 28 სექტემბრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დახმარების გაცემასა და მიუღებელი დახმარების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ, სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოს" (სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" უფლებამონაცვლე) დავალება ს. შ-შვილისათვის მართო-

ხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებული დახმარების გაცემა და 2007 წლის 1 იანვრიდან მიუღებელი დახმარების სრულად ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ს. შ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააკველაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. შ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" 2007 წლის 28 სექტემბრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დახმარების გაცემასა და მიუღებელი დახმარების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ, სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოს" (სსიპ "სოციალური სუბსიდიების სააგენტოს" უფლებამონაცვლე) დაევალოს ს. შ-შვილისათვის მართლხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებული დახმარების გაცემა და 2007 წლის 1 იანვრიდან მიუღებელი დახმარების სრულად ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კვების კომპენსაციაზე უარი
ხანდაზმულობის გამო**

განჩინება

#-ბს-1530-1487(კ-08) 17 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: კვების (უღუფის) კომპენსაციის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ა. ზ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

ა. ზ-შვილი მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შს სამმართველოში, საიდანაც გათავისუფლდა 2002 წელს. მოსარჩელის განმარტებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ მასთან ანგარიშსწორება არ მომხდარა. ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს 2008 წლის 29 აპრილის წერილის მიხედვით, მისი სახელფასო დავალიანება შეადგენდა 549,30 ლარს.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი:

მოსარჩელის მიმართ სახელფასო დავალიანების ანგარიშსწორება არ მომხდარა, რის გამოც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს მის მიმართ გააჩნია დავალიანება.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველები მითითებული არ არის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით ა. ზ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს დაევალა მოსარჩელის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -549,30 ლარის გადახდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი და განმარტა, რომ მოცემული კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს. ამავე კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე, მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). გარდა ამისა, მითითებული კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, მუშას ან მოსამსახურეს, მისი დათხოვნისას, საწარმოსაგან, დაწესებულებისაგან, ორგანიზაციისაგან კუთვნილი მთელი თანხა ეძლეოდა დათხოვნის დღეს.

საქალაქო სასამართლოს დასკვნით, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელე ა. ზ-შვილის მოთხოვნა მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიმართ კანონიერი იყო და ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას. ამასთან, მოსარჩელე ითხოვდა თანხას, რომელიც წარმოადგენდა მის მიერ მოპასუხე ორგანიზაციაში შესრულებული სამსახურებრივი საქმიანობის ანაზღაურებას, რაზეც მოპასუხეს უარი არასოდეს განუცხადებია, ამავე დროს, ასანაზღაურებელ თანხას, როგორც დავალიანებას, აღიარებდა და აფიქსირებდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან კრედიტორულ დავალიანებად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო უკანონო. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ცნობით, რომელშიც არ იყო მოცემული დარიცხული თანხების კლასიფიკაცია მათი სახეებისა და პერიოდულობის მიხედვით, რის შედეგადაც მოხდა მოსარჩელისათვის არა მხოლოდ სახელფასო თანხის ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილება, არამედ კვების ულუფის ნაწილშიც, რაც არასწორი იყო. გარდა ამისა, პირველ ინსტანციაში წარდგენილ სასარჩელო განცხადებაში მითითებული სამართლებრივი საფუძვლები არ შეიძლება გამხდარიყო მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ხელფასი შედგებოდა თანამდებობრივი სარგოსა და წოდების დანამატისაგან. კვების ულუფა და წელთა ნამსახურობის დანამატი წარმოადგენდა დამატებით კომპონენტებს ხელფასზე, რაც, ამავდროულად, წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ვინაიდან საჯარო სამსახურში ისინი გაიცემოდა გარკვეული პერიოდულობით, როგორც წესი, თვის ბოლოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობოდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისაგან, წარმოადგენდა სამ წელს, შესაბამისად, დავის საგნის მიმართ უნდა გავრცელებულიყო სსკ-ის 129.2 მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყებოდა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლებოდა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. დავის საგნის შემთხვევაში, მოთხოვნის უფლება პირს წარმოეშობოდა იმ მომენტიდან, როცა მას უნდა მიეღო ხელფასი, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ მიუღია.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად იქნა დატოვებული საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოში. ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს 2008 წლის 4 ივნისის წერილის თანახმად, მის მიმართ დავალიანება წარმოადგენდა 549.30 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა "პოლიციის შესახებ" კანონის 31.3, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #-139 ბრძანებულება "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე და განმარტა, რომ "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებებით კანონის 31.3 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და ხელფასში, გარდა ხელფასისა, დამატებით ასევე განისაზღვრა მხოლოდ თანამდებობრივი სარგო და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი დანამატი, თუმცა 2000 წლის 28 ივნისის ცვლილებებამდე, "პოლიციის შესახებ" კანონი სხვაგვარად აწესრიგებდა მითითებულ საკითხს, კერძოდ, 31.2 მუხლის თანახმად, პოლიციის თანამშრომელი

პოლიციაში სამსახურისთვის იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის, დამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. აღნიშნული დანაწესი იყო ასევე საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებულ "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ" დებულებაში.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ძველ ურთიერთობებზე არ უნდა გავრცელდეს კანონი ახალი რედაქციით, ვინაიდან კანონის ახალ ნორმას არ აქვს მინიჭებული უკუქცევითი ძალა, ხოლო "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47.1 მუხლის თანახმად, ნორმატიული აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიმართ არ ვრცელდებოდა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მოქმედება, რამდენადაც ა. ზ-შვილის მიმართ სახელფასო დავალიანება 1998-2000 წლებში წარმოიშვა, რაც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სულად მიიჩნეოდა სახელფასო დავალიანებად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელი და არასრულია, იგი გამოტანილია კანონის დარღვევით, საქმის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებათა სრულყოფილი შეფასების გარეშე, რის გამოც იგი ექვემდებარება გაუქმებას. პირველ ინსტანციაში წარდგენილ სასარჩელო განცხადებაში მითითებული სამართლებრივი საფუძვლები არ შეიძლება გამხდარიყო მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ხელფასი შედგებოდა თანამდებობრივი სარგოსა და წოდების დანამატისაგან. კვების ულუფა და წელთა ნამსახურობის დანამატი წარმოადგენდა დამატებით კომპონენტებს ხელფასზე, რაც, ამავდროულად, წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ვინაიდან საჯარო სამსახურში მათი გაცემა ხდებოდა გარკვეული პერიოდულობით, როგორც წესი, თვის ბოლოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობოდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისაგან, წარმოადგენდა სამ წელს, შესაბამისად, დავის საგნის მიმართ უნდა გავრცელებულიყო სსკ-ის 129.2 მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყებოდა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლებოდა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. დავის საგნის შემთხვევაში, მოთხოვნის უფლება პირს წარმოეშობოდა იმ მომენტიდან, როცა მას უნდა მიეღო, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ მიუღია. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე ა. ზ-შვილის მოთხოვნის წარმოშობის მომენტი დაიწყო 1998 წელს და 3 წლის გასვლის გამო, იგი ხანდაზმულად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიღებულ 2009 წლის 10 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი მოსარჩელისათვის კვების (ულუფის) კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. "ბ" პუნქტის საფუძველზე /დივერგენტული კასაცია/.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაანალიზების, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეული არ არის სსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, საპროცესო ნორმები არ დარღვეულა, სწორი შეფასება მიეცა საქმის მასალებს და დავა გადაწყვეტილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ წარმოდგენილი არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2. მუხლის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს 04.06.2008 წლის №-27/7/3-2806 ცნობით დადგენილია, რომ ა. ზ-შვილის სახელფასო დავალიანება შეადგენს 549,30 ლარს. აღნიშნული დავალიანება წარმოიშვა 1998 წლის ოქტომბრიდან 2000 წლის ივნისის თვის ჩათვლით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ კვების ულუფა და წელთა ნამსახურობის დანამატი მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს არა დამატებით კომპონენტს ხელფასზე, არამედ, ხელფასის შემადგენელ ნაწილს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებებით (2000 წლის 28 ივნისის №-413-III კანონი), კანონის 31.3 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და ხელფასში, გარდა ხელფასისა, დამატებით ასევე განისაზღვრა მხოლოდ თანამდებობრივი სარგო და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი დანამატი, თუმცა 2000 წლის 28 ივნისის ცვლილებებამდე, "პოლიციის შესახებ" კანონი სხვაგვარად აწესრიგებდა მითითებულ საკითხს, კერძოდ, 31.2 მუხლის თანახმად, პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისთვის იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს.

აღნიშნული დანაწესი იყო ასევე რეგლამენტირებული საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის №-139 ბრძანებულებით დამტკიცებულ "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ" დებულებაში, რომლის 55-ე მუხლი (ძველი რედაქცია), პირდაპირ განსაზღვრავდა, რომ ხელფასი ასევე მოიცავდა სასურსათო ულუფასაც.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ძველ სამართალურ-თიერთობებზე არ უნდა გავრცელდეს კანონი ახალი რედაქციით, ვინაიდან კანონის ახალ ნორმას არ აქვს მინიჭებული უკუქცევითი ძალა, ხოლო "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47.1 მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის, აგრეთვე "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ" დებულების არც ერთი მუხლი არ შეიცავს დათქმას ახალი რედაქციის ნორმებისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭების შესახებ.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მითითებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობის მიმართ უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მოქმედება შესაბამისად სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე, რამდენადაც ა. ზ-შვილის მიმართ დავალიანება 549.30 ლარის ოდენობით 1998-2000 წლებში წარმოიშვა, რაც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მთლიანად (წოდება, წელთა ნამსახურობა და კვების ულუფაც) მიიჩნეოდა სახელფასო დავალიანებად, ხელფასის შემადგენელ კომპონენტად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლი განსაზღვრავს, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად" (2004 წლის 21 დეკემბრის №-3211 კანონი). საქმის მასალებით და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით კი დგინდება, რომ ა. ზ-შვილი შს სამინისტროს რიგებიდან დათხოვნილია 2002 წელს. ამდენად, ა. ზ-შვილის, როგორც საჯარო მოსამსახურის მიმართ, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილია 2005 წლის 1 იანვრამდე, სახელმწიფო "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლის საფუძველზე, აღიარა დავალიანებების არსებობა და ივალდებულა მათი გასტუმრება შესაბამისი უწყებების მეშვეობით.

ამასთან, "საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ ასევე აღიარა წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებები და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მისცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გამოეყენებინათ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებული დავალიანების დასაფარავად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კა-

ნონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოს სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სსსკ-ის 53.2. მუხლის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინება;
3. კასატორს საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოს სასამართლო ხარჯების სახით დაეკისროს 50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-1266-1228(კ-08) 26 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 24 იანვარს ვ. მ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2004 წლიდან მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის გლდანი-ნამალაძევის სამმართველოს პირველ განყოფილებაში. 2005 წლის ივლისიდან გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე, თუმცა არ მიუღია კუთვნილი ხელფასი 205,64 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მოსარჩელე ითხოვდა აღნიშნული სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით ვ. მ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს ვ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების სახით 205,64 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველომ და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

აპელანტის განმარტებით, სასამართლომ იხელმძღვანელა საქმის მასალებში არსებული ცნობით, რომელშიც არ იყო მითითებული დარიცხული თანხების კლასიფიკაცია მათი სახეების (ცალკეული კომპონენტების) და პერიოდულობის მიხედვით და არ იხელმძღვანელა აპელანტის მიერ წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს 2008 წლის 17 აპრილის # -27/7/3-2072 ცნობით, რომელშიც გათვალისწინებული იყო შესაბამის საფინანსო განყოფილებაში გადამოწმების შედეგად ვ. მ-შვილის მიმართ დარიცხული და ხელზე მისაღები თანხები. საბოლოოდ კი მოთხოვნა დააკმაყოფილეს მოსარჩელე არა მხოლოდ სახელფასო თანხის ნაწილში, არამედ -წელთა ნამსახურობისა და კვების (უღუფის) კომპენსაციის ნაწილშიც, რაც აპელანტმა არასწორად მიიჩნია. "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ხელფასი შედგებოდა თანამდებობრივი სარგოსა და წოდების დანამატისაგან. კვების (უღუფის) კომპენსაციისა და წელთა ნამსახურობის დანამატი კი წარმოადგენდა დამატებით კომპონენტებს ხელფასზე, რაც პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენდა. შესაბამისად, დავის საგნის მიმართ უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა უხეში საპროცესო დარღვევების გარეშე. ამასთან, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველი ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის, აგრეთვე, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების გამო მოთხოვნის უფლებაზე სასამართლომ განმარტა, რომ ეს სამართლებრივი ინსტიტუტი შემოღებული იყო კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტით -საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (მუხლი 129-ე) და მოქმედებდა კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში, რასაც არ განეკუთვნებოდა ვ. მ-შვილსა და ადმინისტრაციულ ორგანოს -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვ. მ-შვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოსთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა, როგორც საჯარო მოსამსახურე და ეს ურთიერთობები რეგულირდებოდა საჯარო სამართლის საკანონმდებლო აქტებით - "საჯარო მოსამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადები შეეხებოდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებს. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვ. მ-შვილსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს შორის დადებული არ ყოფილა რაიმე სახის ხელშეკრულება, მათ შორის ურთიერთობა რეგულირდებოდა საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების -ბრძანებების მეშვეობით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნაზე ვერ გავრცელდებოდა სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლი განსაზღვრავდა ურთიერთობათა იმ წრეს, რომელზედაც უნდა გავრცელებულიყო ამ კოდექსის ნორმები, კერძოდ, პირველ მუხლში განმარტებული იყო, რომ ეს კოდექსი აწესრიგებდა პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ვ. მ-შვილსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს შორის არსებული ურთიერთობა არ შეიძლება მიჩნეულიყო კერძო ხასიათის ზემოთ ჩამოთვლილ ურთიერთობათაგან რომელიმე სახის ურთიერთობად. პირიქით, მხარეები ერთმანეთთან იმყოფებოდნენ საჯარო შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი უკანონოდ მიიჩნევს გასაჩივრებულ განჩინებას და განმარტავს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსაგან 2004 წლის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდის დავალიანების ანაზღაურებას.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდამზულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობოდა პერიოდულად შე-სასრულებელი ვალეზულებებიდან, სამი წელი იყო. შესაბამისად, დავის საგნის მიმართ უნდა გავ-რცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდამზულობის სამწლიანი ვადა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანხმად, ხანდამზულობა იწყებოდა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ჩაითვლებოდა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. კასა-ტორის განმარტებით, ვ. მ-შვილისათვის მოთხოვნის წარმოშობის მომენტი დაიწყო 2004 წელს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი ვ. მ-შვილისათვის ხელფასის, წოდებრივი სარგოსა და წელთა ნამსახურობის თანხის ანაზღაურების ნაწილში დაუშვებლად იქნა მიჩნეული. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივ-ნისის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-ულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება ვ. მ-შვილისათვის ხელფასის თანხის -101,06 ლარის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის -104,58 ლარის ვ. მ-შვილისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებუ-ლი განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი ამ ნაწილ-ში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმი-ნისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის განჩინებით საქარ-თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი მოსარჩელისათვის კვების (ულუფის) კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში დასაშვებად იქნა მიჩნე-ული, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს ვ. მ-შვილისათვის მხო-ლოდ კვების (ულუფის) კომპენსაციის თანხის ანაზღაურების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებ-ზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2008 წლის 17 აპრილის #27/7/3-2072 ცნობით დადგენილია, რომ ვ. მ-შვილის მიმართ დარიცხულ იქნა 205,64 ლარი 2004 წლის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდის თანხა, მათ შორის: ხელფასი -63 ლარი, წოდებრივი სარგო - 24,38 ლარი, წელთა ნამსახურობის დანამატი -13,68 ლარი და კვების (ულუფა) კომპენსაცია - 104,58 ლარი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელე შრო-მით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოსთან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქარ-თველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინის-ტროს თანამშრომლებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციის, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. იმავე კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით კი დადგენილია, რომ მო-სამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით "პო-ლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პო-ლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახუ-რობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა გა-

სამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. ასეთივე დანაწესს შეიცავდა მოსარჩელის სახელფასო დავალიანების წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების" 55-ე მუხლი, რომლის პირველი აზნაგით დადგენილი იყო, რომ პოლიციაში სამსახურისათვის თანამშრომელი იღებდა ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლეოდათ), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო, დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის, ისევე, როგორც "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ დებულების" შესაბამისი ნორმებით დადგენილი იყო, რომ პოლიციელის ხელფასი მოიცავდა არა მარტო თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, არამედ -ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას და სხვა. თუმცა 2000 წლის 28 ივნისის #413 კანონით "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, ხსენებული კანონის 31-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, ხელფასი მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ ვ. მ-შვილის წინაშე სახელფასო დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა 2004 წელს და დღეისათვის მოსარჩელე დავობს სწორედ ამ პერიოდში წარმოშობილ და შეუსრულებელ ვალდებულებებზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ვ. მ-შვილის სარჩელიდან გამომდინარე დავის გადასაწყვეტად გამოყენებულ უნდა იქნეს ის სამართლებრივი ნორმები (იმ რედაქციის სამართლებრივი ნორმები), რომელთა მოქმედების დროსაც წარმოიშვა სახელფასო დავალიანება.

2004 წლის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდის კვების (ულუფის) კომპენსაციის ვ. მ-შვილის სასარგებლოდ დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლი, 2000 წლის 28 ივნისის #413 კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად, პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნებაში გულისხმობდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კვების (ულუფის) კომპენსაციის თანხა 2000 წლის 28 ივნისის შემდეგ მოქმედი რედაქციის "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს არ წარმოადგენს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კვების (ულუფის) კომპენსაცია წარმოადგენს "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამდენად, პოლიციის თანამშრომელი სამსახურის პერიოდში "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობდა კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის -ულუფის სახით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. კვების (ულუფის) კომპენსაცია წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან -კვების (ულუფის) კომპენსაციისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლში. ამდენად, ვინაიდან კვების (ულუფის) კომპენსაცია წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹-ე მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების (ულუფის) დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის

მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

რაც შეეხება ვალის აღიარების საკითხს, საკასაციო სასამართლო განმარტავს: იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი განხილულ იქნეს ამ ორგანოს მიერ ვალის აღიარებად, მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე, ამასთან, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალში დაუბრუნდება ამ საკითხს და/ან ანაზღაურებს დავალიანებას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2004 წლის კვების (უღლუფის) კომპენსაციის თანხის -104,58 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულია, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს კი არ უღიარებია მოსარჩელის წინაშე კვების (უღლუფის) კომპენსაციის დავალიანება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის 2004 წლის კვების (უღლუფის) კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და არასწორად განმარტა "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლი. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინება კვების (უღლუფის) კომპენსაციის თანხის ვ. მ-შვილის სასარგებლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამავე ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. მ-შვილის სარჩელი 2004 წლის კვების (უღლუფის) კომპენსაციის -104,58 ლარის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 411-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი დაშვებულ კვების (ულუფის) კომპენსაციის ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინება ვ. მ-შვილის სასარგებლოდ კვების (ულუფის) კომპენსაციის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. მ-შვილის სარჩელი 2004 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის -104,58 ლარის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

განჩინება

#-ბს-914-878(კ-08) 1 აპრილი, 2009წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

- ნ. სხირტლაძე,**
- პ. სილაგაძე**

დავის საგანი: პოლიტიკური რეპრესიით გამოწვეული ზიანის საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. (ჟ.) რ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის საკომპენსაციო თანხის -200 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა -ე. (ჟ.) რ-შვილს უარი ეთქვა ფულადი კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდად მიიჩნია, რომ გ. რ-შვილი ძალადობით დამყარებული პოლიტიკური რეჟიმის შედეგების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის გამო, მშვიდობიან მიტინგზე გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა ... წლის ... იანვარს, რის გამოც იგი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად. ე. რ-შვილი არის აწ გარდაცვლილი გ. რ-შვილის დედა.

სასამართლომ განმარტა, რომ მართალია სახეზეა "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი, მაგრამ ფულადი კომპენსაციის ოდენობისა და გაცემის წესის მომწესრიგებელი სპეციალური კანონის არ არსებობის გამო მხოლოდ მოცემულ მუხლზე დაყრდნობით სარჩელის დაკმაყოფილება სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია. პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება კონკრეტული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ზიანის ანაზღაურების მოვალეობის სამოქალაქო კოდექსის მე-4 კარით გათვალისწინებული წესების ანალოგიით გამოყენების თაობაზე, ვინაიდან ჩათვალა, რომ ხსენებული კოდექსის მე-5 მუხლისა და "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, კონკრეტული ურთი-

ერთობა არ განეკუთვნება კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სფეროს და იგი მოწესრიგებული უნდა იქნეს სპეციალური კანონით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. (ჟ.) რ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. (ჟ.) რ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი თვლის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მას, როგორც გ. რ-შვილის დედას, როგორც პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის პირველი რიგის მემკვიდრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს მისი შვილის მიმართ განხორციელებული პოლიტიკური იძულების გამო, რაც გამოიხატება სხეულის მძიმე დაზიანებაში.

კასატორი თვლის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მას, როგორც გ. რ-შვილის დედას, როგორც პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის პირველი რიგის მემკვიდრეს, უფლება აქვს მოითხოვოს მისი შვილის მიმართ განხორციელებული პოლიტიკური იძულების გამო, რაც გამოიხატება სხეულის მძიმე დაზიანებაში და რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურება. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს სადავო სამართლებრივ ურთიერთობაზე უნდა გაეგრძელებინა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ე. (ჟ.) რ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" პუნქტის თანახმად კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოსარჩელე ე. რ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა -ე. რ-შვილის გარდაცვლილი შვილი -გ. ი. ძე რ-შვილი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ე. (ჟ.) რ-შვილმა სწორედ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მოითხოვა მიყენებული მორალური თუ მატერიალური ზიანის ანაზღაურება, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია, ე. რ-შვილი მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს ერთდროულად თუ მხოლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. აღნიშნულის გარკვევას კი, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არსებითი მნიშვნელობა აქვს მოცემული დავის გადასაწყვეტად.

დადგენილია, რომ ე. რ-შვილი თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილში აღნიშნულია, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა არაქონებრივი (მორალური) ზიანის დეფინიციას. ეს საკითხი კანონმდებელმა დოქტრინას და სასამართლო პრაქტიკას მიანდო შესაფასებლად. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის მოთხოვნა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს, თუ კანონით სპეციალური სამართლებრივი ნორმა გათვალისწინებული ამის თაობაზე. "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულია, რომ პირს, რომელმაც რეპრესია განიცადა თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილას განწესების, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსების სახით, ან გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად და აღიარებულია

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, აგრეთვე მის პირველი რიგის მემკვიდრეს შეიძლება მიეცეს ფულად კომპენსაცია, რომლის ოდენობას და გაცემის წესს ადგენს კანონი. საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ მუხლით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოერკვია, ე. რ-შვილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ მორალური ტრამვის გამო, პოლიტიკური რეპრესიის შედეგად რომ შვილი გარდაეცვალა, თუ იმის გამო, რომ ამგვარი ქმედების შედეგად უშუალოდ მოსარჩელის ჯანმრთელობას მიაღდა ზიანი; ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მეორე ნაწილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს მხოლოდ იმ პირისათვის, რომლის ჯანმრთელობასაც უშუალოდ მიაღდა ვნება. ხოლო თუ მეორე საფუძვლით ითხოვს მოსარჩელე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, მაშინ სათანადო მტკიცებულებებით უნდა დაადასტუროს, რომ მისი შვილის მიმართ განხორციელებულ ქმედებას შედეგად მოჰყვა უშუალოდ ე. რ-შვილის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ე. (ჟ.) რ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამხედრო მოსამსახურისათვის ერთჯერადი დახმარება

განჩინება

#-ბს-1093-1055(კ-08) 2 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე**

დავის საგანი: თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 1 თებერვალს გ. ბ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, თანხის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 1980-2005 წლებში მსახურობდა შეიარაღებული ძალების რიგებში, არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი და აქვს უფროსი სამხედრო წოდება - პოლკოვნიკი. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1995 წლის 11 მაისის #-1267 ბრძანებით დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან. მისი წელთა ნამსახურობა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში შეადგენდა 12 წელს.

"საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #-493 ბრძანებულების 33-ე პუნქტისა და 2005 წლის 24 იანვრის #-47 ბრძა-

ნებულების პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ეკუთვნოდა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების (თანამდებობრივი, წოდებრივი და დანამატი) თორმეტმაგი ოდენობით, რაც შეადგენს -6660 ლარს.

მოსარჩელის განმარტებით, მან მიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვისა და იურიდიული დეპარტამენტების უფროსებს ზემოაღნიშნული დახმარების ანაზღაურებაზე, მაგრამ მიიღო უარი, რაც, მოსარჩელის მოსაზრებით, არასწორია, ვინაიდან ერთჯერადი (გასასვლელი) დახმარების გაცემის უფლების დამდგენი ნორმა არ გაუქმებულა, არამედ შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე.

ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მიღების უფლება სამხედრო მოსამსახურეებმა მოიპოვეს ჯერ კიდევ 1993-94 წლებში და აღნიშნული უფლების გაუქმება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად იქნა ცნობილი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლისა და 109-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურიდან დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებზე შესაბამისი დახმარების გაცემის 2006 წლის 1 იანვრამდე შეჩერება. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს მის მიმართ გააჩნია აგრეთვე სახელფასო დავალიანებაც, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 28 დეკემბრის №-408 ბრძანების საფუძველზე მომხდარი რეორგანიზაციის შედეგად, დარჩა ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №-493 ბრძანებულების 32-ე მუხლის შესაბამისად, კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეებს უნარჩუნდებათ ფულადი სარგოები ბოლო დაკავებული თანამდებობების შესაბამისად, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი და სასურსათო ულუფის სანაცვლოდ დაწესებული ფულადი კომპენსაცია არა უმეტეს ორი თვისა. ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტში ყოფნისას, 2005 წლის 1 იანვრიდან ღებულობდა მხოლოდ თანამდებობრივ და წოდებრივ სარგოებს, ხოლო დანამატი არ ერიცხებოდა, რის გამოც ეკუთვნის მიუღებელი თანხა -430 ლარის ოდენობით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების -6660 ლარისა და 2005 წლის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში დაკლებული თანხის -430 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდის მიუღებელი თანხის -430 ლარის ანაზღაურების ნაწილში და საბოლოოდ მოითხოვა მოპასუხეს -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებოდა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების -6660 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით გ. ბ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. ბ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 3480 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №-493 ბრძანებულების 33-ე პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, რომლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეორგანიზაციის ან შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის, ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით -20 წელი და მეტი -თორმეტმაგი ოდენობით (2007 წლის 21 სექტემბრამდე მოქმედი რედაქციით). ზემოხსენებული ბრძანებულების 33¹ პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა

და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლევათ ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული რაოდენობით (2007 წლის 21 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია).

“საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61¹ პუნქტის თანახმად, ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. სასამართლოს განმარტებით, ამა თუ იმ ნორმის მოქმედების ვადის გარკვეული დროით გადაწევა არ ნიშნავს ხსენებული ნორმის აბსოლუტურ უმოქმედობას და მის გაუქმებას, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა აღნიშნულს არ ითვალისწინებს, კერძოდ, იურიდიული თვალსაზრისით არ არსებობს აბსოლუტურად უმოქმედო ნორმა.

აქედან გამომდინარე, “საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #103 ბრძანებულების 61¹ პუნქტის საფუძველზე შეჩერებული იქნა ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მიღების უფლების რეალიზაცია 2006 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ არ გაუქმებულა აღნიშნული ბრძანებულებით განსაზღვრული და დადგენილი ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემის პირობა და წესი.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის განმარტება, რომ მოსარჩელის მიერ აღნიშნული მოთხოვნა წარდგენილი უნდა ყოფილიყო “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 127.1 მუხლით დადგენილ ერთი თვის ვადაში, ვინაიდან, სასამართლოს აზრით, აღნიშნული კანონით მოწესრიგებულია საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა. კანონმდებელი “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 127.1 მუხლში მითითებულ სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანების, განკარგულების, გადაწყვეტილების, აგრეთვე მოქმედების გასაჩივრებაში არ გულისხმობდა კანონით დაკისრებული ვალდებულების –ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაუცემლობის თაობაზე ერთი თვის ვადაში სასამართლოში დავის დაწყებას, უმოქმედობის გასაჩივრებას, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება არა მხოლოდ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს, არამედ უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

ადმინისტრაციული ორგანოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოქმედების განხორციელებლობა –ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაუცემლობა პირდაპირ და უშუალო ინდივიდუალურ ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს და საქმეზე გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლი, რომლის თანახმად, “თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალეს განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი დაიკვას ამ მოქმედების განხორციელებისაგან”.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ 2005 წლის 31 აპრილს მოქმედი რედაქციით საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 4 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო მსმენელისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით) ეძლევათ ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით: ა) 2 წლამდე (მაგრამ არანაკლებ 6 თვისა) –სამმაგი; ბ) 2-დან 10 წლამდე –ხუთმაგი, ხოლო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს 10 წლამდე –ექვსმაგი; გ) 10-დან 15 წლამდე –რვათმაგი; დ) 15-დან 20 წლამდე –ათმაგი; ე) 20 წელზე და მეტი –თორმეტმაგი. კონტრაქტის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნისას (გარდა ოფიცერთა შემადგენლობისა) ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება არ გაიცემა.” აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის გათავისუფლების დროისთვის 33-ე მუხლი არ ითვალისწინებდა რეორგანიზაციის გამო პირის გათავისუფლებისას ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემის შესაძლებლობას.

აპელანტის განმარტებით, ვინაიდან მოსარჩელე შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნილია 2005 წელს, მასზე 33-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის მოქმედება ვერ გავრცელდება, რადგან იგი შეჩერებული იყო 2006 წლის 1 იანვრამდე, ანუ აღნიშნული ნორმა არ ვრცელდებოდა 2005 წელს დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი საკასაციო საჩივარს აფუძნებდა ძირითადად იმავე გარემოებებზე, რაზეც მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი გ. ბ-შვილი დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2005 წლის 31 აპრილიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად (რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით).

გ. ბ-შვილის წელთა ნამსახურობა 2005 წლის აპრილის ბოლოსათვის შეადგენს 27 წელს, 5 თვესა და 30 დღეს. ეს უკანასკნელი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხარეო ინსპექციაში მუშაობის დროს იღებდა ფულად კმაყოფას -სარგოს სამხედრო წოდებისათვის -60 ლარს და სარგოს თანამდებობისათვის -230 ლარს. ასევე იღებდა პროცენტულ დანამატს ნამსახურობისათვის -87 ლარის ოდენობით და კვების კომპენსაციას სასურსათო ულუფის ნაცვლად -59 ლარის ოდენობით.

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების გაცემა.

"საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე პუნქტის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილ იქნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო, ნამსახური წლების მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-ს და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით -20 წელი და მეტი -თორმეტმაგი ოდენობით.

ზემოხსენებული ბრძანებულების 33¹ პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილ იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევისას, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

საგულისხმოა, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61¹ პუნქტის თანახმად, ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება განახლდა 2006 წლის 1 იანვრიდან, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 სექტემბრის #531 ბრძანებულებით, ზემოაღნიშნული 33¹ პუნქტი ბრძანებულებიდან საერთოდ იქნა ამოღებული. ამდენად, პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის

#-493 ბრძანებულების 33¹ პუნქტმა იმოქმედა 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 21 სექტემბრამდე.

საკასაციო სასამართლო ვერ მიიღებს კასატორის არგუმენტაციას ზემოაღნიშნული 33¹ მუხლის იმ პირებზე გავრცელების დაუშვებლობის შესახებ, რომლებიც გათავისუფლდნენ 2005 წელს და იზიარებს სასამართლოთა მოტივაციას იმის თაობაზე, რომ ბრძანებულების 61¹ პუნქტის საფუძველზე მოხდა 33¹ პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების მიღების უფლების რეალიზების გადავადება 2006 წლის 1 იანვრამდე, რაც არ ნიშნავს მითითებული პუნქტით განსაზღვრული და დადგენილი უფლების გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #-493 ბრძანებულების 33¹-ე პუნქტი გაუქმდა 2007 წლის 21 სექტემბერს, ხოლო სარჩელი სასამართლოში აღძრულია 2008 წლის 1 თებერვალს. ამდენად, სარჩელით მიმართვის მომენტისათვის არ არსებობდა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს განისაზღვროს, მოახდინა თუ არა მოსარჩელემ უფლების რეალიზება ნორმის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლზე და აღნიშნავს, მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების მისაღებად.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულ მუხლებზე დაყრდნობით საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლიოს, მოახდინა თუ არა გ. ბ-შვილმა თავისი უფლებების დროულად რეალიზება; არსებობს თუ არა სარჩელით მიმართვის მომენტისათვის მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლევა თუ არა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული გარემოებების დადგენა-გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილების მიღება, რა მიზნითაც საქმეს ხელახალი განხილვისათვის უბრუნებს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კვების კომპენსაციაზე უარი
ხანდაზმულობის გამო

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

#-ბს-1708-1662(კ-08) 23 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ნ. ქადაგიძე

სარჩელის საგანი: სახელფასო დავალიანების, სანივთე ქონების კომპენსაციისა და კვების კომპენსაციის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 23 ოქტომბერს და 12 ნოემბერს ვ. ბ-შვილმა სასარჩელო და დაზუსტებული სასარჩელო განცხადებებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 1998_2000 წლებში იგი მსახურობდა #-22662 სამხედრო ნაწილში. აღნიშნულ წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალიანებამ მის მიმართ, ხელზე ასაღები თანხის სახით, შეადგინა 1598,57 ლარი, მათ შორის: ხელფასის თანხა -606,2 ლარი, კვების კომპენსაცია -664,66 ლარი, მატერიალური დახმარება -84,92 ლარი, ჯილდო -242,79 ლარი. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მას ასევე მიუღებელი ჰქონდა ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონების კომპენსაცია 921,12 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ ზემოთ მითითებული დავალიანებისა და სანივთე ქონების კომპენსაციის გადახდა დაკისრებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 1998-2000 წლების დარიცხული სახელფასო დავალიანების -1930,03 ლარისა და 2004-2006 წლების ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონების კომპენსაციის -921,12 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, კერძოდ, საქართველოს #-22662 სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსის 2007 წლის 1 ოქტომბრის #-349 და 2007 წლის 5 ოქტომბრის #-356 ცნობების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ბ-შვილი ნამდვილად მსახურობდა #-22662 სამხედრო ნაწილში, მისი 1998-2000 წლების დავალიანება (დარიცხული) შეადგენდა 1930,03 ლარს, ხოლო ხელზე გასაცემი თანხა -1598,57 ლარს, 2004-2006 წლების მიუღებელი სანივთე ქონების კომპენსაცია -921,12 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლი მოსარჩელეს ანიჭებდა შესაძლებლობას, მოეთხოვა სახელმწიფოსაგან მიუღებელი შრომითი გასამრჯელო -ხელფასი, ფულადი ჯილდო, მატერიალური დახმარება და სასურსათე ულუფა, რადგან ამ მოთხოვნის უფლების რეალიზების შესაძლებლობა არ იყო შეზღუდული დროის კონკრეტული მონაკვეთით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი სასარჩელო მოთხოვნას კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, ვინაიდან "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. აქედან გამომდინარე, კასატორი საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობისას წარმოშობილი დავის დროს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის გამოყენებას კანონიერად მიიჩნევს. კასატორი განმარტავს, რომ: ა) იმ შემთხვევაში თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა სახელშეკრულებო ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა; ბ) იმ შემთხვევაში თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო მოსარჩელისათვის თითოეული თვის ან პერიოდის ჯილდოს, კვების კომპენსაციისა და მატერიალური დახმარების გაცემისათვის დაწყებული დღის მეორე დღიდან. კასატორის განმარტებით, სარჩელი სასამართლოში შეტანილი იყო 2007 წელს. ამდენად, სარჩელის შეტანის დროს მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადები.

კასატორის განმარტებით, სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2007 წლის 12 ნოემბერს. მისი შეტანის დროს მოსარჩელეს არ ჰქონდა სამხედრო მოსამსახურის სტატუსი, სასარჩელო მოთხოვნა კი ეხება 2004-2006 წლების სანივთე კომპენსაციას. მოსარჩელეს უფლება არ ჰქონდა, მოეთხოვა 2004-2006 წლების სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება, რადგან მოსარჩელე სარჩელის შეტანის დროისათვის სამხედრო მოსამსახურეს აღარ წარმოადგენდა, ხოლო "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით, ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია ეძლევათ მოქმედ სამხედრო მოსამსახურეებს და იგი არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ყოფილ სამხედრო პირებზე, რომლებსაც არ ესაჭიროებათ ფორმის ტანსაცმელი და, შესაბამისად, კომპენსაციის მოთხოვნა მათი მხრიდან უსაფუძვლოა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული ცნობები შეაფასა დავალიანების აღიარებად, რაც არაკანონიერია, რადგან აღიარება ან დაპირება მხოლოდ მაშინ წარმოშობს ვალდებულებას, თუ იგი მიღებულია უფლებამოსილი პირის მიერ და თუ მას ინფორმაციული ხასიათი არა აქვს. კონკრეტულ შემთხვევაში მათ მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი გააჩნია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 22 იანვრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ვ. ბ-შვილისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება ვ. ბ-შვილისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის -826 ლარის ვ. ბ-შვილისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასა-

ციო საჩივრის განხილვა დაშვებულ ნაწილში დაინიშნა 2009 წლის 23 აპრილს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ვ. ბ-შვილისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება ვ. ბ-შვილისათვის ხელფასის თანხის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის -826 ლარის ვ. ბ-შვილისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს ვ. ბ-შვილისათვის მხოლოდ კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 1998_2000 წლებში ვ. ბ-შვილი მსახურობდა #22662 სამხედრო ნაწილში. აღნიშნულ წლებში, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, კერძოდ, საქართველოს #22662 სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსის 2007 წლის 1 ოქტომბრის #349 და 2007 წლის 5 ოქტომბრის #356 ცნობების თანახმად, ვ. ბ-შვილისათვის დარიცხული სახელფასო დავალიანება შეადგენდა 1930,03 ლარს, მათ შორის: ხელფასის თანხა -718,66 ლარს, კვების კომპენსაცია -826 ლარს, მატერიალური დახმარება -84,92 ლარს და ჯილდო -300,45 ლარს, ხოლო სანივთე ქონების კომპენსაცია -921,12 ლარს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კვების კომპენსაცია არ წარმოადგენს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გაცემელება, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იმავე პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. კვების კომპენსაცია წარმოადგენს "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამდენად, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობდა კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის - ულუფისა და სანივთე უზრუნველყოფის -ფორმის ტანსაცმლის სახით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების და-

ფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან – სასურსათო ულუფისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული “საჯარო მოსამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 134¹ მუხლში. ამდენად, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა (“საჯარო მოსამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 134¹ მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო სამმართველოს (ან სამხედრო ნაწილის) მიერ გაცემულ საინფორმაციო ხასიათის ცნობაში სახელფასო დავალიანებასთან ერთად, მითითებულია კვების ულუფის დავალიანებაზე, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების ულუფის დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “მ” ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

რაც შეეხება ვალის აღიარების საკითხს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი განხილულ იქნეს ამ ორგანოს მიერ ვალის აღიარებად, მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე. ამასთან, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალში დაუბრუნდება ამ საკითხს და/ან ანაზღაურებს დავალიანებას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა კვების კომპენსაციის თანხის – 826 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულია, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კი არ უღიარებია მოსარჩელის წინაშე კვების კომპენსაციის დავალიანება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება ვ. ბ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის – 826 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კვების კომპენსაციის თანხის – 826 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების თაობაზე ვ. ბ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ -კვების კომპენსაციის ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება ვ. ბ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის -826 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ბ-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის თანხის -826 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-1185-1147(კ-08) 6 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: კვების კომპენსაციის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

10.10.07წ. ნ. მ-ნოვამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსარჩელემ მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ 1998-1999-2000წწ. მიუღებელი ხელფასის, ჯილდოს, კვებისა და მატერიალური დახმარების -1348 ლარისა 35 თეთრის, და სანივთე ქონების კომპენსაციის -996 ლარის და 37 თეთრის, სულ -2344 ლარისა და 72 თეთრის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.02.08წ. გადაწყვეტილებით ნ. მ-ოვას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნ. მ-ოვას სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების -1348 ლარისა და 35 თეთრის გადახდა; ნ. მ-ოვას უარი ეთქვა სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურებაზე. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. აპელანტმა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.06.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.02.08წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სადავო ვალის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საქმის მასალებში დაცული, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის 08.10.07წ. ცნობით აღიარებული იქნა დავალიანება, რაც სადავო თანხის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების საფუძველს ქმნიდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.06.08წ. განჩინება 21.08.08წ. საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. კასატორმა გაასაჩივრებული განჩინების გაუქმება და თავდაცვის სამინისტროსათვის სადავო თანხის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 17.12.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის დაკმაყოფილების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ხოლო ხელფასის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ნ. მ-ოვას სასარგებლოდ კვების კომპენსაციის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ნ. მ-ოვას სარჩელი კვების კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

“სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 37-ე მუხლის თანახმად, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) თანამდებობრივი სარგოს გარდა მიეკუთვნება აგრეთვე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში, “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, იღებს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის –ულუფის სახით. კვების კომპენსაცია წარმოადგენს “სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” კანონის 12.3 მუხლით განსაზღვრული სასურსათო ულუფის კომპენსაციას. “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 134¹ მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურისათვის წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება. შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ კანონებით აღიარებულია წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან –სასურსათო ულუფისაგან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ხანდაზულობის გამომრიცხავი კანონმდებლობის ხსენებული ნორმები აღნიშნულ კომპენსაციაზე ვერ გავრცელდება, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ. მისაღები კომპენსაციის სახეს, სამხედრო მოსამსახურეზე სასურსათო ულუფის ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციის გაცემის ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. აღნიშნული ვადა უნდა აითვალოს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუქცევით. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს მისაღები აქვს 1998-2000წწ. კვების კომპენსაცია. ვინაიდან სარჩელის აღძვრის მომენტისათვის (10.10.07წ.) გასული იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, მისი მოთხოვნა ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში დაცული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის 01.10.07წ. №-855 ცნობა არ წარმოადგენს ვალის აღიარებას. ცნობა ინფორმაციულ ხასიათს ატარებს და ადასტურებს არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგებოდა მოსარჩელეს. ფაქტის და სარჩელის აღიარება არ არის იდენტური ცნებები, ფაქტის აღიარება არის მტკიცებულება, ხოლო სარჩელის აღიარება არის დისპოზიციური პრინციპიდან გამომდინარე განკარგვითი აქტი, ფაქტის აღიარება არ ნიშნავს სარჩელის აღიარებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება სამინისტროსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის თანხების დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით სამინისტროს მოსარჩელე ნ. მ-ოვას სასარგებლოდ უნდა დეკისროს სახელფასო დავალიანების, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ანაზღაურება, რაც საშემოსავლო გადასახადით დაბეგრული კვების კომპენსაციის -672 ლარის გამოკლებით შეადგენს 676 ლარს და 25 თეთრს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.06.08წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.02.08წ. გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ნ. მ-ოვას სასარგებლოდ კვების კომპენსაციის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. არ დაკმაყოფილდეს ნ. მ-ოვას სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის დაკისრების ნაწილში;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.02.08წ. გადაწყვეტილების და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.06.08წ. განჩინების კანონიერ ძალაში შესული ნაწილების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნ. მ-ოვას სასარგებლოდ დაეკისროს 676 ლარი და 25 თეთრი;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამხედრო მოსამსახურისათვის
ერთჯერადი დახმარება**

განჩინება

#-ბს-1648-1602(კ-08) 14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ნ. ქადაგიძე**

სარჩელის საგანი: ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 13 მაისს მოსარჩელე გ. ქ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოპასუხისგან ერთდროული (გამოსასვლელი) დახმარების სახით ფულადი სარგოს თორმეტმაგი ოდენობის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 11 მაისის #1272 ბრძანებით დათხოვნილი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით (რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით).

მოსარჩელის განმარტებით, "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის ნოემბრის #493 ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება შეჩერებული იყო 2006 წლის 1 იანვრამდე, თუმცა აღნიშნულ ნორმას 2006 წლის 1 იანვრის შემდეგ არ განუცდია რაიმე ცვლილება. შესაბამისად, მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებული იყო, აენაზღაურებინა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება.

მოსარჩელის მითითებით, მან ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომლის 2008 წლის 29 იანვრის #81486 წერილით უარი ეთქვა ანაზღაურებაზე. მის მიერ ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრებულ იქნა აღნიშნული უარი, თუმცა დღემდე არ მიუღია პასუხი.

მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური

დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის ნოემბრის #493 ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება ამავე ბრძანებულების 61¹ პუნქტის საფუძველზე შეჩერებული იყო 2004 წლის 31 დეკემბრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული ნორმის მოქმედების შეჩერებით ასევე შეჩერდა კონკრეტული საბიუჯეტო წლის -2005 წელს დათხოვნილ პირებზე ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვალდებულება, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე გ. ქ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა: მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ 4320 ლარის გადახდა დაეკისრა.

სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ “საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის ნოემბრის #493 ბრძანებულების, “სამხედრო მოსამსახურეთა სტატუსის შესახებ” და “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული სოციალური პირობების მოწესრიგების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებსა და სამოქალაქო პირებს განესაზღვრათ და დაუდგინდათ სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობები. ამავე ბრძანებულებით დაწესებულ იქნა ფულადი სარგოები, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრა თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების ჯამით. ამავე ბრძანებულების 33-ე პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან, ზღვრული ასაკის მიღწევას, ავადმყოფობის ან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით, ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოს შემდეგი ოდენობით: 20 და მეტ წელზე -თორმეტმაგი ოდენობა.

სასამართლოს განმარტებით, 2004 წლის 31 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის #640 ბრძანებულებით ცვლილება იქნა შეტანილი #493 ბრძანებულებაში და ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი იმ პირებზე, ვინც დათხოვნილი იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევას, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, განისაზღვრა 33¹ პუნქტით, რომლის მოქმედებაც ამავე ბრძანებულების 61¹ პუნქტით შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე, ხოლო შემდეგ განახლდა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელი წარდგენილი უნდა ყოფილიყო “საჯარო სამსახურის შესახებ” 127-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში, კერძოდ, სამსახურიდან გათავისუფლებიდან ერთი თვის ვადაში. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული კანონით მოწესრიგებული იყო საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, მოსამსახურეთა სამართლებრივი მდგომარეობა. აღნიშნული კანონის 37-ე მუხლით დაეკისრა ადმინისტრაციულ ორგანოს შრომითი გასამრჯელოს გაცემის ვალდებულება. ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მიმართ უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, ვინაიდან ხსენებული დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებდა დროს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული, ვინაიდან სარჩელი შეტანილი იყო კანონით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დაცვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, 2004 წლის 31 დეკემბრის საქართველოს პრეზიდენტის #640 ბრძანებულებით ცვლილება შევიდა #493 ბრძანებულებაში, რის საფუძველზეც ამ ბრძანებულების 33-ე პუნქტი გაიყო ორ პუნქტად და ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი იმ პირებზე,

რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, განისაზღვრა 33¹ პუნქტით. იმავე #–640 ბრძანებულების 61¹ პუნქტით ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პრეზიდენტის #–640 ბრძანებულების 33¹ პუნქტით მოხდა უფლების აღიარება (ნამსახური წლების მიხედვით სამხედრო მოსამსახურეებს მიეცათ ერთჯერადი დახმარების ფულადი სარგოს სახით მიღების უფლება), ხოლო იმავე ბრძანებულების 61¹ პუნქტში ჩაიდო უფლების რეალიზაციის მექანიზმი, რაც იყო იმის საფუძველი, რომ ნორმის შეჩერებით სახელმწიფომ აღიარა მოსარჩელის უფლება ფულადი დახმარების მიღებაზე, ხოლო, რაც შეეხებოდა აღიარებული უფლების რეალიზებას, იგი უკავშირდებოდა დროის შემდგომ პერიოდს, ანუ უფლების აღსრულება გადავადდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის ნოემბრის #–493 ბრძანებულებას დაემატა 61¹ პუნქტი, რომლითაც ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული 33¹ პუნქტის შეჩერებით კანონმდებელმა დროებით კი არ შეაჩერა ან გადაავადა ამ მუხლით გათვალისწინებული ფულადი თანხებით გაცემის ვალდებულება, არამედ გაათავისუფლა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამ ვალდებულების შესრულებისგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 26 თებერვლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 14 მაისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 11 მაისის #–1272 ბრძანებით გ. ქ-შვილი დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის (რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით) თანახმად. საქმეში არსებული გ. ქ-შვილის ნამსახურობის ნუსხის თანახმად, მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე მსახურობდა 1977 წლიდან დათხოვნის დღემდე -29 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #–493 ბრძანებულების 33-ე პუნქტის "ე" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის, ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების

ჩათვლით), ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით -20 წელი და მეტი -თორმეტმაგი ოდენობით.

ზემოხსენებული ბრძანებულების 33¹ პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61¹ პუნქტის თანახმად, ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება განახლდა 2006 წლის 1 იანვარს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33¹ მუხლი, ამოღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 სექტემბრის #531 ბრძანებულებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 2008 წლის 29 იანვრის #-81486 ცნობის თანახმად, გ. ქ-შვილს მისი 2007 წლის 24 იანვრის განცხადებაზე უარი ეთქვა, კერძოდ, ხსენებულ ცნობაში აღნიშნული იყო, რომ გ. ქ-შვილი დათხოვნილ იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 11 მაისი #-1272 ბრძანებით 2005 წლის 28 აპრილიდან შეიარაღებული ძალების რიგებიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით (რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით). ამავე ცნობაში მითითებული იყო, რომ აღნიშნული პერიოდისათვის მოქმედებდა "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულება, რომლის 33¹ პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილნი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, მიეცემოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით: ა) 2 წლამდე (მაგრამ არანაკლებ 6 თვისა) -სამმაგი; ბ) 2-დან 10 წლამდე -ხუთმაგი, ხოლო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს 10 წლამდე -ექვსმაგი; გ) 10-დან 15 წლამდე -რვათმაგი; დ) 15-დან 20 წლამდე -ათმაგი; ე) 20 წელი და მეტი -თორმეტმაგი.

ამავე ცნობის მიხედვით, ვინაიდან საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან გ. ქ-შვილის დათხოვნა განხორციელდა 2005 წელს, მასზე ზემოაღნიშნული ბრძანებულების 33¹ პუნქტი ვერ გავრცელდებოდა, რადგან აღნიშნული პუნქტის მოქმედება ამავე ბრძანებულების 61¹ პუნქტით 2006 წლის 1 იანვრამდე შეჩერებული იყო. შესაბამისად, 33¹ პუნქტით განსაზღვრული პირობა ვრცელდებოდა მხოლოდ იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიქმნა 2006 წელს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია გ. ქ-შვილის 2008 წლის 24 იანვრის განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს ერთჯერად (გამოსასვლელი) დახმარებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მტკიცებულებები იმის თაობაზე მოახდინა თუ არა მოსარჩელემ უფლების რეალიზება ნორმის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით, ხოლო საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ დაადგენს აღნიშნულ გარემოებას საქმეში არსებული წინააღმდეგობრივი ცნობების გამო.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის "გ" და "ე" ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწ-

ყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის საფუძვლებზე და სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დევნილებისათვის შემწეობის გაცემის დროის დადგენა

განჩინება

#-ბს-75-73(კ-09)

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

მ. ცისკაძე,

ნ. ქადაგიძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 15 დეკემბერს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხესს "... " მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 2001 წელს ჩატარებული ტენდერის საფუძველზე სს "... " და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შორის 2001 წლის 30 აპრილს გაფორმებული და შემდგომში ყოველთვიურად განახლებადი ხელშეკრულების თანახმად, სს "... " ვალდებული იყო, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში დაერიგებინა დევნილთა შემწეობის თანხები, ეცნობებინა ინფორმაცია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის, თუ რამდენმა დევნილმა მიიღო შემწეობის თანხა, რამდენი დარჩა ნაშთი და რამდენ დევნილს არ მიუღია შემწეობა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ არაერ-

თხელ მიმართა წერილით სს "... ადნიშნული ინფორმაციის მისაღებად, რაზეც პასუხი არ მიუღია.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2003 წლის 13 ოქტომბერს სს "...-ს" სამინისტრომ გადაუარიცხა სექტემბრის შემწეობის თანხა -3175187 ლარი, რომლის დარიგებაც 2003 წლის 20 ნოემბრისათვის არ იყო დამთავრებული და ბანკს აღნიშნულზე არანაირი ინფორმაცია წარუდგენია. ამდენად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე გადაცილებული იყო 25 დღე.

მოსარჩელის განმარტებით, ბანკმა არ შეასრულა ხელშეკრულების 3.1.3 და 3.4.1 პუნქტების მოთხოვნები. ამდენად, ხელშეკრულების 3.4.11 პუნქტის თანახმად, ბანკი ვალდებული იყო, ჯარიმის სახით სამინისტროსათვის გადაეხადა გადარიცხული თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სს "...-თვის" მის სასარგებლოდ ჯარიმის სახით -396875 ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოპასუხე სს "... სარჩელი არ ცნო და შესაგებელში აღნიშნა, რომ 2002 წლის ოქტომბრიდან სს "... ინტენსიურად დაიწყო ანაბარიზაციის პროცესი, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული და 2003 წლის იანვრიდან დევნილთა შემწეობის თანხები სისტემატურად ირიცხებოდა მათ ანგარიშებზე, ანუ დევნილთა კუთვნილ თანხებს ისინი დაუყოვნებლივ ღებულობდნენ, ხოლო ანაბრებიდან იღებდნენ მაშინ, როცა მოისურვებდნენ.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განჩინებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ შეფასებებს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, რაიონულმა სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ სარჩელში არ იყო მითითებული, თუ რა პერიოდს ეხებოდა მასში მითითებული დარღვევები, ხოლო იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა მოპასუხეს ინფორმაციის მისაღებად, მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა განმარტებას იმის თაობაზე, რომ "ლტოლვილებზე და იძულებით გადაადგილებულ პირებზე ყოველთვიური ფულადი შემწეობებისა და პენსიების გაცემის შესახებ" საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს #19 მეთოდური მითითების თანახმად, დევნილს უფლება ჰქონდა, კუთვნილი ფულადი შემწეობა მიეღო მისთვის სასურველ დროს. მოსარჩელის მიერ კი ვერ იქნა წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხემ დროულად არ გადასცა დევნილებს მათთვის ჩარიცხული თანხები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ 2003 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტი ავალდებულებდა ბანკს, გაეცა თანხები რაღაც კონკრეტულ ვადაში და განმარტა, რომ აღნიშნული მუხლით განსაზღვრული იყო ბანკის ვალდებულება, შეედგინა შემწეობის გაცემის ზუსტი გრაფიკი, რომელშიც, რეგიონში დევნილთა რაოდენობიდან გამომდინარე, უნდა გაეთვალისწინებინა შემწეობის გაცემის დამთავრება, არა უმეტეს 10 საბანკო დღის განმავლობაში და უზრუნველყო დევნილთათვის მათი გაცნობა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულ მუხლში საუბარი იყო მხოლოდ გრაფიკის შედგენასა და დევნილთათვის მათ გაცნობაზე და არა დევნილთა შემწეობის 10 დღის განმავლობაში დარიგებაზე.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მითითებას, რომ მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი საბუთი, თუ რა პერიოდში უნდა დაესრულებინა ბანკს ჩარიცხული თანხების გაცემა. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოპასუხის მიერ წარმოდგენილ იქნა საბანკო ანგარიშის ამონაწერები, რომლებითაც დასტურდებოდა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება. მოსარჩელის მიერ ასევე ვერ იქნა უარყოფილი მოპასუხის განმარტება, რომ ყოველთვიურად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადაეცემოდა საბანკო ანგარიშების ამონაწერები, სადაც გარკვევით იყო მითითებული, თუ რა თანხა ჩაირიცხა ბანკში და რა პერიოდში გადაირიცხა შესაბამის ფილიალებში, როდის რამდენი თანხა იქნა დარიგებული და რას შეადგენდა დაურიგებელი ფულადი სახსრების ნაშთი, საიდანაც ცალსახად დადგენილი იყო იმ დევნილთა რაოდენობა, რომელიც ამონაწერის გაცემის დროს არ გამოცხადდა შემწეობის თანხის მისაღებად.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ ვერ იქნა გაბათილებული ისინი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სასამართლოებმა არასწორად განმარტეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და სს "...-ს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტი და მიუთითეს, რომ ხსენებულ პუნქტში საუბარი იყო მხოლოდ გრაფიკის შედგენასა და დევნილთათვის მათ გაცნობაზე და არა დევნილთა შემწეობის თანხების 10 დღის განმავლობაში დარიგებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორი განმარტავს, რომ ხსენებული ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტის საფუძველზე, ბანკი ვალდებული იყო შეედგინა შემწეობის ზუსტი გრაფიკი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო შემწეობის გაცემის დამთავრება არა უმეტეს 10 დღის განმავლობაში, ვინაიდან ბანკი შემწეობის გაცემას ახორციელებდა ამ გრაფიკის საფუძველზე, ხოლო ხელშეკრულებაში იმპერატიულად იყო გათვალისწინებული გრაფიკში შემწეობის გაცემის დამთავრება გარკვეულ ვადაში (რომლის გაზრდაც ბანკს არ შეეძლო), შესაბამისად, ბანკი ვალდებული იყო არა უმეტეს 10 დღის ვადაში გაეცა შემწეობები დევნილთათვის. ამას ადასტურებდა თავად სს "...-ს" მიერ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილისადმი 2003 წლის 21 ოქტომბერს მიწერილი №-07/748 წერილი, რომლის თანახმად, ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტი ითვალისწინებდა შემწეობის თანხების 10 დღეში დარიგებას. მართალია, სს "...-ს" იმასაც აღნიშნავდა, რომ 2002 წლის დეკემბერში სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ თათბირზე თითქოს მხარეებს მიუთითეს, რომ თანხების დარიგება შეუზღუდავად უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ კასატორის განმარტებით, ამას არ შეიძლება მინიჭებოდა იურიდიული ძალა, ვინაიდან თუ აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იგი უნდა გამოცემულიყო წერილობით. ამასთან, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხელშეკრულება გაფორმებული იყო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და სს "...-ს" შორის და მისი პირობების შეცვლა შეიძლება მხოლოდ ხელშეკრულებით. ასეთი რამ კი არ განხორციელებულა. ამასთან, იმავე წერილში აღნიშნული იყო, რომ მხარეთა შორის ტენდერით განსაზღვრული ხელშეკრულების 3.4.6 მუხლით გათვალისწინებული იყო დევნილთა თანხების ანაბარიზაციის საკითხიც, რომელიც თითქოს, სამინისტრომ თვითნებურად ამოიღო ხელშეკრულებიდან 2003 წლის იანვრის შემდგომ. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და სს "...-ს" შორის დადებულ ყველა ხელშეკრულებას ხელს აწერდა ორივე მხარე, რაც გამორიცხავდა ცალმხრივად ხელშეკრულების შეცვლას.

კასატორის განმარტებით, ის, რომ შემწეობის თანხები ექვემდებარებოდა გარკვეულ ვადაში გაცემას, ამაზე მიუთითებდა ხელშეკრულების 3.4.7 პუნქტიც, რომლითაც ბანკი ვალდებული იყო, მორიგი შემწეობის გაცემის შემდეგ სამინისტროსათვის წარედგინა ინფორმაცია არგამოცხადებულ დევნილთა რაოდენობისა და მათზე გასაცემი თანხის ნაშთის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ საუბარი იყო შემწეობის გაცემის კონკრეტულ ვადაზე და ანაბარიზაციის დაშვების შემთხვევაში იგი აზრს კარგავდა.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 874-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ანაბარზე საკრედიტო დაწესებულება მოიპოვებს საკუთრების უფლებას და შესაბამისად, შეუძლია იგი გამოიყენოს ნებისმიერი დანიშნულებისათვის, მაგრამ მეთოდური მითითებით, ბანკს კატეგორიულად ეკრძალებოდა სამინისტროს მიერ გადარიცხული შემწეობის გასაცემად განკუთვნილი თანხები გამოეყენებინა სხვა დანიშნულებით. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ანაბარს უნდა დაერიცხოს პროცენტი, რასაც ბანკი არ აკეთებდა. პირიქით, იგი თავად იღებდა მომსახურებისათვის გადარიცხული თანხის 1%-ს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიუთითებს, რომ სისტემატურად განახლებადი ხელშეკრულებებით ბანკი ვალდებული იყო, არა უმეტეს 10 დღის ვადაში გაეცა შემწეობები დევნილთათვის, ხოლო სხვა რაიმე პირობებზე მხარეები არ შეთანხმებულან.

კასატორი მიუთითებს, რომ სს "...-ს" მიერ 2002 წლის დეკემბერში სამინისტროსადმი გაგზავნილი წერილის მიუხედავად, მოპასუხემ განმარტა, რომ 2002 წლის ოქტომბრიდან სს "...-ს"

დაიწყო ანაბარიზაციის პროცესი, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, რასაც კასატორი არ დაეთანხმა.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, თითქოს სარჩელში არ იყო მითითებული თუ რა პერიოდს ეხებოდა დარღვევები, ვინაიდან იმავე გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილიდან ირკვეოდა, რომ მოთხოვნა შეეხებოდა 2003 წლის ოქტომბერში გადა-რიცხულ სექტემბრის შემწეობის თანხებს -3 175 187 ლარის ოდენობით.

კასატორის განმარტებით, 2003 წლის 1 სექტემბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სს "...-ს" გადაერიცხა დევნილთა სექტემბრის თვის შემწეობები -3 175 187 ლარი. ხელშეკრუ-ლებიდან გამომდინარე, მას ეს თანხა დევნილებზე უნდა გაეცა 10 დღის განმავლობაში, ანუ არა უგვიანეს 2003 წლის 23 ოქტომბრისა, მაგრამ იმ დროისათვის გაცემული იყო ხსენებული თანხის მხოლოდ ნაწილი. ბანკი თანხებს გასცემდა ეტაპობრივად, ნაწილ-ნაწილ და მას გადარიცხული თანხის გაცემა არ თუ იმავე წლის 20 ნოემბრისათვის არ დაუსრულებია, არამედ დღემდე გააჩნდა აღნიშნული გადარიცხვიდან დარჩენილი ვალი.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს ვადების დარღვევის გადაბრალებას დევნილებზე, რომ ისინი არ ცხადდებოდნენ დროულად და, ვინაიდან, თითქოს თანხები წარმოადგენდა ანაბარს, დევნილე-ბი ნებისმიერ დროს იღებდნენ შემწეობებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს, რომ შემწეობებისათვის გადარიცხული თანხები არ წარმოადგენდა ანაბარს და ბანკს მისი გაცემა უნდა დაესრულებინა 10 დღეში, რის თაობაზეც სამინისტროსათვის უნდა წარედგინა ანგარიში. 2004 წლის 13 იანვარს სამეგრელო-ზემო სვანეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მიერ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრისადმი მიწერილი #076.01.06/5 წერილიდან ირკვეოდა, რომ ზუგდიდის რაიონში 2004 წლის 13 იანვრის მდგომა-რეობით გაუცემელი იყო დევნილთა შემწეობის თანხა, რაც შეადგენდა 917 692 ლარს. აქედან დევნილებს არ მიუღიათ სექტემბრის შემწეობა 295 421 ლარის ოდენობით. ამასთან, საქართვე-ლოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში წარდგენილი იყო ზუგდიდში ჩასახლებულ დევნილთა განცხადებები თანდართული მტკიცებულებებით, საიდანაც ჩანდა, რომ მათ არ მიუღიათ 2003 წლის სექტემბრის შემწეობები და აღნიშნული ხდებოდა სს "...-ს" ბრალით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სა-ქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მო-საზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებო-ბის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 26 მარტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სა-კასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-სის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრე-ბით 2009 წლის 14 მაისს, 12.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეა-მოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივ-რის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებ-ზე: 2001 წელს ჩატარებული ტენდერის საფუძველზე სს "...-ს" და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შორის 2001 წლის 30 აპრილს გაფორმებული და შემდგომში, ყო-ველთვიურად განახლებადი ხელშეკრულების თანახმად, სს "...-ს" ვალდებული იყო, განეხორციე-ლებინა დევნილთა შემწეობის გაცემასთან დაკავშირებული საბანკო მომსახურება. საქმეში წარმოდ-გენილი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და სს "...-ს" შორის 2003 წლის 1 სექტემბერს დადებული #-19 ხელშეკრულების თანახმად, ხსენებული ხელშეკრულების სა-განს წარმოადგენდა დევნილთა შემწეობის გაცემასთან დაკავშირებული საბანკო მომსახურება საქარ-თველოს მთელ ტერიტორიაზე. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 2003 წლის 1 სექტემბრიდან 2003 წლის 1 ოქტომბრამდე, ხოლო 2003 წლის შესაბამის პერიოდში მომსახურების მოცულობა განისაზღვრა "2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გამოყოფილ ასიგნებათა გათვალისწინებით და შეადგენდა 3 300 000 ლარს. აღნიშნული ხელშეკრულების

3.4.1. პუნქტის თანახმად, ბანკი ვალდებული იყო, შეედგინა შემწეობის გაცემის ზუსტი გრაფიკი, რომელსაც, რეგიონში დევნილთა რაოდენობიდან გამომდინარე, უნდა გაეთვალისწინებინა შემწეობების გაცემის დამთავრება არა უმეტეს 10 საბანკო დღის განმავლობაში და უზრუნველყო დევნილთათვის მისი გაცნობა. ხელშეკრულების 3.4.2. პუნქტის თანახმად, ბანკს უნდა უზრუნველყო დევნილებზე შემწეობის გაცემა სამინისტროს მიერ მიწოდებული მეთოდური მითითებებისა და კომპიუტერული სიის საფუძველზე. ხელშეკრულების 3.1.3. პუნქტის საფუძველზე კი, სამინისტროს უფლება ჰქონდა, ყოველი მორიგი შემწეობის თანხის გაცემის შემდეგ ბანკისთვის მოეთხოვა ანგარიში არგამოცხადებულ დევნილთა რაოდენობისა და მათზე გასაცემი თანხის ნაშთის შესახებ, საფინანსო-სამეურნეო წლის ბოლოს და ხელშეკრულების დამთავრების მომენტისათვის კი - სრული ანგარიში. ამასთან, ხელშეკრულების 3.4.7 პუნქტის თანახმად, ბანკი ვალდებული იყო მორიგი შემწეობის თანხის გაცემის შემდეგ, სამინისტროსათვის წარედგინა ინფორმაცია არგამოცხადებულ დევნილთა რაოდენობისა და მათზე გასაცემი თანხის ნაშთის შესახებ. იმავე ხელშეკრულების 3.4.11 პუნქტით კი დადგენილი იყო, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისას სამინისტროს ჯარიმის სახით უნდა გადაეხადა გადარიცხული თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია ასევე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პირველი მოადგილის 2003 წლის 19 ნოემბრის #-რ-01/01-17/1038 წერილი (პრეტენზია) სს "...", რომლის თანახმადაც 2001 წელს ჩატარებული ტენდერის საფუძველზე სს "...", სამინისტროს შორის 2001 წლის 30 აპრილს და შემდგომში ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები სისტემატურად ირღვეოდა. სამინისტროს მიერ სექტემბრის თვის დევნილთა შემწეობა გადარიცხულ იქნა 2003 წლის 13 ოქტომბერს, თუმცა იმავე წლის 20 ნოემბრისათვის მისი დარიცხვა არ იყო დამთავრებული და არც სს "...-ს" უცნობებია, არ წარუდგენია სამინისტროში ინფორმაცია ხსენებულის თაობაზე. ამდენად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე გადაცილებული იყო 25 დღე და ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, როდის დამთავრდებოდა აღნიშნული. ამდენად, განცხადების ავტორის განმარტებით, სს "...-მ" უხეშად დაარღვია მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების 3.1.3 და 3.4.1 პუნქტის მოთხოვნები, რის გამოც 3.4.11 პუნქტის თანახმად, ბანკი ვალდებული იყო, ჯარიმის სახით, სამინისტროსათვის გადაეხადა გადარიცხული თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა იმ გარემოებებზე, რომ სადავო ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა დევნილთათვის შემწეობის თანხების დარიცხვის ვადებს, ხოლო ბანკის მიერ მორიგი შემწეობის თანხის გაცემის შემდეგ, სამინისტროსათვის არგამოცხადებულ დევნილთა რაოდენობისა და მათზე გასაცემი თანხის ნაშთის შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ხსენებული ინფორმაციის მოთხოვნას სამინისტროს მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და სს "...-ს" შორის 2003 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტის განმარტების თაობაზე და მიუთითა, რომ ხსენებულ პუნქტში საუბარი იყო მხოლოდ გრაფიკის შედგენასა და დევნილთათვის მათ გაცნობაზე და არა დევნილთა შემწეობის თანხების 10 დღის განმავლობაში დარიცხვაზე, რომ არ გამოიკვლია ხსენებული ხელშეკრულების არსი და მიზანი -დროულად მომხდარიყო დევნილთათვის შემწეობის თანხების დარიცხვა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ისე განმარტა ხელშეკრულების სადავო 3.4.1 პუნქტი, რომ არ მოახდინა ხსენებული განმარტების შეჯერება ხელშეკრულების მიზანთან და არ გამოარკვია ხელშეკრულების გაფორმებისას გამოვლენილი მხარეთა ნება. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ იმსჯელა, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ხომ არ ითვალისწინებდა შედეგს შემწეობის თანხის ასაღებად დევნილის არგამოცხადების შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტთან მიმართებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სასამართლო სხდომაზე მიუთითა, რომ შემწეობის გაცემა წარმოადგენდა თანხის გაცემას და არა მხოლოდ ხსენებული თანხის გაცემის თაობაზე გრაფიკის შედგენას. ამდენად, სადავო პუნქტი, რომლის თანახმადაც ბანკი ვალდებული იყო, შეედგინა შემწეობის გაცემის ზუსტი გრაფიკი, რომელსაც, რეგიონში დევნილთა რაოდენობიდან გამომდინარე, უნდა გაეთვალისწინებინა შემწეობების გაცემის დამთავრება არა უმეტეს 10 საბანკო დღის განმავლობაში და უზრუნველყო დევნილთათვის მისი გაცნობა, არ გულისხმობდა მხოლოდ გრაფიკის შედგენას, არამედ აღნიშნული წარმოადგენდა ბანკის ვალდებულებას შეედგინა შემწეობის ზუსტი გრაფიკი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო შემწეობის გაცემის დამთავრება არა უმეტეს 10 დღის განმავლობაში, ვინაიდან ბანკი შემწეობის გაცემას ახორციელებდა ამ გრაფიკის საფუძველზე. ამდენად, გრაფიკი წარმოადგენდა თანხის დარიცხვის საშუალებას, რომელიც

მითითებულ ვადაში უნდა განხორციელებულიყო, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დროულად ვერ მოხდებოდა ხსენებული თანხის დარიგება, სამინისტროს აღნიშნულზე ინფორმაცია უნდა ჰქონოდა, რაზეც სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ ბანკის მხრიდან დევნილთათვის შემწეობის თანხის გაცემა არ დაგვიანებულა, რომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი მასალები, რომლებშიც მოქალაქეები უთითებდნენ მათ მიერ ხსენებული თანხების დაგვიანებით მიღების ფაქტებზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს არ მოუთხოვია ბანკისგან მორიგი შემწეობის თანხის გაცემის შემდეგ, სამინისტროსათვის არგამოცხადებულ დევნილთა რაოდენობისა და მათზე გასაცემი თანხის ნაშთის შესახებ ინფორმაცია, რომ არ იმსჯელა საქმეში წარმოდგენილ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პირველი მოადგილის 2003 წლის 19 ნოემბრის #რ-01/01-17/1038 წერილზე (პრეტენზია), თუ რამდენად წარმოადგენდა ხსენებული წერილი ბანკიდან ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე დოკუმენტს. ამასთან, არ გამოითხოვა სს "...-დან" და არ გამოიკვლია მოსარჩელის მიერ დასახელებული მისი 2003 წლის 4 მარტის #რ-01/01-17/165; 2003 წლის 18 მარტის #რ-01/01-17/220 და 2003 წლის 29 ივლისის #რ-01/01-17/648 წერილები.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სარჩელში არ იყო მითითებული, თუ რა პერიოდს ეხებოდა მასში მითითებული დარღვევები, რომ არ იმსჯელა საქმეში წარმოდგენილ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პირველი მოადგილის 2003 წლის 19 ნოემბრის #რ-01/01-17/1038 წერილზე (პრეტენზია).

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია, შეეძლო თუ არა სს "... საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გადარიცხული შემწეობის გასაცემად განკუთვნილი თანხები გამოიყენებინა სხვა დანიშნულებით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის "გ" და "ე" ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად კი გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რისთვისაც

სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

განჩინება

#-ბს-917-881(კ-08) 3 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს 26.11.2004 წ. განცხადებით მიმართა მ. თ-მემ და მოითხოვა გ. ნ-ინის და ე. ნ-ინის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

განმცხადებელმა განმარტა, რომ გ. პ. ძე ნ-ინს, რომელიც იყო მოსარჩელის მშობლის -ნ. ნ-ინა-თ-ძის მამა, 1922 წელს აჭარისტანის ს.ს.ს.რ-ს #-21 დეკრეტის საფუძველზე მუნიციპალიზაციის წესით ჩამოერთვა ქ. ბათუმში, ყოფილი ... ქ. #-16/41 (ახლანდელი ... ქ. #-41) მდებარე სახლის პირველი სართული მთლიანად, სადაც განლაგებული იყო აფთიაქი და ზედა სართულზე არსებული საცხოვრებელი ფართის ნაწილი. გ. ნ-ინი წლების განმავლობაში ასაჩივრებდა მისთვის ქონების ჩამორთმევის ფაქტს, ხოლო 1931 წელს, გ. ნ-ინის გარდაცვალების შემდეგ, სახლის დარჩენილი ნაწილი მემკვიდრეობით გადავიდა განმცხადებლის ბების -ე. ნ-ინის საკუთრებაში.

01.01.1932 წ., თითქოს სახლის პატრონის პირადი განცხადების საფუძველზე (მიზეზი -დავლიანება, მოუვლელობა, უპატრონობა და სხვ.) სახლის დარჩენილი ნაწილიც, მთლიანად გადავიდა კომუნალური განყოფილების საკუთრებაში. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ე. ნ-ინის მიერ ქონების პირადი განცხადების საფუძველზე კომუნალური განყოფილებისათვის გადაცემის ფაქტი სიმართლეს არ შეეფერება, სინამდვილეში მოხდა სახლის იძულებითი წესით ჩამორთმევა.

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ 1922 და შემდეგ 1932 წლებში მოხდა ჯერ გ. ნ-ინის, ხოლო შემდეგ ე. ნ-ინისათვის ქ. ბათუმში, ყოფილი ... ქ. #-16/41-ში მდებარე სახლის მთლიანად ჩამორთმევა, რაც "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, მიიჩნევა პოლიტიკურ რეპრესიად. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლის მიერ მოთხოვილ იქნა ამავე კანონის მე-6 მუხლის და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გ. ნ-ინისა და ე. ნ-ინის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.04.06წ. აპრილის გადაწყვეტილებით მ. თ-ძის სარჩელი, მოპასუხე -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ, გ. ნ-ინის და ე. ნ-ინის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მ. თ-ძე წამოადგინდა გ. და ე. ნ-ინის შვილიშვილის. გ. ნ-ინს 1922 წელს აჭარისტანის სსსრ-ს №-2¹ დეკრეტის საფუძველზე მუნიციპალიზაციის წესით ჩამოერთვა ქ. ბათუმში ყოფილი ... ქ. №-16/41 (ახლანდელი ... ქ. №-41) მდებარე სახლის პირველი სართული მთლიანად, ხოლო 1932 წ. ე. ნ-ინის განცხადების საფუძველზე სახლის დანარჩენი ნაწილი მთლიანად გადავიდა კომუნალური განყოფილების საკუთრებაში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება ქონების ჩამორთმევის პოლიტიკური მოტივი. 1922 წ. ქონების ჩამორთმევის საფუძველი გახდა მუნიციპალიზაციის წესი, ხოლო 1932 წ. ე. ნ-ინის ქონება ჩამოერთვა პირადი განცხადების საფუძველზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ქონების ჩამორთმევას ან განადგურებას, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწვევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის თანახმად, საქმის გარემოებები ვერ იქნა დადასტურებული გარკვეული სახის მტკიცებულებებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მ. თ-ძის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო საჩივრით, მოსარჩელემ მოითხოვა 14.04.2006 წ. გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი განცხადების დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.05.2008 წ. სხდომაზე მიღებული საოქმო განჩინებით მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის კრწანისი-მთაწმინდის რაიონის ფილიალი შეიცვალა მისი უფლებამონაცვლე -საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოთი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.05.2008 წ. განჩინებით მ. თ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.04.2006 წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ არსებობდა "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების პირობა. ის გარემოება, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №-41-ში (ყოფილი ... ქ. №-16/41) მდებარე ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იყო პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწვევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, სასამართლოს აზრით, მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილი არ არის, რისი ვალდებულებაც თანახმად სასკ-ს მე-17 მუხლისა, ეკისრებოდა მას. საქმის მასალების თანახმად, გ. ნ-ინი თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან გასაბჭოების პირველი დღიდანვე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, ხოლო აპელანტს მათი გამაბათილებელი არგუმენტები სასამართლოსთვის არ წარუდგენია. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სასკ-ს 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული გარემოებები, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.05.2008 წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. თ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.04.2006 წ. გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ. და ე. ნ-ინის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება. კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის დარღვევით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც საფუძველი გახ-

დებოდა მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გ. ნ-ინი იყო მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელი, ხოლო კანონი პირდაპირ განსაზღვრავს ჩამონათვალში "სოციალურ წოდებრივ" კუთვნილების არსებობას, რამაც განაპირობა ის ფაქტორი, რომ ჯერ გ. ნ-ის ჩამოართვეს სახლის ერთი ნაწილი იძულებით, ხოლო მეორე ნაწილის კომუნალურ ფონდზე გადაცემის მოთხოვნით თვით ე. ნ-ის დააწერინეს განცხადება. კასატორი განმარტავს, რომ გ. ნ-ინი წლების განმავლობაში ითხოვდა მისთვის ჩამორთმეული სახლის ნაწილის დაბრუნებას, ხოლო შედეგის მიუღწევლობამ გამოიწვია მისი სიკვდილი. ე. ნ-ინი სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა საცხოვრებელი ბინის დაბრუნებას. მ. თ-მე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტორებზე გარემოებას იმის შესახებ, რომ გ. ნ-ინი თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან, კასატორი თვლის, რომ ადგილი ჰქონდა არა თანამშრომლობას, არამედ პროფესიონალიზმს და იგი როგორც ფარმაცევტი აგრძელებდა მოღვაწეობას. სხვა სახის რეპრესიები გ. ნ-ის მიმართ ვერ განხორციელდა მისი გარდაცვალების გამო.

კასატორის განმარტებით, საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დასაშვებობის წინაპირობებს -საქმე მნიშვნელოვანია სასამართლოს განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული გადაწყვეტილებისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 21.01.2009 წ. განჩინებით მ. თ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქმე სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ გააანალიზა საქმის მასალები და საკასაციო საჩივრის საფუძველები, სსკ-ის 404-ე მუხლის თანახმად შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების საფუძვლიანობა ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით და მიიჩნევს, რომ მ. თ-მის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.05.08წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მ. თოფურიძე არის გ. და ე. ნ-ინების შვილიშვილი და კანონისმიერი მემკვიდრე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. თ-მის წინაპარს გ. ნ-ინს, აჭარისტანის სსრ #-2 დეკრეტის საფუძველზე, 1921 წლის მაისში ჩამოერთვა ქ. ბათუმში, ყოფილი ... ქ. #-16/41 (ამჟამად ... ქ. #-41) მდებარე, სახლის პირველ სართულზე განლაგებული აფთიაქი და მეორე სართულის ნაწილი, რაც აჭარისტანის კომუნალური განყოფილების საბინაო ქვეგანყოფილების 02.02.1922 წ. დადგენილებით ჩაირიცხა კომუნალური მეურნეობის განყოფილების ფონდში. ე. ნ-ინის პირადი განცხადების საფუძველზე 1932 წელს მას ჩამოერთვა სახლის დანარჩენი ნაწილიც მოუფლეთობის მიზეზით, რაც ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის 15.01.1932წ. დადგენილებით მთლიანად გადავიდა კომუნალური განყოფილების საკუთრებაში. აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს 19.05.1922 წ. წერილით და აჭარისტანის ავტონომიური სსრ სახკომსაბჭოს პრეზიდიუმის სახელმწიფო კომისიის 06.06.1922 წ. ოქმით შუამდგომლობა მუნიციპალიტეტული ქონების დაბრუნების შესახებ არ დაკმაყოფილდა, 11.02.1932წ. ოქმით კომუნალური განყოფილებისათვის გადაცემული სახლის უკან დაბრუნებაზე უარი ეთქვა აგრეთვე ე. ნ-ინს.

საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა სასამართლო ინსტანციების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არ არსებობს გ. და ე. ნ-ინების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების საფუძველი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 1921 წელს გ. ნ-ინს ჩამოერთვა ... ქ. #-16/41 მდებარე, სახლის პირველ სართულზე განლაგებული აფთიაქი და მეორე სართულის ნაწილი. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ იმჟამინდელი კანონმდებლობით აფთიაქების ნაციონალიზაცია მოხდა ნორმატიული აქტით, კერძოდ "აფთიაქების ნაციონალიზაციის შესახებ" საქართველოს რევკომის 14.05.1921წ #-287 დეკრეტით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა აფთიაქი, მიუხედავად იმისა ვის საკუთრებასა და დაქვემდებარებაში იყო იგი, აფთიაქის ინვენტარი და მედიკამენტები გამოცხადდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საკუთრებად და დაექვემდებარა ჯანდაცვის სახალხო კომისარს. აჭარისტანის ა/რ 1922წ #-2¹ დეკრეტი შეეხებოდა ქონების მუნიციპალიზაციას. ამდენად, აჭარისტანის კომუნალური მეურნეობის განყოფილების 02.02.1922წ. დადგენილებით კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში ჩაირიცხა უკვე ნაციონალიზებული ქონება. შემდგომში ფართში კვლავინდებურად ფუნქციონირებდა აფთია-

ქი, რომლის გამგე გ. ნ-ინი იყო. საქმეზე დადგენილია, აგრეთვე რომ 1932 წელს სახლის ნაწილი გადავიდა კომუნალური განყოფილების საკუთრებაში ე. ნ-ინის განცხადების საფუძველზე (მიზეზი მოუვლელობა, დავალიანება და უპატრონობა). 18.08.1923წ საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებდა მოუვლელობის მიზეზით ქალაქად საცხოვრებელი შენობის უსასყიდლო მუნიციპალიზაციის წესს (69-ე მუხ., 69-ე მუხლის შენიშვნის დანართი). ამდენად, ფართის მუნიციპალიზაციას საფუძვლად ედო იმავედ მოქმედი ნორმატიული აქტი. ამასთანავე, საქმეში დაცული მასალებით არ დასტურდება აფთიაქის ჩამორთმევის გამო გ. ნ-ინის ინფაქტით გარდაცვალება, აგრეთვე არ დასტურდება ე. ნ-ინის იძულება სახლის მუნიციპალიზაციაზე; ამ მიმართებით კასატორს რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, ხოლო საქმეში დაცული მესამე აფთიაქის გამგის -გ. ნ-ინს ჯერ კიდევ 03.06.1922წ. წერილით სახკომსაბჭოსადმი დასტურდება, რომ სახლი რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის ღირებულების რემონტს საჭიროებდა, რომლის შესრულებას აპირებდა სესხის ხარჯზე. გარდა ამისა, საქმის მასალების მიხედვით, მ. თ-ძის წინაპრებს დარღვეული უფლების აღსადგენად სასამართლოსთვის არ მიუმართავთ, ხოლო 02.06.1922წ., 01.02.1922წ. წერილებით დასტურდება გ. ნ-ინის მიერ "გასაბჭოების დღიდან იშვიათი მოწადინებით და ერთგულებით საბჭოთა მუშაკის სამსახურის გაწევა".

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს რესპუბლიკის გასაბჭოების დღიდან ქონების მუნიციპალიზაციის ყოველგვარი ფაქტი უპირობოდ ვერ იქნება მიჩნეული პოლიტიკურ რეპრესიად. "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულითა სოციალური დაცვის შესახებ" 11.12.1997წ. კანონის მე-2 მუხლის თანახმად, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა -მათ შორის ქონების ჩამორთმევა და განადგურება, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე, ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები. კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მისი წინაპრებისათვის ქონების ჩამორთმევა გამოწვეული იყო მათი სოციალური კუთვნილებით, დაუსაბუთებელია, ვინაიდან ქონების ნაიონალიზაცია-მუნიციპალიზაცია, მართალია, წარმოადგენდა იმდროინდელი პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, მაგრამ ატარებდა საყოველთაო ხასიათს და განხორციელდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. სამართლებრივი აქტები, რომლითაც განხორციელდა ქონების მუნიციპალიზაცია ძალაშია და არ გაუქმებულა. ამდენად, არ არსებობს რეპრესირებულად ცნობის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 394-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა კანონი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, რაც, სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

"საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულითა სოციალური დაცვის შესახებ" კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ მოთხოვნა გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მ. თ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.05.08წ. განჩინება;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიუღებელი პენსიის მოთხოვნის ხანდაზმულობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-1524-1481(კ-08) 9 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: საპენსიო თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ჯ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მიუღებელი საპენსიო თანხის ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლების მოწინააღმდეგე, ყოფილი ოცეულის მეთაური, სამხედრო წოდებით ლეიტენანტი.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

მოსარჩელეს 1994 წლის 9 ივნისიდან დანიშნული ჰქონდა მე-2 ჯგუფის ინვალიდობის პენსია, ხოლო ჭრილობების გაუარესების გამო, 2003 წლის იანვრიდან დაუდგინდა პირველი ჯგუფის ინვალიდობა უვადოდ. მოსარჩელე წლების მანძილზე პენსიას იღებდა თელავის სოცუზრუნველყოფის განყოფილებიდან 45 ლარის ოდენობით. 2003 წელს შეიტყო, რომ პენსია უნდა დანიშნოდა თავდაცვის სამინისტროს ხაზით, რაც იყო გაცილებით მეტი. მოსარჩელემ მიმართა სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს, ხოლო, ვინაიდან 2004 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე სამხედრო მოსამსახურეთა პენსიის დანიშვნა შეჩერებული იყო პრეზიდენტის ბრძანებულებით, პენსია დაენიშნა 2005 წლის დეკემბრიდან. მოსარჩელე ო. ჯ-მემ მიმართა სოცუზრუნველყოფის ფონდს მიუღებელი პენსიის კომპენსაციის თაობაზე, რაზედაც უარი ეთქვა.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა თ. ჯ-მემ სარჩელს მხარი დაუჭირა და მოითხოვა მოსარჩელეს 1993 წლის 9 სექტემბრიდან 2005 წლის 1 დეკემბრამდე აუნაზღაურდეს კუთვნილი პენსიის მიუღებელი თანხა. თ. ჯ-მემ განმარტა, რომ ინვალიდობის ჯგუფის დადგენის შემდეგ სოცუზრუნველყოფის სამსახური ვალდებული იყო, სრულად მიეცა პენსია ო. ჯ-მისათვის.

მოპასუხე საქალაქო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა.

საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ო. ჯ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის თელავის ფილიალის 2006 წლის 10 აგვისტოს #420 ცნობის თანახმად, ო. ჯ-მეს, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მიღებული ჭრილობების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს, სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის თელავის ფილიალიდან 1993 წლის 15 სექტემბრიდან დანიშნული ჰქონდა პენსია 9410 კუპონის, ხოლო 1998 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე -45 ლარის ოდენობით. პენსია შეუწყდა 2006 წლის 1 იანვრიდან თავდაცვის სამინისტროს ხაზით პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით, პირადი განცხადებისა და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საპენსიო განყოფილების 2005 წლის 6 დეკემბრის #814 მომართვის საფუძველზე. ო. ჯ-მეს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2006 წლის 11 ივლისის #გ.05/05-8700 წერილით განემარტა, რომ პენსია, მისი 2005 წლის 6 დეკემბრის განცხადების შემდეგ დაენიშნა 2005 წლის დეკემბრიდან "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ო. ჯ-მის მოთხოვნა 1993 წლის 15 სექტემბრიდან 2005 წლის დეკემბრამდე პერიოდის მიუღებელი პენსიის ანაზღაურების შესახებ იყო უსაფუძვლო, რამდენადაც ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა (მათ შორის მოვალეობის შესრულებისას დაინვალიდე-

ბული პირების) საპენსიო უზრუნველყოფის საკითხები რეგულირდება 1996 წლის 16 ოქტომბრის კანონით "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონით. აღნიშნული კანონის 2005 წლის 23 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-17 მუხლის მიხედვით სამხედრო მოსამსახურეებს დაენიშნებათ ინვალიდობის პენსია, თუ ისინი დაინვალიდნენ სამხედრო სამსახურის პერიოდში. ამასთან, ამავე კანონის 48-ე მუხლით დადგენილია პენსიის დანიშვნის ვადები, კერძოდ, 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პენსიის დასანიშნად დაგვიანებით მიმართვის შემთხვევაში პენსია დაინიშნება მასზე უფლების წარმოქმნის დღიდან და გაიცემა არა უმეტეს გასული 12 თვისა, რომელიც წინ უსწრებს პენსიის დანიშვნის საკითხზე მიმართვის დღეს.

სასამართლოს დასკვნით, ზემოაღნიშნული ნორმა, დაგვიანებით მიმართვის შემთხვევაში, გამორიცხავდა წინა პერიოდის პენსიის მიღების შესაძლებლობას და პენსიის დანიშვნის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა დაინტერესებული პირის მიმართვა შესაბამის საპენსიო ორგანოსათვის. დადგენილი ფაქტობრივი გარემოების თანახმად და არც მოსარჩელე -ო. ჯ-მე ხდიდა სადავოდ, რომ მან მხოლოდ 2005 წლის დეკემბერში მიმართა სოცდაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს, ამ კანონის შესაბამისად პენსიის დანიშვნის მოთხოვნით და დაენიშნა კიდევაც პენსია ზემოაღნიშნული კანონის თანახმად 2005 წლის დეკემბრიდან. ამასთან, მითითებული კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მე-17 მუხლის, 48-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 50-ე და მე-60 მუხლების მოქმედება შეჩერებული იყო 2004 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე, ანუ ამ პერიოდში შეჩერებული იყო სამხედრო სამსახურში დაინვალიდებულ პირთა პენსიის დანიშვნა და გაცემა. შესაბამისად, ო. ჯ-მის მიმართვის შემთხვევაშიც, მასზე ვერ გავრცელდებოდა 12 თვის უკან დახევით პენსიის მიღების უფლება. ამდენად, სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელე ო. ჯ-მემ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, იმავე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებით, რაც მითითებული ჰქონდა საქალაქო სასამართლოში შეტანილ სარჩელში.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი ო. ჯ-მე.

სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა არ ცნო აპელანტის მოთხოვნა და მიუთითა, რომ თავდაცვის სამინისტროს ხაზით ინვალიდობის პენსია წარმოადგენს განსხვავებულ პენსიას, სამოქალაქო ხაზით ინვალიდობის პენსიისაგან, ხოლო აპელანტი ინვალიდობის პენსიას იღებდა სამოქალაქო ხაზით. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ხაზით ინვალიდობის პენსია ინიშნებოდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ცენტრალურ განყოფილებაში შესაბამისი განცხადებისა და დოკუმენტების სრულად წარმოდგენის შემდეგ. ო. ჯ-მე სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ მან საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს მიმართა 2005 წლის დეკემბერში და პენსია დაენიშნა. ამდენად, სარჩელი იყო უსაფუძვლო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ო. ჯ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება კანონიერია და, შესაბამისად, არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. ჯ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის განჩინებით ო. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით ო. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ო. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი პენსიის ანაზღაურება 2005 წლის დეკემბრიდან 12 თვის უკან დახევით, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2006 წლის 11 ივლისის #–გ.05.05–8700 წერილის თანახმად, ო. ჯ-ძეს პენსია დაენიშნა 2005 წლის 1 დეკემბრიდან "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონის 48-ე მუხლის "გ" პუნქტის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, მითითებული ნორმა, რომელიც მოსარჩელისათვის პენსიის დანიშვნის საფუძველს წარმოადგენს, განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების დაგვიანებით პენსიის მიღების შესაძლებლობის უფლებას. მითითებული კანონის 48.3 მუხლის შესაბამისად, პენსიის დასანიშნად დაგვიანებით მიმართვის შემთხვევაში, პენსია დაინიშნება მასზე უფლების წარმოქმნის დღიდან და გაიცემა არა უმეტეს გასული 12 თვისა, რომელიც წინ უსწრებს პენსიის დანიშვნის საკითხზე მიმართვის დღეს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტება, რომ მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას 2005 წლის დეკემბრიდან 12 თვის უკან დახევით მიუღებელი პენსიის გაცემაზე, რადგან მითითებული ნორმის მოქმედება ამავე კანონის 63-ე მუხლის საფუძველზე, შეჩერებული იყო 2006 წლის 1 იანვრამდე, რის გამოც ვერ გავრცელდებოდა მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობაზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონის 48.3 მუხლის მოქმედება შეჩერებული იყო 2006 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ ცალკეული ნორმის შეჩერება არ ნიშნავს მის სრულ გაუქმებას. სამართლის ნორმის შეჩერებისას, კანონმდებლის ნება გამოიხატება იმაში, რომ არ მოხდეს შეჩერებული ნორმით გათვალისწინებული უფლების რეალიზაცია მხოლოდ შეჩერების პერიოდში, რაც არ გამოორიცხავს შეჩერებული ნორმით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობას მისი განახლების შემდეგ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სოციალური სუბსიდიების სააგენტომ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება ნაწილობრივ და ახალი გადაწყვეტილებით ო. ჯ-ძისათვის 12 თვის უკან დახევით მიუღებელი პენსიის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონის 63-ე მუხლი, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

კასატორის მითითებით, მოსარჩელე სოციალური სუბსიდიების სააგენტოს თელავის ფილიალიდან წლების განმავლობაში იღებდა პენსიას ინვალიდობის გამო სამოქალაქო ხაზით, 2005 წლის დეკემბრიდან კი დაენიშნა ფონდის ცენტრალური ფილიალიდან თავდაცვის სამინისტროს ხაზით, რომელიც თავისი არსით, წარმოადგენს განსხვავებული სახის პენსიას. მიუხედავად იმისა, რომ ო. ჯ-ძეს პენსია დაენიშნა "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონის 48-ე მუხლის "გ" პუნქტის საფუძველზე, ვერ განხორციელდება მოსარჩელისათვის 12 თვის უკან დახევით პენსიის ანაზღაურება, რადგან მითითებულ კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც ამავე კანონის 48.3 მუხლის მოქმედება შეჩერებული იყო 2004 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე, კანონის 63-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნული ნორმის ამოქმედების შემთხვევაში, ფონდი მოახდენდა თანხის გაცემას, მაგრამ 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილებით შეჩერებული მუხლები ამოღებულ იქნა კანონიდან და კომპენსაციების დანიშვნისა და გაცემის პირობები ახლებურად მოწესრიგდა "სახელმწიფო პენსიისა და სახელმწიფო

აკადემიური სტიპენდიის შესახებ” საქართველოს კანონით, რომელიც ამგვარ შეღავათს არ ითვალისწინებს.

გარდა აღნიშნულისა, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 2005 წლის დეკემბრამდე ო. ჯ-მ იღებდა პენსიას ინვალიდობის გამო სამოქალაქო ხაზით 45 ლარის ოდენობით, რის გამოც სასამართლოს შეეძლო ემსჯელა სააგენტოსათვის პენსიებს შორის სხვაობის ანაზღაურებაზე სადავო 12 თვის განმავლობაში, თუმცა ამ სახის გადაწყვეტილებაც იქნებოდა არასწორი კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ო. ჯ-მის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისროს ო. ჯ-მის სასარგებლოდ 2005 წლის დეკემბრიდან 12 თვის უკან დახევით მიუღებელი პენსიის ანაზღაურება სხვაობის გათვალისწინებით შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობის თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, რის გამოც, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რადგან საქმის გარემოებები დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 404.1 მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია იმსჯელოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე მოსარჩელე ო. ჯ-მისათვის 2005 წლის დეკემბრიდან 12 თვის უკან დახევით მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილში, რადგან მითითებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, კასატორი კი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებას ასაჩივრებს ნაწილობრივ, ო. ჯ-მის სასარგებლოდ 2005 წლის დეკემბრიდან 12 თვის უკან დახევით მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილში, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არა აქვს მინიჭებული საპროცესო კომპეტენცია, გასცდეს კასაციის ფარგლებს და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება შეამოწმოს ო. ჯ-მის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, რადგან სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (1993 წლის სექტემბრიდან 2005 წლის დეკემბრამდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე) უარის თქმის ნაწილში ო. ჯ-მეს საკასაციო საჩივარი არ წარმოუდგენია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან კასატორს არ წამოუყენებია დამატებითი და დასაშვები საკასაციო პრეტენზია, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ო. ჯ-მეს თავდაცვის სამინისტროს ხაზით ინვალიდობის პენსია დაენიშნა 2005 წლის 1 დეკემბრიდან “სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ო. ჯ-მეს მოთხოვნა 2005 წლის დეკემბრიდან 12 თვის უკან დახევით მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილში საფუძვლიანი იყო და სააპელაციო სასამართლომ მართებულად გაიზიარა იგი, რადგან “სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის 48.3 მუხლით კანონმდებელმა დაადგინა, რომ პენსიის დასანიშნად დაგვიანებით მიმართვის შემთხვევაში, პენსია დაინიშნება მასზე უფლების წარმოქმნის დღიდან და გაიცემა არა უმეტეს გასული 12 თვისა, რომელიც წინ უსწრებდა პენსიის დანიშვნის საკითხზე მიმართვის დღეს, მაგრამ აღნიშ-

ნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, საქმის მასალებით დასტურდება და მხარეები სადავოდ არ ხდიან, რომ ო. ჯ-მე 1993 წლიდან იღებდა პენსიას როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, 1998 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე პენსიის ოდენობა შეადგენდა 45 ლარს, ხოლო 2005 წლის 1 დეკემბრიდან დაენიშნა პენსია თავდაცვის სამინისტროს ხაზით 130,81 ლარის ოდენობით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მოსარჩელისათვის მიუღებელი პენსიის არა სრულად, არამედ 2005 წლის 1 დეკემბრამდე მიღებულ და მისაღებ თანხებს შორის სხვაობის ანაზღაურებაზე, რადგან საპენსიო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ერთდროულად ორი სახეობის პენსიის მიღების შესაძლებლობას.

ამდენად, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს საკასაციო პრეტენზიას და მიაჩნია, რომ ი. ჯ-მის მოთხოვნა მიუღებელი პენსიის ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანია, მხოლოდ პენსიის გაცემა უნდა მოხდეს სხვაობის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ გამო ვერ გაიზიარებს საკასაციო პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2005 წლის 23 დეკემბრის კანონის მე-17 პუნქტის შესაბამისად, მითითებული კანონიდან 2006 წლის 1 იანვრიდან ამოღებულ იქნა 48-ე მუხლი მთლიანად, რის გამოც არ არსებობს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის 48.3 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს პენსიის დანიშვნის ვადებს, ითვალისწინებდა (2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) პენსიის დანიშვნის საკითხზე მიმართვიდან გასული 12 თვის პენსიის გაცემას. "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2003 წლის 23 ივლისის კანონის 1.7 მუხლის შესაბამისად, კანონის 48-ე მუხლის დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი: "ამ მუხლით დადგენილი პენსიის დანიშვნის ვადები ვრცელდება ამ კანონის პირველი მუხლის "ი-ლ" ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ პირებზეც". მითითებული 2003 წლის 23 ივლისის კანონის მე-2 მუხლის თანახმად, კანონის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2004 წლის 1 იანვარი. "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული შემდგომი ცვლილებებით ხდებოდა ამავე კანონის 48.4 მუხლის ამოქმედების გადავადება, კერძოდ, 2004 წლის 29 დეკემბრის კანონით 2005 წლის 1 იანვრამდე, ხოლო 2005 წლის 28 ოქტომბრის კანონით - 2006 წლის 1 იანვრამდე. 2005 წლის 23 დეკემბრის კანონით 2006 წლის 1 იანვრიდან ამოღებულ იქნა კანონის რიგი მუხლები, მათ შორის, 48-ე მუხლი მთლიანად.

აღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ო. ჯ-მის მიმართ უნდა გავრცელდეს "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის 48.3 მუხლით დადგენილი დანაწესი და აღნიშნულის გამომრიცხავ საფუძვლად ვერ იქნება მიჩნეული ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მოქმედების შეჩერება, ფაქტობრივად, მის აუთოქმედებლად ამოღება კანონიდან. მართალია, ო. ჯ-მე წარმოადგენს ამავე კანონის პირველი მუხლის "ი-ლ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სუბიექტს, ხოლო 48.4 მუხლმა დაადგინა 48-ე მუხლით დადგენილი ვადების გავრცელება პირველი მუხლის "ი-ლ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სუბიექტებზეც, მაგრამ საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონის 48.3 მუხლი (რომლის ამოქმედება არ ყოფილა გადავადებული), ზოგადი ხასიათის ნორმაა და არ არსებობს მისი მხოლოდ კონკრეტულ პირებზე გავრცელების წინაპირობა და ამგვარი დათქმა არ გამომდინარეობს ნორმის შინაარსიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ო. ჯ-მის მოთხოვნა მიუღებელი პენსიის ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანია და სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორად გაავრცელა მასზე "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის 48.3 მუხლის მოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია და შეიცავს საფუძვლიან არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რის გამოც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ო. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ -სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისრა ო. ჯ-ძის სასარგებლოდ 2005 წლის დეკემბრიდან 12 თვის უკან დახვეით მიუღებელი პენსიის ანაზღაურება სხვაობის გათვალისწინებით.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, კასატორს -სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისრა სასამართლო ხარჯების -100 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 389-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ო. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისროს ო. ჯ-ძის სასარგებლოდ 2005 წლის დეკემბრის თვიდან 12 თვის უკან დახვეით მიუღებელი პენსიის ანაზღაურება, სხვაობის გათვალისწინებით;
5. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კვების კომპენსაციის და წელთა ნამსახურების დანამატის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-345-330(კ-09) 7 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: კვების (უღუფის) კომპენსაციის და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ნ. ე-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდან-ნაძალადევის შს სამმართველოში, საიდანაც გათავისუფლდა 2000 წელს. მოსარჩელის განმარტებით, სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ მასთან ანგარიშსწორება არ მომხდარა. ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს წერილის მიხედვით, მისი სახელფასო დავალიანება შეადგენდა 1428,91 ლარს.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი:

მოსარჩელის მიმართ სახელფასო დავალიანების ანგარიშსწორება არ მომხდარა, რის გამოც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს მის მიმართ გააჩნია დავალიანება.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები მითითებული არ არის.

საქალაქო სასამართლოში წარდგენილ შეპასუხებაში მოპასუხემ –საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარმა სამმართველომ არ ცნო ნ. ე-შვილის სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ე-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს დაევალა მოსარჩელის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების –1428,91 ლარის გადახდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი და განმარტა, რომ მოცემული კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს. ამავე კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე, მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). გარდა ამისა, მითითებული კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, მუშას ან მოსამსახურეს, მისი დათხოვნისას, საწარმოსაგან, დაწესებულებისაგან, ორგანიზაციისაგან კუთვნილი მთელი თანხა ეძლეოდა დათხოვნის დღეს.

საქალაქო სასამართლომ დასკვნით, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიმართ კანონიერი იყო და ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარმა სამმართველომ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო უკანონო. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები. პირველ ინსტანციაში წარდგენილ სასარჩელო განცხადებაში მითითებული სამართლებრივი საფუძვლები არ შეიძლება გამხდარიყო მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ხელფასი შედგებოდა თანამდებობრივი სარგოსა და წოდების დანამატისაგან. კვების ულუფა და წელთა ნამსახურობის დანამატი წარმოადგენდა დამატებით კომპონენტებს ხელფასზე, რაც, ამავდროულად, წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ვინაიდან საჯარო სამსახურში მათი გაცემა ხდებოდა გარკვეული პერიოდულობით, როგორც წესი, თვის ბოლოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობოდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისაგან, წარმოადგენდა სამ წელს, შესაბამისად, დავის საგნის მიმართ უნდა გავრცელებულიყო სსკ-ის 129.2 მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყებოდა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლებოდა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. დავის საგნის შემთხვევაში, მოთხოვნის უფლება პირს წარმოეშობოდა იმ მომენტიდან, როცა მას უნდა მიეღო ხელფასი, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ მიუღია.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის ნ. ე-შვილის წარმომადგენელმა არ ცნო საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შესაბამისად, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ე-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის და წელთა ნამსახურობის დანამატის 852.14 ლა-

რის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოში. ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მის მიმართ გააჩნდა სახელფასო დავალიანება.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა "პოლიციის შესახებ" კანონის 31-ე მუხლი და განმარტა, რომ კვების კომპენსაცია და წელთა ნამსახურობის დანამატი პოლიციელის ხელფასის შემადგენელ კომპონენტად არ მოიაზრებოდა, რის გამოც ამ გასაცემელზე არ ვრცელდებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 134^ე მუხლის მოქმედება. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად სარჩელი ამ ნაწილში არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას ხანდაზმულობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ე-შვილმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელი და არასრულია, იგი გამოტანილია კანონის დარღვევით, საქმის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებათა სრულყოფილი შეფასების გარეშე, რის გამოც იგი ექვემდებარება გაუქმებას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოპასუხემ აღიარა მოსარჩელის წინაშე არსებული დავალიანება.

საკასაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარეს -საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოს წერილობითი შეპასუხება საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არ წარმოდგენია.

საკასაციო სასამართლოს მიღებულ 2009 წლის 11 მაისის განჩინებით ნ. ე-შვილის საკასაციო საჩივარი კვების (ულუფის) კომპენსაციის და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. "ბ" პუნქტის საფუძველზე /დივერგენტული კასაცია/.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ე-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება კვების (ულუფის) კომპენსაციის და წელთა ნამსახურობის დანამატის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ნ. ე-შვილის სარჩელი 1998-2000 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის -455,07 ლარის და წელთა ნამსახურობის დანამატის -144,14 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2008 წლის 25 ივნისის # -27/7/3-ე/6 ცნობით დადგენილია, რომ ნ. ე-შვილის სახელფასო დავალიანება შეადგენს 1428,91 ლარს: 1998 წლის -VII_XI -585,34, 1999 წლის -X-XII -366,45 ლარს, 2000 წლის -III-VI 477,12 ლარს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოსთან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციის, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. იმავე კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით კი დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა გა-

სამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. ასეთივე დანაწესს შეიცავდა მოსარჩელის სახელფასო დავალიანების წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების" 55-ე მუხლი, რომლის პირველი აზნაგით დადგენილი იყო, რომ პოლიციაში სამსახურისათვის თანამშრომელი იღებდა ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლეოდათ), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო, დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის, ისევე, როგორც "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ დებულების" შესაბამისი ნორმებით დადგენილი იყო, რომ პოლიციელის ხელფასი მოიცავდა არა მარტო თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, არამედ -ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას და სხვა. თუმცა 2000 წლის 28 ივნისის #413 კანონით "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, ხსენებული კანონის 31-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, ხელფასი მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ ნ. ე-შვილის წინაშე სახელფასო დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა 1998, 1999 და 2000 წლებში და დღეისათვის მოსარჩელე დავობს სწორედ ამ პერიოდში წარმოშობილ და შეუსრულებელ ვალდებულებებზე. 1998, 1999, 2000 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის და წელთა ნამსახურობის დანამატის დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის ძველი რედაქციის მოქმედების პირობებში, რომლის დროსაც ხელფასში გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი განაკვეთი, არამედ -ნამსახურობის დანამატი, სასურსათო ულუფის ღირებულება და სხვა, ხოლო "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლში 2000 წლის 28 ივნისის #413 კანონით განხორციელებული ცვლილების შემდეგ პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნება მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. უდავოა, რომ "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის, აგრეთვე "საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების" არც ერთი მუხლი არ შეიცავს დათქმას ახალი რედაქციის ნორმებისათვის უკუძალის მინიჭების თაობაზე. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების შესაბამისი მუხლების ახალი რედაქცია ძველ ურთიერთობებზე არ უნდა გავრცელდეს, რადგან კანონის ახალ ნორმას არ აქვს მინიჭებული უკუქმედების ძალა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ნ. ე-შვილის სარჩელიდან გამომდინარე დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნეს ის სამართლებრივი ნორმები (იმ რედაქციის სამართლებრივი ნორმები), რომელთა მოქმედების დროსაც წარმოიშვა სახელფასო დავალიანება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, დადგენილია და შესაბამისად აღიარებულია, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის გაცემა (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული კომპენსაციისა) უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად, ხოლო 2006 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა "საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ასევე აღირებს წინა წლებში წარმოქმნილ ფაქტობრივ დავალიანებებს და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, გამოიყენონ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებული დავალიანებების დასაფარავად. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უკანონოდ მიიჩნევს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებას, მოსარჩელის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების, რომელშიც 2000 წლის 28 ივნისამდე გათვალისწინებული იყო კვების (ულუფის) კომპენსაცია, ანაზღაურებაზე უარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე და 33¹ მუხლების თანახმად, მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1998, 1999 და 2000 წლების კვების (ულუფის) კომპენსაციის -455.07 ლარის და წელთა ნამსახურობის დანამატის -144.14 ლარის ანაზღაურება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კვების (ულუფის) კომპენსაციის და წელთა ნამსახურობის დანამატის თანხა 2000 წლის 28 ივნისის შემდეგ მოქმედი რედაქციის "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს არ წარმოადგენს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კვების (ულუფის) კომპენსაცია და წელთა ნამსახურობის დანამატი წარმოადგენს "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამდენად, პოლიციის თანამშრომელი სამსახურის პერიოდში "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობდა კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის -ულუფისა და სანივთე უზრუნველყოფის -ფორმის ტანსაცმლის სახით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. კვების (ულუფის) კომპენსაცია წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან -კვების (ულუფის) კომპენსაციისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლში. ამდენად, ვინაიდან კვების (ულუფის) კომპენსაცია წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების (ულუფის) დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

რაც შეეხება ვალის აღიარების საკითხს, საკასაციო სასამართლო განმარტავს: იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი განხილულ იქნეს ამ ორგანოს მიერ ვალის აღიარებად, მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე, ამასთან, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალში დაუბრუნდება ამ საკითხს და/ან აანაზღაურებს დავალიანებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ე-შვილის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება კვების (ულუფის) კომპენსაციის და წელთა ნამსახურობის დანამატის თანხის ნ. ე-შვილის სასარგებლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამავე ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ე-

შვილის სარჩელი 1998, 1999 და 2000 წლების კვების (ულუფის) კომპენსაციის -455.07 ლარის და წელთა ნამსახურობის დანამატის -144.14 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ე-შვილის საკასაციო საჩივარი დაშვებულ -კვების (ულუფის) კომპენსაციის და წელთა ნამსახურობის დანამატის ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება ნ. ე-შვილის სასარგებლოდ კვების (ულუფის) კომპენსაციის და წელთა ნამსახურობის დანამატის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ნ. ე-შვილის სარჩელი 1998, 1999 და 2000 წლების კვების (ულუფის) კომპენსაციის - 455.07 ლარის და წელთა ნამსახურობის დანამატის -144.14 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პოლიციელისათვის პენსიის დანიშვნა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-1550-1507(კ-08) 28 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: პენსიის დანიშვნა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 30 აგვისტოს გ. ხ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 1972 წლიდან 2004 წლის 27 ივლისამდე მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში და მინიჭებული ჰქონდა პოლკოვნიკის სპეციალური წოდება. 2004 წლის 27 ივლისს, პირადი პატაკის საფუძველზე, მოსარჩელე დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და იმავე დღეს დაინიშნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციაში უფროსი ოპერატიული თანამშრომლის თანამდებობაზე. 2005 წლის 13 მაისის #8/93/შ ბრძანებით, პირადი პატაკის საფუძველზე, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, მოსარჩელე დათხოვნილ იქნა სამსახურიდან "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად -წელთა ნამსახურობით. სამსახური, რომელიც მოსარჩელეს ჩაეთვალია წელთა ნამსახურობაში პენსიის დასანიშნად, შეადგენდა 34 წელს, 7 თვესა და 14 დღეს.

მოსარჩელის მტკიცებით, 2005 წლის 2 ივნისს მან საპენსიო უზრუნველყოფისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი წარადგინა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ძალოვანი სტრუქტურების საპენსიო უზრუნველყოფის დეპარტამენტში, საიდანაც ჯერ სიტყვიერად, შემდეგ კი 2005 წლის 29 აგვისტოს #-05/05-1468 წერილით აცნობეს, რომ მისი საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი ვერ გადაწყდებოდა, ვინაიდან "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონით არ იყო განსაზღვრული ფინანსურ პოლიციაში სამსახურის ზღვრული ასაკის ოდენობა და წელთა ნამსახურობით პენსიის დანიშვნის პირობები. აღნიშნულ კანონში ხარვეზის აღმოფ-

ხვრის მოთხოვნით, 2005 წლის 3 აგვისტოს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საიდანაც განცხადების პასუხად აცნობეს, რომ მასში მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად ფინანსურ პოლიციაში მიმდინარეობდა მუშაობა და იგი რამდენიმე თვე გრძელდებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, იმ დრომდე ვერ გადაწყდა გ. ხ-შვილის საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი, რის შედეგადაც მის ოჯახს 3 თვისა და 15 დღის განმავლობაში არ გააჩნდა საარსებო წყარო.

მოსარჩელის განმარტებით, ფინანსურ პოლიციაში სამსახურის გავლის დროს მას შეუნარჩუნდა იგივე წოდება და ისევე, როგორც შინაგან საქმეთა ორგანოებში, ყოველთვიურად, ხელფასის სახით, ღებულობდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი განაკვეთის თანხას, პროცენტულ დანამატებს წელთა ნამსახურობისათვის და კვების ულუფის ფინანსურ კომპენსაციას.

მოსარჩელის მტკიცებით, ფინანსური პოლიცია იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის სამართალმემკვიდრე, საგანგებო ლეგიონის თანამშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფა კი ხორციელდებოდა "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონით. ფინანსური პოლიცია იყო სპეციალური სამართალდამცავი ორგანო, სადაც დაწესებული იყო სპეციალური წოდებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ხ-შვილმა მოითხოვა "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პენსიის დანიშვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ხ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე 1972 წლიდან 2004 წლის 27 ივლისამდე მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, ხოლო 2004 წლის 27 ივლისიდან - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციაში. 2005 წლის 13 მაისს გ. ხ-შვილი გათავისუფლდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციიდან "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე. პენსიის დასანიშნად დაანგარიშებულმა გ. ხ-შვილის წელთა ნამსახურობამ შეადგინა 34 წელი, 7 თვე და 14 დღე. გ. ხ-შვილს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა უარი უთხრა წელთა ნამსახურობით პენსიის დანიშვნაზე. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ გ. ხ-შვილი არ წარმოადგენდა "ფინანსური პოლიციის შესახებ" (ამოქმედდა 2004 წლის 15 მარტიდან) კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ პენსიის მიმღებ პირს, ვინაიდან იგი ფინანსური პოლიციიდან განთავისუფლებულ იქნა წელთა ნამსახურობით, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული ფინანსურ პოლიციაში სამსახურისათვის ზღვრული ასაკი და საპენსიო უზრუნველყოფისათვის საჭირო წელთა ნამსახურობა. ამასთან, "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონი არ ვრცელდებოდა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებზე. ამდენად, არ არსებობდა მითითებული კანონის საფუძველზე მოსარჩელისათვის პენსიის დანიშვნის სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ხ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება - მისთვის 2005 წლის 13 მაისიდან, იმ დროს მოქმედი "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონით, წელთა ნამსახურობით პენსიის დანიშვნის საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისთვის დავალე-ბა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 27 დეკემბრის განჩინებით გ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები და მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 27 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ხ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება -მისთვის 2005 წლის 13 მაისიდან, იმ დროს მოქმედი "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონით, წელთა ნამსახურობით პენსიის დანიშვნის საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისთვის დავალება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 სექტემბრის განჩინებით გ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 27 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სამართლებრივ შეფასებებს და "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით დამატებით განმარტა, რომ მითითებული ნორმა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური პოლიციის თანამშრომლის საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულებას უკავშირებდა ორ მომენტს -ზღვრული ასაკის მიღწევას და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირად გახდომას. მართალია, კანონმდებელმა წელთა ნამსახურობა მიიჩნია ფინანსური პოლიციიდან პირის დათხოვნის საკმარის საფუძვლად, მაგრამ "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ფინანსური პოლიციის თანამშრომლის საპენსიო უზრუნველყოფა დაუკავშირა ორ მომენტს -ზღვრული ასაკის მიღწევას ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირად გახდომას. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის ნორმები არ იძლეოდა გ. ხ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების კანონისმიერ საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მითითება სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის ანალოგიის გამოყენების სავალდებულობის თაობაზე და მიიჩნია, რომ კასატორის მიერ მითითებული არც ერთი საკანონმდებლო აქტით არ დასტურდებოდა კანონმდებლის ნება, ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი მოეწესრიგებინა იმგვარად, როგორც ამას მოითხოვდა კასატორი. "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონი, მასში შეტანილი თექსმეტამდე ცვლილების მიუხედავად, არ ვრცელდებოდა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებზე. ამდენად, საკასაციო პალატამ აღნიშნული კანონის 27.3 მუხლის ანალოგიით გამოყენება დაუშვებლად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქმეში დაცულ წელთა ნამსახურობის ნუსხას, რომლითაც დასტურდებოდა, რომ პოლკოვნიკი გ. ხ-შვილი 30 წელზე მეტ ხანს მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში.

საკასაციო სასამართლომ, კასატორის (მოსარჩელის) უფლებების სრულად რეალიზების მიზნით, საჭიროდ მიიჩნია, სააპელაციო სასამართლოს დაედგინა და გამოეკვლია "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" გ. ხ-შვილის მიმართ, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი შემადგენლობის პირზე და არა როგორც ფინანსური პოლიციის თანამშრომელზე. საქართველოს კანონის გავრცელების შესაძლებლობის საკითხი. საგულისხმო იყო, რომ მითითებული კანონის მე-11 მუხლი აღნიშნული კატეგორიის პირთა მიმართ ადგენდა წელთა ნამსახურობის პენსიის განსაზღვრისა და დანიშვნის პირობებს. ასეთივე გარანტიები განისაზღვრა "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით. ზემოაღნიშნული ორი კანონის ერთობლიობაში, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგნად უნდა ექცია ხსენებული კანონების გამოყენების შესაძლებლობა გ. ხ-შვილის, როგორც შინაგან საქმეთა ორგანოებში ნამსახურები პირის მიმართ, რითაც გამოირიცხებოდა კასატორის უფლებების შესაძლო შელახვის ფაქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის საოქმო განჩინებით საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით -სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოთი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინებით გ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა: უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნა, რომ "ფინანსური პოლიციის შესახებ" კანონის 23-ე და მე-20 მუხლები არ განსაზღვრავდა ფინანსურ პოლიციაში სამსახურისათვის ზღვრული ასაკი ან საპენსიო უზრუნველყოფისათვის საჭირო წელთა ნამსახურობას, ხოლო "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონი არ ვრცელდებოდა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებზე. სააპელაციო პალატა ასევე, არ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას მისი საპენსიო უზრუნველყოფის საკითხის მოსაწესრიგებლად საქართველოს კონსტიტუციის, ასევე, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გამოყენების თაობაზე და მიიჩნია, რომ გ. ხ-შვილის მიმართ დარღვეული არ იყო საქართველოს კონსტიტუციის და მის მიერ მითითებული საერთაშორისო ნორმები. მოცემულ შემთხვევაში კი გ. ხ-შვილი არ იყო დარჩენილი სოციალური უზრუნველყოფის გარეშე, რადგან "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მას მიეცემოდა პენსია 65 წლის ასაკის მიღწევისთანავე.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, როდესაც არსებობდა "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" კანონი, არ იყო სამართლის ანალოგიის გამოყენების საჭიროება. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა ის მოსაზრება, რომ ფინანსური პოლიციიდან 2004-2005 წლებში დათხოვნილმა პირებმა პენსია მიიღეს "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონის შესაბამისად, ფინანსურ პოლიციაში წელთა ნამსახურობის გამო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე პირს უკანონოდ დაენიშნა პენსია, აღნიშნული ვერ გახდებოდა ანალოგიური გადაწყვეტილების მიღების საფუძველი მოცემულ შემთხვევაშიც. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფინანსური პოლიცია წარმოადგენდა საგადასახადო დეპარტამენტის ოპერატიული სამსახურის უფლებამონაცვლე-სამართალმემკვიდრეს, რადგან სამართალმემკვიდრეობის საკითხის დადგენისათვის სავალდებულო იყო, ნორმატიულ აქტში პირდაპირ მითითებულიყო ასეთი სამართალმემკვიდრეობის შესახებ.

რაც შეეხებოდა საკასაციო სასამართლოს მითითებას გ. ხ-შვილის უფლებების სრულად რეალიზაციის მიზნით აპელანტზე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი შემადგენლობის პირზე და არა როგორც ფინანსური პოლიციის თანამშრომელზე, "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის გავრცელების შესაძლებლობის საკითხი, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გ. ხ-შვილმა სააპელაციო სასამართლოში მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი არ ცვლიდა თავის მოთხოვნას და კვლავ მოითხოვდა, რომ პენსია დანიშნოდა როგორც ფინანსური პოლიციის ყოფილ თანამშრომელს და არა, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი ვერ იმსჯელებდა "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის გავრცელების შესაძლებლობაზე გ. ხ-შვილის, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი შემადგენლობის პირის მიმართ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ხ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება -მისთვის 2005 წლის 13 მაისიდან, იმ დროს მოქმედი "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონით, სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოსთვის წელთა ნამსახურობით პენსიის დანიშვნის დავალება.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 383-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პროცედურა, რის შედეგად საქმეზე გამოტანილ იქნა არასწორი გადაწყვეტილება.

კასატორის განმარტებით, "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი ფორმულირებით, ძალაში შევიდა 2006 წლის 1 იანვრიდან -"სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის

შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედების დღიდან. 2004 წლის 15 მარტიდან 2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედი "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პოლიციის თანამშრომელს, რომელიც გათავისუფლდა სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის ან შეზღუდული შესაძლებლობის პირად გახდომის გამო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება ჰქონდა, მიეღო ხელფასის ოდენობის პენსია. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 234-ე მუხლის შესაბამისად, მუშაკებსა და მათი ოჯახის წევრებს პენსიები დაენიშნებოდათ პენსიების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. 2006 წლის 1 იანვრამდე საქართველოში მოქმედებდა ძალოვანი ორგანოებიდან დათხოვნილი მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის პენსიის დანიშვნის ერთადერთი კანონი - "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონი, რომელიც იგულისხმებოდა "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედ 23-ე მუხლის მე-7 პუნქტში.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელო 2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედი და არა მას შემდეგ ძალაში შესული შესაბამისი ნორმატიული აქტებით. აქედან გამომდინარე, სამართლიანია კასატორის მოთხოვნა "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონით პენსიის დანიშვნის თაობაზე. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის, შემდგომ - სოციალური სუბსიდიების სააგენტოსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2006 წლის 28 მარტის # -გ-05/05-3217, 19 ივლისის # -გ-07/07-9098, 28 ნოემბრის # -გ-02დმ/07-14184 და 2008 წლის 8 თებერვლის # -02/09-2212 წერილებიდან გამომდინარე, 2004-2005 წლებში, "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, პენსია დაენიშნა ფინანსური პოლიციიდან დათხოვნილ რამდენიმე თანამშრომელს. "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის (2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედი) განმარტება, რომ პოლიციის თანამშრომელს, რომელიც გათავისუფლდა სამსახურიდან, ...მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვს, მიიღოს ხელფასის ოდენობის პენსია, "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-13 პუნქტის მითითების ანალოგიურია, რომ პოლიციის თანამშრომელს პენსია ენიშნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კასატორის განმარტებით, 2006 წლის 1 იანვრამდე ყველა ძალოვანი ორგანოდან წელთა ნამსახურობით დათხოვნილ თანამშრომელს პენსია დაენიშნა "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონით. "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 თავში მოყვანილი ნორმების - მე-7 და მე-8 მუხლების შესაბამისად, კასატორიც, როგორც ძალოვანი ორგანოს წარმომადგენელი, მიეკუთვნება იმ პირთა წრეს და კატეგორიას, რომლებზეც ვრცელდება "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონი. ფაქტია, რომ კასატორი ფინანსური პოლიციიდან დაითხოვეს წელთა ნამსახურობით, მაგრამ კანონში არსებული ხარვეზის გამო, სასამართლომ მიიჩნია, რომ მას პენსია უნდა დანიშვნოდა 65 წლის ასაკის მიღწევის ან დაინვალიდების შემთხვევაში. ცნობილი ფაქტია და დამტკიცებას არ საჭიროებს, რომ ფინანსური პოლიცია შეიქმნა 2004 წლის 15 მარტს, ხოლო 2007 წლის 1 იანვარს (2 წლისა და 9 თვის შემდეგ) შეწყვიტა არსებობა. აქედან გამომდინარე, კასატორს სამსახურის გაგრძელების შემთხვევაშიც, ვერ ექნებოდა საპენსიო უზრუნველყოფისათვის საჭირო ოთხწლიანი სტაჟი. ამ საკითხის კანონის ანალოგიის გამოყენებით გადაწყვეტა შესაძლებელი იყო, ვინაიდან არსებობდა მსგავსი ურთიერთობების მომწესრიგებელი "პოლიციის შესახებ" და "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონები. სააპელაციო სასამართლომ კანონის ანალოგიის გამოყენებაზე უარის თქმის დასაბუთებისას არასწორად განმარტა კანონი.

კასატორის მტკიცებით, იმ დადასტურებული ფაქტით, რომ ფინანსური პოლიცია იყო საგადასახადო დეპარტამენტის ოპერატიული სამსახურის უფლებამონაცვლე (სამართალმემკვიდრე), იქმნება "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონით მისი საპენსიო უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტის კიდევ ერთი სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან აღნიშნული ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებს პენსია ენიშნებოდათ მითითებული კანონით.

კასატორის განმარტებით, იგი კვლავ მოითხოვს, რომ პენსია დაენიშნოს როგორც ფინანსური პოლიციიდან დათხოვნილ თანამშრომელს. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის მე-4 ნაწილის მითითება და არ დაასაბუთა წერილობითი მტკიცებულებების მოთხოვნაზე უარის თქმა, გადაწყვეტილება არ მიიღო ფაქტებზე, მტკიცებულებებსა და კანონზე დაყრდნობით და საქმეზე გამოიტანა არასწორი გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განჩინებით გ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 2 ივნისს, 14.00 საათზე.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე კასატორმა გ. ხ-შვილმა დააზუსტა საკასაციო მოთხოვნა, კერძოდ, ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.04.08 წ. განჩინების გაუქმება და მოპასუხე -სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოსათვის, მისთვის, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი შემადგენლობის პირსათვის, პენსიის დასანიშნად სასამართლოსთვის მიმართვის დღიდან 30.08.05 წლიდან პენსიის დანიშვნის დავალება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ გ. ხ-შვილის საკასაციო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სსსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, მხარეები განსაზღვრვენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. ამავე კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. საპროცესო კოდექსი მხარეს აღჭურავს როგორც უფლებებით, ასევე -მოვალეობებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი ითვალისწინებს მხარეთა საპროცესო უფლებებს, მათ შორის, მოსარჩელის უფლებას საქმის წინასწარი მომზადების დასრულების შემდეგ სასარჩელო მოთხოვნის შეცვლის გარეშე დააზუსტოს მოთხოვნა. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი განხილულ უნდა იქნეს მხარის მიერ დაზუსტებული მოთხოვნის ფარგლებში. დღეისათვის გ. ხ-შვილის მოთხოვნაა, პენსია დაენიშნოს როგორც შს სამინისტროს უფროსი შემადგენლობის პირს პენსიის დასანიშნად სასამართლოსთვის მიმართვის დღიდან -2005 წლის 30 აგვისტოდან.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: გ. ხ-შვილი 13.05.2005 წ. განთავისუფლდა ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი ოპერატიული თანამშრომლის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან "ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე წელთა ნამსახურობით. გარდა ამისა, გ. ხ-შვილი 30 წელზე მეტი, 2004 წლამდე მსახურობდა საქართველოს შს სამინისტროს ორგანოებში და მინიჭებული ჰქონდა პოლკოვნიკის წოდება. "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, პოლიციელთა საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საკასაციო სასამართლო "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონის 1-ლი მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით საპენსიო უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები. საქმეში წარმოდგენილი პენსიისათვის წელთა ნამსახურობის გაანგარიშების თანახმად გ. ხ-შვილის პენსიის დასანიშნად ნამსახურევი წლების საერთო რაოდენობა 13.05.2004 წლისათვის შეადგენს 34 წელს, 7 თვესა და 14 დღეს. ამდენად, კასატორი განეკუთვნება ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტთა რიცხვს და მას აქვს უფლება დაენიშნოს პენსია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი შემადგენლობის პირისათვის გათვალისწინებული განაკვეთით.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. ხ-შვილის მოთხოვნა ნაწილობრივ საფუძვლიანია და ამ სახით უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილებით გ. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ -სსიპ

სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უნდა დაევალოს, დაუნიშნოს პენსია გ. ხ-შვილს როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი შემადგენლობის პირს, მისთვის სასამართლო-ში პენსიის დანიშვნის თაობაზე სარჩელის შეტანის დღიდან -2005 წლის 30 აგვისტოდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დაევალოს, დაუნიშნოს პენსია გ. ხ-შვილს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი შემადგენლობის პირს, გ. ხ-შვილის მიერ სასამართლოში პენსიის დანიშვნის თაობაზე სარჩელის შეტანის დღიდან -2005 წლის 30 აგვისტოდან;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ერთჯერადი დახმარების გაცემის წინაპირობები

განჩინება

#-ბს-656-622(კ-09) 10 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 7 თებერვალს მ. ფ-ძემ, გ. მ-შვილმა, ზ. ქ-ძემ, ო. ს-ძემ, ა. უ-ავამ და ი. მ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ ისინი მუშაობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტში. დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლებამდე მოპასუხეს არ აუნაზღაურებია მათთვის რიცხული დავალიანება და სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხა, ასევე, ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების სახით გათვალისწინებული თანხა.

სასამართლო სხდომაზე მოსარჩელებმა შეამცირეს სასარჩელო მოთხოვნა სანივთე და კვების კომპენსაციის ნაწილში და საბოლოოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელე მ. ფ-ძის სასარგებლოდ 1998-2000 წლებში მიუღებელი ხელფასის -137 ლარისა და ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების -1250 ლარის, გ. მ-შვილის სასარგებლოდ 1998-2000 წლებში მიუღებელი ხელფასის -150 ლარისა და ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების -1250 ლარის, ზ. ქ-ძის სასარგებლოდ 1998-2000 წლებში მიუღებელი ხელფასის -422,30 ლარისა და ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების -2240 ლარის, ო. ს-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების -1560 ლარის, ა. უ-ავას სასარგებლოდ ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების -1150 ლარის, ხოლო ი. მ-შვილისათვის ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების -1150 ლარის ანაზღაურება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს მ. ფ-ძის, გ. მ-შვილის, ზ. ქ-ძის, ო. ს-ძის, ა. უ-ავასა და ი. მ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მ. ფ-ძის სასარგებლოდ 39,80 ლარი სახელფასო დავალიანებისა და 2000 ლარი ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების ანაზღაურება, გ. მ-შვილის სასარგებლოდ -150 ლარი სა-

ხელფასო დავალიანებისა და 1250 ლარი ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების ანაზღაურება, ზ. ქ-ძის სასარგებლოდ -181,51 ლარი სახელფასო დავალიანებისა და 2240 ლარი ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების, ო. ს-ძის სასარგებლოდ -1560 ლარი ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების ანაზღაურება, ხოლო ი. მ-შვილის სასარგებლოდ -1150 ლარი ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელეთათვის სასარჩელო მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა -უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტისას მართებულად გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. ამავე კანონში 2005 წლის 23 დეკემბერს #-2470-რს კანონით შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების შესაბამისად 37.1 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ერთჯერადი დახმარების მიღების უფლება ვრცელდებოდა 2006 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და რადგან მოსარჩელები შეიარაღებული ძალების რიგებიდან გათავისუფლებულ იქნენ 2005 წელს, აღნიშნული ნორმის მოქმედება მათზე არ გავრცელდებოდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #-493 ბრძანებულების 61¹ მუხლის საფუძველზე შეჩერებულ იქნა ამ ბრძანებულების 33¹ მუხლით გათვალისწინებული ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მიღების უფლების რეალიზაცია 2006 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ არ გაუქმებულა აღნიშნული ბრძანებულებით განსაზღვრული და დადგენილი სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის -ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემის პირობა და წესი. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმის ამოქმედების მომენტიდან მისი მოქმედება უნდა განხორციელებულიყო 2005 წლის განმავლობაში წარმოშობილ ურთიერთობებზე.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. კასატორმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რაც "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამდენად, სახელფასო დავალიანებების ხანდაზმულობის საკითხზე რომელიც არ წესრიგდება მითითებული კანონით, უნდა ვრცელდებოდეს შესაბამისი კანონმდებლობა, ანუ: ა) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემოდა სახელშეკრულებო ვალდებულების კვალიფიკაცია, მაშინ მასზე გავრცელდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა; ბ) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, მაშინ გავრცელდებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, როგორც ამავე კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლით გათვალისწინებული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მოსარჩელებს უნდა მიეღოთ თითოეული თვის ან პერიოდის კვების კომპენსაცია. კასატორის მითითებით, სარჩელი შეტანილია 2008 წელს და შესაბამისად გაშვებულია ხანდაზმულობის ვადები.

კასატორმა აგრეთვე მიუთითა, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის ნოემბრის #493 ბრძანებულებას დაემატა 61¹ პუნქტი, რომლითაც ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული 33¹ პუნქტის შეჩერებით კანონმდებელმა დროებით კი არ შეაჩერა ან გადაავადა ამ მუხლით გათვალისწინებული ფულადი თანხებით გაცემის ვალდებულება, არამედ გაათავისუფლა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამ ვალდებულების შესრულებისგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატი 2009 წლის 14 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატი 2009 წლის 25 ივნისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 11 მაისის #1272 ბრძანებით მ. ფ-ძე, გ. მ-შვილი, ზ. ქ-ძე, ო. ს-ძე, ა. უ-ავა და ი. მ-შვილი დათხოვნილ იქნენ საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის (რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით) თანახმად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე პუნქტის "ე" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის, ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით: ა) 2 წლამდე (მაგრამ არანაკლებ 6 თვისა) -სამმაგი; ბ) 2-დან 10 წლამდე -ხუთმაგი, ხოლო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს 10 წლამდე -ექვსმაგი; გ) 10-დან 15 წლამდე -რვათმაგი; დ) 15-დან 20 წლამდე -ათმაგი; ე) 20 და მეტი წლისთვის -თორმეტმაგი.

ზემოხსენებული ბრძანებულების 33¹ პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61¹ პუნქტის თანახმად, ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება განახლდა 2006 წლის 1 იანვარს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33¹ მუხლი, ამოღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 სექტემბრის #531 ბრძანებულებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 2007 წლის 7 ივნისის #8/1224 დასკვნის თანახმად, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსის წერილის საფუძ-

ველზეა გაკეთებული, "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №-493 ბრძანებულების 33¹ პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები წლების ჩათვლით) მიეცემოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

ამავე ცნობის მიხედვით, აღნიშნული პუნქტის მოქმედება ამავე ბრძანებულების 61¹ პუნქტით 2006 წლის 1 იანვრამდე შეჩერებული იყო. შესაბამისად, 33¹ პუნქტით განსაზღვრული პირობა ვრცელდებოდა მხოლოდ იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიქმნა 2006 წელს და არ ვრცელდებოდა 2005 წელს წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მტკიცებულებები იმის თაობაზე მოახდინეს თუ არა მოსარჩელეებმა უფლების რეალიზება ნორმის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით, ხოლო საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ დაადგინა აღნიშნულ გარემოებას საქმეში არსებული წინააღმდეგობრივი ცნობების გამო.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის "გ" და "ე" ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად კი გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის საფუძვლებზე და სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სწავლის გამო დანიშნული პენსიის გაგრძელების საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-644-612(კ-09) 17 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 11 ივლისს ს. რ.-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე -საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის, ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემისა და ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მამის გარდაცვალების გამო, როგორც მარჩენალდაკარგულს, 2006 წლის 1 იანვრამდე -"სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე, დაენიშნა მარჩენალდაკარგულის შრომის პენსია. 2007 წელს მან დაამთავრა სკოლა და ამავე წელს გააგრძელა სწავლა ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრში. 2008 წლის 14 მარტს შეუსრულდა 18 წელი და 2008 წლის მარტიდან შეუწყდა პენსიის მიღება. მოსარჩელის დედამ -მ. ჯ-იამ განცხადებით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ძველი თბილისი - დიდგორის განყოფილებას, რომელმაც ადმინისტრაციული აქტით უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივრებულ იქნა სოციალური სუბსიდიების სააგენტოში, რომლის 2008 წლის 20 ივნისის #-01/09-13463 გადაწყვეტილებით ასევე უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ "სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის #-46/ნ ბრძანების მე-9 მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებდა ისეთ გარემოებას, როდესაც მარჩენალდაკარგულ პირებს, რომლებსაც "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე დაენიშნა მარჩენალის შრომის პენსია და ამ პენსიას იღებდნენ სკოლის დამთავრების შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გამო, გაუგრძელდათ პენსიის მიღება 23 წლის ასაკამდე, თუ არ დადგა "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პენსიის შეწყვეტის საფუძველი, გარდა "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოებისა. ამავე ბრძანების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით თანახმად, პენსია წყდება მარჩენალდაკარგული პირ(ებ)ის 18 წლის ასაკის მიღწევისას. 18 წელს გაცილებულ პირებს, რომლებსაც 2006 წლის 1 იანვრამდე დანიშნული ჰქონდათ "მარჩენალის შრომის პენსია" უგრძელდებოდათ პენსიის გაცემა 23 წლის ასაკამდე საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გამო. მოსარჩელის განმარტებით, მითითებული ნორმატიული აქტის თანახმად, საკმარისია პირს დანიშნული ჰქონდეს მარჩენალის შრომის პენსია 2006 წლის 1 იანვრამდე და შემდეგ 18 წლის შესრულებამდე მას იღებდეს როგორც სტუდენტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გამო, რა დროსაც მას პენსიის მიღება უნდა გაუგრძელდეს 23 წლამდე.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტომ მარჩენალდაკარგულის პენსიის შეწყვეტა განახორციელა უკანონოდ, ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ პენსიის შეწყვეტის საკითხი დააფუძნა იმ გარემოებებზე, რომ მოსარჩელეს სკოლის დამთავრება და საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება მოუწია "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემდეგ.

შესაბამისად, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 2008 წლის 20 ივნისის #01/09-13463 მარჩენალდაკარგულის პენსიის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, მოპასუხისათვის შეწყვეტილი მარჩენალდაკარგულის პენსიის აღდგენის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებასა და 2008 წლის მარტის თვიდან პენსიის აღდგენამდე მატერიალური ზიანის ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით ს. რ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. რ-შვილმა, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის მოთხოვნათა დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის საოქმო განჩინებით განსახილველ საქმეში მოპასუხე -საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინებით ს. რ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა კოლიზიას "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონსა და კანონქვემდებარე აქტს -საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის #46/5 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპანისაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესებს" შორის.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის "სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპანისაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების" შესახებ 2006 წლის 10 თებერვლის #46/5 ბრძანების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც იმ მარჩენალდაკარგულ პირებს, რომლებსაც "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე დაენიშნა "მარჩენალის შრომის პენსია" და ამ პენსიას იღებდნენ სკოლის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გამო, გაუგრძელდათ პენსიის მიღება 23 წლის ასაკამდე და აღნიშნა, რომ კანონმდებელმა დაუშვა გამოწვევის და პირის მიერ ადრე მოპოვებული უფლებები შენარჩუნებულ იქნა, თუკი ერთდროულად არსებობდა გარკვეული სახის პირობები, კერძოდ: 1) პირს (მარჩენალდაკარგულს) "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე დაენიშნა "მარჩენალის შრომის პენსია"; 2) პირი ამ პენსიას იღებდა სკოლის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გამო.

სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და განმარტა, რომ ს. რ-შვილმა 2007 წელს დაამთავრა სკოლა. 2008 წლის 14 მარტს შეუსრულდა 18 წელი და ამ დროისათვის იგი სწავლას არ აგრძელებდა სკოლის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა, რომ მას ადრე მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით 23 წლის ასაკამდე გაგრძელებოდა "მარჩენალის შრომის პენსიის" გაცემა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე ს. რ-შვილს დანიშნული ჰქონდა "მარჩენალის შრომის პენსია", მაგრამ მას 18 წლის ასაკის შესრულებამდე სწავლა არ გაუგრძელებია სკოლის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის

“დ” ქვეპუნქტის მიხედვით, 18 წლის ასაკის შესრულებასთან დაკავშირებით, მართებულად შეუწყდა პენსიის მიცემა.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. რ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნათა დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, “სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2006 წლის 10 თებერვლის 46/ნ ბრძანებაზე და აღნიშნა, რომ ეს ბრძანება დეტალურად არეგულირებს სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესებს და ამ სფეროდან გამომდინარე სხვა მთელ რიგ საკითხებს.

კასატორის მითითებით, ზემოაღნიშნული ბრძანების მე-9 მუხლის თანახმად: 1) მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსია ენიშნებათ გარდაცვლილის ყოველ არასრულწლოვან შვილს; 2) მარჩენალის გარდაცვალების გამო ინიშნება სრულწლოვანების -18 წლის ასაკის მიღწევამდე; 3) იმ მარჩენალდაკარგულ პირებს, რომლებსაც “სახელმწიფო პენსიის შესახებ” საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე დაენიშნა “მარჩენალის შრომის პენსია” და ამ პენსიას იღებენ სკოლის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გამო, გაუგრძელებათ პენსიის მიღება 23 წლის ასაკამდე, თუ არ დადგა “სახელმწიფო პენსიის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პენსიის შეწყვეტის საფუძველი, გარდა “სახელმწიფო პენსიის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის “დ” ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოებისა. კასატორის განმარტებით, აღნიშნული მუხლი ნათლად ცხადყოფს, რომ სადავო შემთხვევაში მარჩენალდაკარგულის პენსიის გაგრძელება არ უკავშირდება ამ ორი მოვლენის (პენსიის და დანიშვნისა და სტუდენტობის) ერთდროულად, კანონის ძალაში შესვლამდე წარმოშობას. კასატორი აღნიშნავს, რომ საკმარისია, პირს იგი დანიშნული ჰქონდეს 2006 წლის 1 იანვრამდე და შემდეგ 18 წლის შესრულებამდე მას იღებდეს როგორც სტუდენტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გამო. ასეთ შემთხვევაში მარჩენალდაკარგულის პენსია, ბრძანების თანახმად, გრძელდება, 18 წლის ასაკის მიღწევის მიუხედავად, 23 წლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ს. რ-შვილის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინებით ს. რ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დასაშვებად და განსახილველად დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შემოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: “სახელმწიფო პენსიის შესახებ” საქართველოს კანონის ამოქმედებამდე ანუ 2006 წლის 1 იანვრამდე, ს. რ-შვილს მამის გარდაცვალების გამო დანიშნული ჰქონდა “მარჩენალის დაკარგვის გამო შრომის პენსია”. ს. რ-შვილი 2007 წლის 24 ნოემბერს ბრძანება #62-ით ჩაირიცხა ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიულ სწავლების ცენტრში, პროგრამით “ვებ ტექნოლოგიები”. სასამართლოს ასევე დადგენილად მიაჩნია, რომ ს. რ-შვილს 2008 წლის 14 მარტს შეუსრულდა 18 წელი. საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია და არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ ს. რ-შვილს მარჩენალდაკარგულის პენსია შეუწყდა სრულწლოვანების მიღწევის გამო, აგრეთვე სსიპ სოცისლური სუბსიდიების სააგენტოს 2008 წლის 20 ივნისის #01/09-13463 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ “სახელმწიფო პენსიის შესახებ” საქართველოს კანონთან ერთად საქართველოში მოქმედებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 46/ნ ბრძანება “სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე”.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს “სახელმწიფო პენსიის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე, რომლის მიხედვითაც პენსიის დანიშვნის საფუძვლებია: ა) საპენსიო ასაკის -65 წლის მიღწევა; ბ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა; გ) მარჩენალის გარდაცვალება.

აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 46/ნ ბრძანების "სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე" №-1 დანართის მე-9 მუხლის მესამე პუნქტზე, სადაც აღნიშნულია, რომ იმ მარჩენალდაკარგულ პირებს, რომლებსაც "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე დაენიშნა "მარჩენალის შრომის პენსია" და ამ პენსიას იღებენ სკოლის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გამო, გაუგრძელდებათ პენსიის მიღება 23 წლის ასაკამდე. თუ არ დადგა "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პენსიის შეწყვეტის საფუძველი, გარდა "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოებისა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს და აღნიშნავს, რომ ბრძანება №-46/ნ-ს №-1 დანართის მე-9 მუხლი გამონაკლისის სახით ითვალისწინებს პენსიის გაგრძელების შესაძლებლობას 23 წლის ასაკამდე, თუ პირისათვის მისი დანიშვნა მოხდა "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე ანუ 2006 წლის 1 იანვრამდე და ეს პირები ამ პენსიას იღებენ სკოლის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გამო, შესაბამისად ეს მუხლი არ ითვალისწინებს ორივე პირობის "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებამდე (2006 წლის 1 იანვრამდე) არსებობას. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ საკმარისია პირს პენსია დანიშნული ქონდეს 2006 წლის 1 იანვრამდე და შემდეგ 18 წლის შესრულებამდე იღებდეს როგორც სტუდენტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გამო.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ ს. რ.-შვილს 2008 წლის 14 მარტს შეუსრულდა 18 წელი და ამ დროისათვის იგი სწავლას არ აგრძელებდა სკოლის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რადგან საქმეში წარმოდგენილი სსიპ ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრის 2008 წლის 10 სექტემბრის ცნობა №-159/08-ით ირკვევა, რომ ს. რ.-შვილი აღნიშნულ ცენტრში ჩარიცხულ იქნა 2007 წლის 24 ნოემბრის ბრძანება №-62-ით, ხოლო იმავე ცენტრის 2008 წლის 6 მარტის №-52/08 ცნობის მიხედვით ს. რ.-შვილი ამ ცნობის გაცემის დროს სწავლობდა ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლზე, რომლითაც იმპერატიულად იქნა დადგენილი ამ კანონის ამოქმედებამდე დანიშნული და გაცემული პენსიების გაცემის გაგრძელების შესაძლებლობა ამ კანონის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს აღნიშნულ მუხლის მე-2 პუნქტზე, სადაც აღნიშნულია ნორმატიული აქტები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების დღიდან განიხილება როგორც ამ კანონის თანახმად დანიშნული და გაცემული პენსიები და მათი გაცემა გაგრძელდება მხოლოდ ამ კანონის შესაბამისად. კერძოდ ეს ნორმატიული აქტებია: ა) "ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონი; ბ) "ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი; გ) "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი; დ) "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონი; ე) "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონი; ვ) "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ს. რ.-შვილისათვის პენსია არ დაუნიშნავთ ზემოაღნიშნული არცერთი ნორმატიული აქტით. შესაბამისად, ამ პენსიის განხილვა როგორც "სახელმწიფო პენსიების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად დანიშნულის და გაცემულის, აგრეთვე, მისი გაცემის გაგრძელება მხოლოდ ამ კანონის შესაბამისად დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ს. რ.-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-

ტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინება უნდა გაუქმდეს და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. რ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ს. რ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. რ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის -სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 2008 წლის 20 ივნისის # -01/09-13463 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ს. რ-შვილისათვის შეწყვეტილი მარჩენალდაკარგულის პენსიის აღდგენის თაობაზე და ასევე ანაზღაუროს მოსარჩელისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი, კერძოდ მარჩენალდაკარგულის პენსიის ანაზღაურება შეწყვეტის მომენტიდან პენსიის აღდგენამდე;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-673-639(კ-09) 22 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე**

დავის საგანი: კვების (ულუფის) კომპენსაციის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ა. ჭ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელეს განმარტებით, 1998 წლიდან 2001 წლამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის მიმართ გააჩნია სახელფასო დავალიანება, რაც შეადგენს 1239.65 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ დავალიანების ანაზღაურების დაკისრება.

მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა საქალაქო სასამართლოში არ ცნო ა. ჭ-შვილის სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელეს სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების 1239,65 ლარის ანაზღაურება; საქალაქო სასამართლომ გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37-ე, 134¹ მუხლები და განმარტა, რომ მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა სახელფასო დავალიანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში. ამასთან, სასამართლომ გამოიყენა სსსკ-ის 390.3. მუხლი და განმარტა, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორმა ვერ გააბათილა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული დასკვნები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი დაუსაბუთებელია.

კასატორის განმარტებით, მოსარჩელის მოთხოვნები ხანდაზმულია, რადგან ამ მოთხოვნებზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა. მოსარჩელესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობა იყო. იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა სახელშეკრულებო ვალდებულების კვალიფიკაცია, მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, მასზე ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა. იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფულად გასაცემელს მიეცეს ხელფასზე დანამატის სტატუსი და ჩაითვალოს ხელფასის შემადგენელ ელემენტად, საჭიროა, ამ ფულად გასაცემელს (ჯილდო, კვების კომპენსაცია, მატერიალური დახმარება) კანონმდებლობის მიხედვით, ჰქონდეს დანამატის სტატუსი. ამასთან, ხელფასსა და დასახელებულ ფულად გასაცემლებზე ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლიდან გამომდინარე, ასევე -ამ კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი, ამავე სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ გაცემული ცნობა ვერ ჩაითვლება მოპასუხის მხრიდან ვალის აღიარებად, რადგან მასში არ არის მითითებული ჯილდოს, კვების კომპენსაციისა და მატერიალური დახმარების დავალიანების აღიარებასა და მისი გადახდის დაპირებაზე. აღნიშნული ცნობა საინფორმაციო ხასიათისაა და გაცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის 2009 წლის 30 ივნისის განჩინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 "ბ" მუხლის საფუძველზე /დივერგენტული კასაცია/.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ჭ-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხისათვის კვების კომპენსაციის ა. ჭ-შვილის სასარგებლოდ -686,58 ლარის დაკისრების ნაწილში არასწორია, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კვების კომპენსაციის თანხა არ წარმოადგენს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იმავე პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. კვების კომპენსაცია წარმოადგენს "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამდენად, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობდა კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის - ულუფისა და სანივთე უზრუნველყოფის - ფორმის ტანსაცმლის სახით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან - სასურსათო ულუფისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლში. ამდენად, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო სამმართველოს (ან სამხედრო ნაწილის) მიერ გაცემულ საინფორმაციო ხასიათის ცნობაში სახელფასო დავალიანებასთან ერთად, მითითებულია კვების ულუფის დავალიანებაზე, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების ულუფის დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

რაც შეეხება ვალის აღიარების საკითხს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი განხილულ იქნეს ამ ორგანოს მიერ ვალის აღიარებად, მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე, ამასთან, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალში დაუბრუნდება ამ საკითხს და/ან აანაზღაურებს დავალიანებას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელეს მოთხოვნა კვების კომპენსაციის თანხის -686,58 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულია, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კი არ უღიარებია მოსარჩელის წინაშე კვების კომპენსაციის დავალიანება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეთათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 აპრილის განჩინება კვების კომპენსაციის თანხის -ა. ჭ-შვილის სასარგებლოდ -686,58 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამავე ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კვების კომპენსაციის თანხის -ა. ჭ-შვილის სასარგებლოდ -686,58 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების თაობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243.2, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი -კვების კომპენსაციის ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 აპრილის განჩინება მოსარჩელესათვის კვების კომპენსაციის ა. ჭ-შვილის სასარგებლოდ -686,58 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. ჭ-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის -686,58 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-100-95(კ-09)

30 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. მ-იანმა 2007 წლის მარტში სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიმართ და მოითხოვა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით ა. მ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა - ა. მ-იანი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით საქმეში თანამოპასუხედ ჩაბმულ იქნა -სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინებით საქართველოს მთავრობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ივლისის განჩინებით საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განჩინებით საქართველოს მთავრობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. მ-იანი 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალია, რომ ა. მ-იანის შრომის წიგნაკში, 1992 წლის 1 თებერვლის ჩანაწერით დადგენილი იქნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეუჩერდა ა. მ-იანს უზენაესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება, რაც არ განახლებულა.

სააპელაციო პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ა. მ-იანი საარჩევნო ბლოკის "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" პარტიული სიით (#-103) იქნა არჩეული საქართველოს უზენაეს საბჭოში და იგი ნამდვილად იყო 1991 წელს მმართველო პოლიტიკური ძალის "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს წევრი". სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ა. მ-იანის დათხოვნა დაკავშირებული იყო მის პოლიტიკურ შეხედულებებთან და ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერასთან, ანუ ეს იყო მოსარჩელის პოლიტიკური მოტივით თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალია, რომ მოცემული შემთხვევა სრულად აკმაყოფილებს "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობამ და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევეია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე მიიჩნია ა. მ-იანის სამსახურიდან დათხოვნა რეპრესიად, რომ არ გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითება იმის შესახებ, იყო თუ არა ა. მ-იანის დათხოვნა დაკავშირებული პოლიტიკურ შეხედულებასთან, ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერასთან, ანუ არსებობდა თუ არა პოლიტიკური მოტივით მოსარჩელს თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი.

კასატორი თვლის, რომ მხოლოდ მრავალპარტიული საარჩევნო ბლოკის "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" პარტიული სიით უზენაეს საბჭოში არჩევა და ამ პოლიტიკური ბლოკის წევრობა არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერის საერთო პოლიტიკური შეხედულებების და პირის პოლიტიკური მოტივით თანამდებობიდან უკანონო დათხოვნის უტყუარ საფუძვლად.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია მრავალპარტიული ბლოკის "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" შემავალ რომელ პარტიას ეკუთვნოდა მოსარჩელე ა. მ-იანი; ეს პარტია თავისი პოლიტიკური შეხედულებით წარმოდგენდა თუ არა ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდამჭერ პარტიას და სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტივით ნამდვილად იქნა თუ არა გამოყენებული "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების ფორმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. მ-იანის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოსარჩელე ა. მ-იანი 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად. იგი საარჩევნო ბლოკის "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" პარტიული სიით იქნა საქართველოს უზენაეს საბჭოში არჩეული #103, როგორც მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე 1992 წლის 2 იანვარს მოხდა ა. მ-იანის სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერება, რაც შემდგომ აღარ განახლებულა.

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ა. მ-იანის თანამდებობიდან დათხოვნა დაკავშირებული იყო მის პოლიტიკურ შეხედულებებთან და ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერასთან, ანუ არსებობდა მოსარჩელის პოლიტიკური მოტივით თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონით "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით; ამ ნორმის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული ცვლილებებითა და დამატებებით მითითებული კანონის მოქმედება გავრცელდა საქართველოს იმ მოქალაქეებზეც, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდგომ დამოუკიდებელ საქართველოს ტერიტორიაზე. იმავე ცვლილებებითა და დამატებებით აღნიშნული კანონის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა - სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმვა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დასახლების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებულ ადამიანის უფლების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან

არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე, ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები. იმავე კანონის მე-4 მუხლს 2005 წლის 24 ივნისს დაემატა მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც რეაბილიტირებულ იქნა საქართველოს სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, თუ მის მიმართ წაყენებული ბრალდება ემყარებოდა კანონიერი ხელისუფლების სტრუქტურებში სამსახურს ან ამ სტრუქტურების მხარდაჭერას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონით გათვალისწინებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ცნობის საკმარისი საფუძველი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის განჩინება უნდა გაუქმდეს და მოცემულ საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ეს მუხლი განსაზღვრავს პირობას, რომლის არსებობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს თვითონ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე ისე, რომ არ დააბრუნოს იგი ხელახლა განსახილველად უკან. ამგვარი პირობაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად და სწორად დადგენა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ და ამ ფაქტების დადგენა საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად, ე.ი. ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმე მზადაა გადასაწყვეტად, მაგრამ არასწორადაა შეფარდებული (გამოყენებული) კანონი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ იქნა დადასტურებული მოსარჩელეზე ზემოხსენებული ნორმებით გათვალისწინებული პოლიტიკური მოტივით დევნის განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებით, რაც დაადასტურა ასევე მოსარჩელემაც საკასაციო სასამართლოს სხდომაზე; აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონის სუბიექტს, რის გამოც მისი სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება
3. ა. მ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კვების კომპენსაციაზე უარი
ხანდაზმულობის გამო**

განჩინება

#-ბს-623-591(კ-09)

20 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: კვების (ულუფის) კომპენსაციის და წელთა ნამსახურობის დანამატის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ე. გ-ამ სარჩელი აღმრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელეს განმარტებით, 1995 წლიდან 2000 წლამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის მიმართ გააჩნია სახელფასო დავალიანება 1752,1 ლარის ოდენობით, რაც დასტურდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2008 წლის 22 სექტემბერს გაცემული ცნობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ დავალიანების ანაზღაურების დაკისრება.

მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა საქალაქო სასამართლოში არ ცნო ე. გ-ის სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელეს სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების 791,06 ლარის ანაზღაურება, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37-ე, 134¹ მუხლები და განმარტა, რომ მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა სახელფასო დავალიანება.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია საერთო ხანდაზმულობის 10 წლიან ვადასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა შეეხებოდა 1998 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვის სახელფასო დავალიანებას. სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად კი ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარემ ე. გ-ამ არ ცნო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში. ამასთან, სასამართლომ გამოიყენა სსსკ-ის 390.3. მუხლი და განმარტა, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორმა ვერ გააბათილა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული დასკვნები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი დაუსაბუთებელია.

კასატორის განმარტებით, მოსარჩელის მოთხოვნები ხანდაზმულია, რადგან ამ მოთხოვნებზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა. მოსარჩელესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობა იყო. იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა სახელშეკრულებო ვალდებულების კვალიფიკაცია, მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, მასზე ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა. იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფულად გასაცემელს მიეცეს ხელფასზე დანამატის სტატუსი და ჩაითვალოს ხელფასის შემადგენელ ელემენტად, საჭიროა, ამ ფულად გასაცემელს (ჯილდო, კვების კომპენსაცია, მატერიალური დახმარება) კანონმდებლობის მიხედვით, ჰქონდეს დანამატის სტატუსი. ამასთან, ხელფასსა და დასახელებულ ფულად გასაცემლებზე ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლიდან გამომდინარე, ასევე - ამ კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი, ამავე სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ გაცემული ცნობა ვერ ჩაითვლება მოპასუხის მხრიდან ვალის აღიარებად, რადგან მასში არ არის მითითებული ჯილდოს, კვების კომპენსაციისა და მატერიალური დახმარების დავალიანების აღიარებასა და მისი გადახდის დაპირებაზე. აღნიშნული ცნობა საინფორმაციო ხასიათისაა და გაცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის 2009 წლის 30 ივნისის განჩინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მოსარჩელესათვის კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 "ბ" მუხლის საფუძველზე /დივერგენტული კასაცია/.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ე. გ.-იას სარჩელი კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

მოწინააღმდეგე მხარემ ე. გ.-იამ დაადასტურა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი სარჩელი კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა და მას საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეული არ არის სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა კანონი, საპროცესო ნორმები არ დარღვეულა, სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს და დავა გადაწყვიტა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ე. გ.-იასათვის კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 "ბ" მუხლის საფუძველზე /დივერგენტული კასაცია/. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ე. გ.-იას სარჩელი კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რაც ასევე დაადასტურა სხდომაზე გამოცხადებულმა მოსარჩელემ. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ე. გ.-იას არ გაუსაჩივრებია.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იმავე პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, დანა-

მატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

საქმის მასალების მიხედვით ე. გ-იას 1998-1999-2000 წლების სახელფასო დავალიანება შეადგენდა 1752,1 ლარს, მათ შორის, 1998 წლის ხელფასი 154,3 ლარი, კვების თანხა -236, ჯილდო -77,2, მატერიალური დახმარება -38,6, სულ 506,1 ლარი; 1999 წლის ხელფასი -231,54 ლარი, კვების თანხა -354, ჯილდო -154,36, მატერიალური დახმარება -38,6, სულ 778,5 ლარი. 2000 წლის ხელფასი 154,3 ლარი, კვების თანხა -236, ჯილდო -77,2 სულ 467,5 ლარი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა კვების კომპენსაციის ნაწილში განაპირობა ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებებში სამართლებრივი დასკვნების ბუნდოვანებამ, რამდენადაც არ არის მითითებული თუ რა მოთხოვნები დაუკმაყოფილდა მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მხარეებმა დაადასტურეს, რომ სადავო თანხებიდან არდაკმაყოფილებულ სარჩელის ნაწილს სწორედ კვების კომპენსაციის თანხა -826 ლარი წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი წინაპირობა არ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ -კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ერთჯერადი დახმარების გაცემის წინაპირობები

განჩინება

#-ბს-781-745(2კ-09) 22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: სახელფასო და სხვა სახის დავალიანების ანაზღაურება, ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 4 სექტემბერს და 18 დეკემბერს გ. გ-იანმა, სასარჩელო და დაზუსტებული სასარჩელო განცხადებებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი 2003 წლის 5 მაისამდე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული მიმართულება "... მეთაურის მოადგილედ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის მიმართ 1998 წლიდან წარმოექმნა სახელფასო და სხვა სახის ფულადი დავალიანებები.

მოსარჩელის განმარტებით, მან 2008 წლის 16 ივლისს №-3-2562 განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, თუმცა 2008 წლის 18 აგვისტოს მიიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 2008 წლის 1 აგვისტოს №-8/4238 წერილი, რომლითაც უარი ეთქვა მის მოთხოვნაზე, თან ამ წერილში გამოტოვებული იყო გარკვეული თანხები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის სახელფასო დავალიანების -8603,36 ლარის, კუთვნილი დავალიანებების დროული აუნაზღაურებლობით მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ, 2000 წლიდან საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე პერიოდში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,07%-ის გადახდის და საადვოკატო მომსახურების სახით გაწეული ხარჯის -500 ლარის ანაზღაურების დავალბა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. გ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელე გ. გ-იანის სასარგებლოდ დარიცხული სახელფასო დავალიანების -3652,40 ლარის გადახდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალბა გ. გ-იანის კუთვნილი ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემა; დანარჩენ ნაწილში მოსარჩელე გ. გ-იანს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული ნაწილის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-იანმა, რომელმაც გასაჩივრებული ნაწილის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინებით გ. გ-იანის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინება საკასაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო. მისივე მითითებით, ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, ვინაიდან "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, შესაბამისი კანონმდებლობით რეგულირდება. აქედან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განმარტა, რომ საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობისას წარმოშობილი დავის დროს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის გამოყენება კანონიერია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აგრეთვე მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო მოსარჩელისათვის თითოეული თვის ან პერიოდის კვების კომპენსაციის გაცემისათვის დაწესებული დღის მეორე დღიდან, ხოლო სარჩელი სასამართლოში შეტანილი იყო როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადების გაშვებით.

კასატორ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის ნოემბრის №-493 ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება ამავე ბრძანებულების 61¹ პუნქტის საფუძველზე შეჩერებული იყო 2006 წლის 1 იანვრამდე. შესაბამისად, აღნიშნული ნორმის მოქმედების შეჩერებით, კანონმდებელმა გაათავისუფლა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემასთან დაკავშირებით ვალდებულების შესრულებისაგან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინება საკასაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა აგრეთვე გ. გ-იანმაც, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის და 10 ივნისის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და გ. გ-იანის საკასაციო საჩივრები.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივლისის განჩინებით გ. გ-იანის საკასაციო საჩივარი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი გ. გ-იანისათვის სახელფასო დავალიანების -3652,40 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. გ-იანის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -3652,40 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გ. გ-იანისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად; საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივლისის განჩინებით გ. გ-იანის საკასაციო საჩივარი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი გ. გ-იანისათვის სახელფასო დავალიანების -3652,40 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. გ-იანის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -3652,40 ლარის ანაზღაურება დაეკისრა, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გ. გ-იანისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად, შესაბამისად საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს გ. გ-იანისათვის მხოლოდ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2003 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით გ. გ-იანი დათხოვნილი იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის (ავადმყოფობის გამო) თანახმად. საქმეში არსებული გ. გ-იანის ნამსახურობის ნუსხის თანახმად, მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მსახურობდა -6 წელი, 3 თვე და 7 დღე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე პუნქტზე, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის, ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით -ა) 2 წლამდე (მაგრამ არანაკლებ 6 თვისა) -სამმაგი; ბ) 2-დან 10 წლამდე -ხუთმაგი, ხოლო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს 10 წლამდე -ექვსმაგი; გ) 10-დან 15 წლამდე -რვათმაგი; დ) 15-დან 20 წლამდე -ათმაგი; ე) 20 და მეტი წლისათვის -თორმეტმაგი.

ზემოხსენებული ბრძანებულების 33¹ პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან

ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61¹ პუნქტის თანახმად, ამ ბრძანებულების 33¹ პუნქტის მოქმედება განახლდა 2006 წლის 1 იანვარს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33¹ მუხლი, ამოღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 სექტემბრის #531 ბრძანებულებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 2008 წლის 1 აგვისტოს #8/4238 ცნობის თანახმად, გ. გ-იანს მისი 2008 წლის 16 ივლისის განცხადებაზე უარი ეთქვა, კერძოდ, ხსენებულ ცნობაში აღნიშნული იყო, რომ გ. გ-იანზე გაუცემელი თანხები შეადგენდა: 1998 წლის ჯილდო -472 ლარს, ხელფასი -1041,2 ლარს, 1999 წლის კვების საკომპენსაციო თანხა -354 ლარს, ხელფასი -1566,72 ლარს, 2000 წლის კვების საკომპენსაციო თანხა -236 ლარს, ხელფასი -1044,48 ლარს, სულ -4714,4 ლარს. აგრეთვე მითითებულია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა გ. გ-იანის მოთხოვნა მიუღებელი თანხების გაცემის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია გ. გ-იანის 2008 წლის 16 ივნისის განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს მიუღებელ თანხებს, მათ შორის ერთჯერად (გამოსასვლელ) დახმარებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მტკიცებულებები იმის თაობაზე მოახდინა თუ არა მოსარჩელემ უფლების რეალიზება ნორმის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით, ხოლო საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ დაადგენს აღნიშნულ გარემოებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის "გ" და "ე" ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად კი გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის საფუძვლებზე და სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-643-611(კ-09) 27 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ნ. ბ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხე -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში. 1998 წლიდან 2003 წლამდე მას არ მიუღია ხელფასი და სამივლინებო თანხები, რომლის საერთო რაოდენობამაც შეადგინა 2631,75 ლარი. მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა განცხადებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, მაგრამ სახელფასო დავალიანების ანაზღაურება მოპასუხის მიერ არ განხორციელდა.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი:

მოპასუხე ორგანიზაციამ მოსარჩელეს 2008 წლის 7 აგვისტოს წერილით აცნობა, რომ მოსარჩელის სახელფასო დავალიანებას წარმოადგენდა 2119,75 ლარი, ხოლო სამინისტროში არ იყო მიღებული გადაწყვეტილება წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანების დაფარვის თაობაზე.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველები მითითებული არ არის.

მოპასუხე -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა სარჩელი არ სცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული იყო და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების -1017,50 ლარის ანაზღაურება; მოსარჩელეს უარი ეთქვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურზე

სასურსათო ულუფის -590 ლარისა და სამივლინებო დავალიანების -512 ლარის ოდენობით თანხის დაკისრებაზე, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე ნ. ბ-მე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი და განმარტა, რომ მითითებული კანონის 37.1 მუხლის მიხედვით, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ამვე კანონის 134¹ მუხლის თანახმად, დადგენილი და აღიარებული იყო, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებული საჯარო მოხელეების მიმართ არსებობდა საბიუჯეტო დავალიანებები და კუვნილი თანხის გაცემა უნდა განხორციელებულიყო წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანებების დაფარვის წესის შესაბამისად. აღნიშნული მუხლით რეგლამეტირებული იყო საჯარო მოსამსახურეებზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხებოდა საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას. 2006 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ", რომლის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ასევე აღიარებდა წინა წლებში წარმოქმნილ ფაქტობრივ დავალიანებებს და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გამოეყენებინათ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არსებული დავალიანების დასაფარავად.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მოქმედების განხორციელებლობა -ხელფასის გაუცემლობა პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, რის გამოც, საქალაქო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლი, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე, უკანონო იყო და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლიში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანდა გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებდა, განეხორციელებინა ეს მოქმედება ან თავი შეეკავებინა ამ მოქმედების განხორციელებისაგან. ამდენად, მოპასუხე ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მოსარჩელისათვის სახელფასო დავალიანება, მათ შორის წოდება, წელთა დანამატი - 1017,50 ლარი. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიიჩნია, რომ დავალიანების არსებობა დადასტურებული იყო საქმეში არსებული ცნობით.

რაც შეეხებოდა კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურებას, საქალაქო სასამართლომ გაიზიარა აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხე მხარის პოზიცია და მიიჩნია, რომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო, ვინაიდან მასზე უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რადგან ხსენებული დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება, სასამართლოს დასკვნით, წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებდა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი კვების კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, ვინაიდან მხარემ აღნიშნული მოთხოვნით სასამართლოს მიმართა მხოლოდ 2008 წლის 5 სექტემბერს, ანუ მოთხოვნის კანონით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სასურსათო ულუფისა და სამივლინებო თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო იყო, იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული, იგი მიღებული იყო სამართლის ნორმების დარღვევით, აგრეთვე ფაქტობრივ გარემოებათა შეფასების გარეშე. აპელანტის მითითებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში განმარტებული იყო ხელფასი და შესაბამისად, სახელფასო დავალიანების ცნება, კერძოდ, აღნიშნული კანონის 37-ე მუხლი განმარტავდა, რომ ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). იგი მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და

კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატის გაცემა უნდა განხორციელებულიყო მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

აპელანტის მითითებით, აღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადა აითვლებოდა არა 2003 წლიდან, არამედ 2007 წლიდან, როცა დასაქმებული გათავისუფლდა სამსახურიდან და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, დადგა საბოლოო ანგარიშ-სწორების პერიოდი. აღნიშნულ ურთიერთობაზე ვრცელდებოდა შრომის კანონმდებლობა, რაც და-დასტურდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლით, რომლის თანახმად, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდებოდა, რეგულირდებოდა შესაბამისი კანონმდებლობით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით კი არ იყო მოწესრიგებული მუშაკის სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში საბოლოო ანგარიშსწორების საკითხები, რაც ნიშნავდა იმას, რომ აღნიშნულ ურთიერთობებზე ვრცელდებოდა შრომის კოდექსი, რომლის 34-ე მუხლის თანახმად, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის მომენტიდან იწყებოდა მოხონაზე ხანდაზმულობის ვადის ათვლა.

აპელანტის მითითებით, სამივლინებო თანხების დაკმაყოფილებას ითვალისწინებდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 39¹ მუხლი, რომელიც მიუთითებდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აპრილის #231 ბრძანებულების მე-17 მუხლზე, რომლითაც განსაზღვრული იყო სამივლინებო თანხის ავანსის სახით გაცემა. აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ სამივლინებო ხარჯების დაკმაყოფილების საკითხი საერთოდ არ განხილულა სასამართლო გადაწყვეტილების არცერთ ნაწილში და, შესაბამისად, არც სასამართლოს უარი იყო დასაბუთებული.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ სასურსათო ულუფის -590 ლარისა და სამივლინებო დავალიანების -512 ლარის გადახდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური გათავისუფლდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე ნ. ბ-ძეს 2008 წლის 30 ივლისის #29286 განცხადების პასუხად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 7 აგვისტოს #16-04/22135 წერილით ეცნობა, რომ მის მიმართ 1998-2003 წწ. დარიცხული საბიუჯეტო სახელფასო დავალიანება შეადგენდა 2408,80 ლარს, მათ შორის: ხელფასი -1529,75 ლარს, 2000 წლის სასურსათო ულუფა -590 ლარს და 2003 წლის სამივლინებო დავალიანება -512 ლარს. ასევე დადგენილია, რომ ნ. ბ-ძე 2000-2003 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში, იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასი) ფონდის ფორმირების წყარო იყო შესაბამისი ბიუჯეტი და საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება ყოფილიყო მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე და 39-ე მუხლების თანახმად, მოსამსახურეს მისთვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება ჰქონდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. საქართველოს პრეზიდენტის 04.04.98წ. #220 ბრძანებულებით "მოსამსახურეებისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ", მოსამსახურეს სრულად უნაზღაურდებოდა სამივლინებო ხარჯები მივლინებაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა ამ წესით დადგენილი გამონაკლისისა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომელიც წარმოიშობოდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელი იყო, რაც ათვლილიყო სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით, მიუხედავად იმისა, თუ როდის იქნა დათხოვნილი პირი სამსახურიდან. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სასურსათო ულუფისა და სამივ-

ლინებო თანხის ანაზღაურების თაობაზე, განეკუთვნებოდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და მასზე ვრცელდებოდა ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა წყდებოდა ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე ვალის აღიარებით, ხოლო ამავე კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდებოდა, თუ უფლებამოსილი პირი შეეცდებოდა, დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსთვის მიმართა მოთხოვნის არსებობის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 144.2 მუხლის თანახმად, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შესასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. იგივე წესი გამოიყენებოდა ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა 2008 წლის 7 აგვისტოს №-16-04/22135 წერილით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ აღიარა ნ. ბ-მის მიმართ არსებული სამიველინებო და სასურსათო ულუფის, როგორც ხელფასის შემადგენელი ნაწილის დავალიანება და შესაბამისად, განსახილველ სასარჩელო მოთხოვნაზე ვერ გავრცელდებოდა სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მოქმედების განუხორციელებლობა პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლი, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე, უკანონო იყო და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლიში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანდა გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებდა, განეხორციელებინა ეს მოქმედება ან თავი შეეკავებინა ამ მოქმედების განხორციელებისაგან. ამდენად, მოპასუხე ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მოსარჩელისათვის სასურსათო ულუფა -590 ლარი და სამიველინებო დავალიანება -512 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, იგი მიღებულია სამართლის ნორმების დარღვევით, აგრეთვე ფაქტობრივ გარემოებათა შეფასების გარეშე.

კასატორის მითითებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-საბამისად, მოსარჩელე წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს. ამავე კანონის 11.2. "ე" მუხლის თანახმად, საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო მითითებული კანონის 14.1 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებზე ვრცელდება აღნიშნული კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37.1 მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისთვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს.

კასატორის მითითებით, დავალიანების წარმოქმნის პერიოდისათვის მოქმედი საქართველოს საბაჟო კოდექსის 168.1 მუხლის თანახმად, საბაჟო ორგანოს საჯარო მოხელეზე ვრცელდებოდა პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც განსაზღვრული იყო "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლით (პოლიციის სოციალური დაცვა). მითითებული ნორმით ხელფასისაგან გამიჯნულია ხელფასსზე (ფულად სარგოზე) დანამატი და კომპენსაცია. მოხელეს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფო ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. მართალია, საბაჟო მოსამსახურეს სამსახურის პერიოდში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერ-

თად, მაგრამ იგი არ წარმოადგენდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლით განსაზღვრულ ხელფასის კომპონენტს. ხელფასი თავისი სამართლებრივი ბუნებით განსხვავდება სოციალური უზრუნველყოფის სახისაგან -სასურსათო ულუფისაგან, რომელიც კანონმდებლის მიერ სხვა სამართლებრივ რეჟიმშია მოქცეული და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლით რეგულირებულ სფეროს არ განეკუთვნება. შესაბამისად, მის მიმართ, როგორც სოციალური უზრუნველყოფის პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რაც უნდა აითვალოს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით, მიუხედავად იმისა, თუ როდის დაითხოვეს პირი სამსახურიდან.

კასატორის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სახელფასო დავალიანების შემთხვევაში, მიუღებელი ხელფასის მოთხოვნის უფლება პირს წარმოეშობა იმ მომენტიდან, როდესაც მას უნდა მიეღო ხელფასი და არ მიიღო, ე.ი. თითოეული თვის ხელფასის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება ამ თვის ბოლო რიცხვიდან, როდესაც პირს უნდა მიეღო ხელფასი, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი არ მიუღია, შესაბამისად, თითოეული თვის ხელფასის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ სააპელაციო საჩივარში მითითებული თანხის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა 2008 წელს. შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა დავალიანების თაობაზე კი მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა და იგი მოწმობს არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგება მოსარჩელეს, რომელიც მას არ მიუღია, ხოლო ვალის აღიარების, დავალიანების ანაზღაურების თაობაზე დაპირებას შემოსავლების სამსახურის მიერ ადგილი არა აქვს.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული 2009 წლის 30 ივნისის განჩინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი მოსარჩელესათვის კვების კომპენსაციის და სამივლინებო თანხების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 "ბ" მუხლის საფუძველზე /დივერგენტული კასაცია/.

მოწინააღმდეგე მხარეს მოსაზრება და წერილობითი შესაგებელი საკასაციო საჩივართან დაკავსებით არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება კვების კომპენსაციის და სამივლინებო თანხების ანაზღაურების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ბ-მის სარჩელი კვების კომპენსაციის და სამივლინებო თანხების მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხისათვის კვების და სამივლინებო თანხების ნ. ბ-მის სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში არასწორია, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 9 ოქტომბრის ცნობით დადგენილია, რომ ნ. ბ-მის ხელზე მისაღები ხელფასი შეადგენდა სულ 2119,50 ლარს, მათ შორის, თანამდებობრივი სარგო 1186,75 ლარს; წოდებრივი დანამატი 343,00 ლარს; 2000 წლის სასურსათო ულუფა -590 ლარს და 2003 წლის სამივლინებო დავალიანება 512 ლარს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. ამასთან, "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლი, 2000 წლის 28 ივნისის #413 კანონით

განხორციელებული ცვლილების შედეგად, პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნებაში გულისხმობდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კვების (ულუფის) კომპენსაციის თანხა 2000 წლის 28 ივნისის შემდეგ მოქმედი რედაქციის "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს არ წარმოადგენს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168.1. მუხლის მიხედვით კი საბაჟო ორგანოს საჯარო მოხელეებზე ვრცელდებოდა პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც განსაზღვრული იყო პოლიციის შესახებ კანონის 31-ე მუხლში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კვების კომპენსაციის თანხა არ წარმოადგენს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იმავე პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან -სასურსათო ულუფისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლში. ამდენად, ვინაიდან სასურსათო ულუფა და სამივლინებო დავალიანება წარმოადგენს მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემულ საინფორმაციო ხასიათის ცნობაში სახელფასო დავალიანებასთან ერთად, მითითებულია კვების ულუფის და სამივლინებო დავალიანებაზე, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების ულუფის და სამივლინებო დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო, მაგრამ სამივლინებო თანხების ანაზღაურება წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ვინაიდან, მოსამსახურის მივლინებაში გაშვება და შესაბამისი სამივლინებო თანხების ანაზღაურება დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდთან. სამივლინებო თანხა, ხელფასის თანხისაგან განსხვავებით, არ არის მოქცეული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 134¹ მუხლის მოქმედების ფარგლებში. ამდენად, სამივლინებო თანხის, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების, მოთხოვნა ექვემდებარება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგლამენტირებულ ხანდაზმულობის 3-წლიან ვადას.

იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ბ-მემ, წინამდებარე სარჩელი აღძრა 2008 წლის 5 სექტემბერს, ხოლო სადავოა 2003 წლის სამივლინებო თანხები, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ

მოთხოვნა სამივლინები თანხების ანაზღაურების ნაწილში აღძრულია მოთხოვნის 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გაშვებით, რაც სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ხანდაზმულობის მოტივით მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

რაც შეეხება ვალის აღიარების საკითხს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი განხილულ იქნეს ამ ორგანოს მიერ ვალის აღიარებად, მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე, ამასთან, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალში დაუბრუნდება ამ საკითხს და/ან ანაზღაურებს დავალიანებას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა კვების კომპენსაციის თანხის -590 ლარის და სამივლინებო დავალიანების -512 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულია, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს კი არ უღიარებია მოსარჩელის წინაშე კვების და სამივლინებო კომპენსაციის დავალიანება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეთათვის კვების კომპენსაციის და სამივლინებო დავალიანების თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება კვების კომპენსაციის თანხის -590 ლარის და სამივლინებო დავალიანების -512 ლარის თანხის ნ. ბ-ძის სასარგებლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისთვის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამავე ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კვების კომპენსაციის თანხის -590 ლარის და სამივლინებო დავალიანების -512 ლარის ნ. ბ-ძის სასარგებლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისათვის დაკისრების თაობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243.2, 257-ე, 372-ე, 243.2, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება მოსარჩელე ნ. ბ-ძისათვის კვების ულუფის კომპენსაციის 590 ლარის და სამივლინებო დავალიანების 512 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. ნ. ბ-ძის სარჩელი კვების ულუფის კომპენსაციის 590 ლარის და სამივლინებო დავალიანების 512 ლარის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირის დადგენა

განჩინება

#-ბს-1241-1185(2კს-09) 5 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: უფლებამონაცვლის დადგენა და სააღსრულებო ფურცლის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 3 ივნისს ა. ხ-ანმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1971-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციაში "ან-2", "იაკ-40", "ტუ-154" ტიპის თვითმფრინავებზე ხომალდის მეთაურად. ა. ხ-ანს ჰქონდა 31 წლის მუშაობის საერთო სტაჟი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს აწარმოებდა საჰაერო გადაზიდვებს, რისთვისაც დაჯილდოებული იყო მედლით - "მხედრული მამაცობისათვის". 1996-2000 წლებში მუშაობდა ა/კ "აირზენა საქართველოს ავიახაზებში". 2000 წელს სმენის გაუარესების გამო ცნობილ იქნა სპეციალობით სამუშაოს შესრულების უვარგისად. თბილისის ისანი-სამგორის სარაიონთაშორისო საექსპერტო კომისიის 2002 წლის 11 თებერვლის #-25 დასკვნით დაუდგინდა შრომის უნარიანობის დაკარგვა 60%-ით და ცნობილ იქნა შრომის III ჯგუფის ინვალიდად. 2002 წლის 19 თებერვალს ა. ხ-ანმა განცხადებით მიმართა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას პროფესიულ დაავადებასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რაზეც უარი მიიღო.

მოსარჩელის განმარტებით, მუშაობის ბოლო სამი თვის პერიოდში "ბოინგ-737" ტიპის თვითმფრინავის მისი სპეციალობის მეთაურის საშუალო გამომუშავების თანხა შეადგენდა 1668 ლარს. ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #-48 ბრძანებულების II თავის მე-11 მუხლის საფუძველზე მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, სამედიცინო დასკვნით დადგენილი ვადით -მუდმივად. მოსარჩელის განმარტებით, მას უნდა ანაზღაურებოდა ბოლო 3 თვის ფაქტობრივად ნამუშევარი და მიღებული ხელფასის 60%, რაც 1008 ლარს შეადგენდა. ამასთან, ზემოხსენებული ბრძანებულების 52-ე მუხლის შესაბამისად, მას ასევე უნდა ანაზღაურებოდა ზიანი მიმართვის დღისათვის ორგანიზაციაში არსებული შესაბამისი ხელფასიდან ან გაანგარიშების დღისათვის საბაზრო ფასებზე დაყრდნობით.

2002 წლის 5 აგვისტოს ა. ხ-ანმა დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოპასუხეებად -საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია და "აირზენა საქართველოს ავიახაზები" დაასახელა. ხსენებული სასარჩელო განცხადებით მოსარჩელემ მოითხოვა ბოლო 3 თვის ფაქტობრივად ნამუშევარი და მიღებული ხელფასის 60%-ის ოდენობით თანხის გადახდა, რაც 1008 ლარს შეადგენდა. ამასთან -11676 ლარის სარჩელის შეტანიდან საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე ზიანის ანაზღაურება.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ხ-ანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიას და "აირზენა საქართველოს ავიახაზებს" ა. ხ-ანის სასარგებლოდ სოლიდარულად ყოველთვიური სარჩოს სახით -420 ლარისა და ზიანის სახით -5040 ლარის გადახდა დაეკისრათ; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სსიპ "საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია" მიჩნეულ იქნენ არასათანადო მოპასუხეებად და მათ მიმართ მოთხოვნაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება ა. ხ-ანმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით შპს "აირზენა-საქართველოს ავიახაზებმაც" გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ა. ხ-ანმა უარი თქვა მოთხოვნაზე შპს "აირხენა-საქართველოს ავიახაზების" მიმართ, ხოლო ამ უკანასკნელმა უარი თქვა სააპელაციო საჩივარზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 29 სექტემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს "აირხენა-საქართველოს ავიახაზების" განცხადება სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ და შეწყდა საქმის წარმოება შპს "აირხენა-საქართველოს ავიახაზების" სააპელაციო საჩივრის ნაწილში.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ა. ხ-ანის სააპელაციო საჩივარი; გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. ხ-ანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიას დაეკისრა ა. ხ-ანის სასარგებლოდ 2002 წლის თებერვლიდან ყოველთვიური სარჩოს სახით -688 ლარის გადახდა და მასვე დაეკისრა დამატებითი ხარჯის -შრომისუუნარობის ნაწილობრივი დაკარგვის გამო ერთი წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით ერთჯერადი დახმარების -8256 ლარის გაცემა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 1 აპრილის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 2004 წლის 10 მაისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე.

2008 წლის 3 ივნისს ა. ხ-ანმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 2004 წლის 10 მაისს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ ლიკვიდირებული საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ნაცვლად, მისი უფლებამონაცვლე -საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მითითება და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა.

განცხადების ავტორის განმარტებით, "ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, 2002 წლის 1 იანვარს ლიკვიდაცია განიცადა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ, ხოლო "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, შეიქმნა ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო. ამავე კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად კი, ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ. ხსენებულ კანონში 2004 წლის 24 ივნისს განხორციელებული ცვლილების გამო, მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციის შემდეგ მისი უფლებამონაცვლეობა გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი არ დაეთანხმა წარმოდგენილ განცხადებას და განმარტა, რომ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ დასახელებულ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიის უფლებამონაცვლეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განჩინებით ა. ხ-ანის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 2004 წლის 10 მაისს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ ლიკვიდირებული საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ნაცვლად უფლებამონაცვლის -საქარ-

თველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მითითებისა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე მიუთითა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება ნაწილობრივ აღსაშრულებელი იყო. ამასთან, არ იყო ნათელი, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სალიკვიდაციო კომისიის უფლებამონაცვლეს გადაწყვეტილების აღსრულებელ ნაწილში წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ასევე არ დასტურდებოდა, რომ უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი დოკუმენტი შედგენილი იყო სათანადო უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განჩინებაზე ა. ხ-ანმა კერძო საჩივარი წარადგინა, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებით ა. ხ-ანის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე მიუთითა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება ნაწილობრივ აღსრულებული იყო, კერძოდ, ა. ხ-ანს აუნაზღაურდა შრომისუუნარობის ნაწილობრივ დაკარგვის გამო, ერთი წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით ერთჯერადი დახმარების თანხა - 8256 ლარი და ყოველთვიური თანხა - 688 ლარი 2002 წლის თებერვლიდან 2006 წლის ოქტომბრამდე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკისრებულ დანარჩენ ასანაზღაურებელ თანხაზე უფლებამოსილ სუბიექტთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ "ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის #872 განკარგულებით შეიქმნა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია. აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მიმდინარეობის პერიოდში "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო. აღნიშნული მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ. აღნიშნულ კანონში 2004 წლის 24 ივნისის #195-ის კანონით განხორციელებული ცვლილებების თანახმად კი საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციის გამო, მისი უფლებამოსილებანი გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: ვინაიდან საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია საბოლოოდ დასრულდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს #428 განკარგულებით, შესაბამისად საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის დასრულებამდე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ა. ხ-ანისათვის დანიშნული ყოველთვიური სარჩოს გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. რაც შეეხება შემდეგი პერიოდის ასანაზღაურებელ თანხაზე უფლებამოსილ სუბიექტს, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე უნდა გამოეკვლია, ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ ა. ხ-ანისათვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცემის ფარგლებში, "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილების მე-2 მუხლის გათვალისწინებით, ვინ წარმოადგენდა ხსენებული ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურებაზე უფლებამოსილ სუბიექტს.

თბილისის სააპლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის განჩინებით ა. ხ-ანის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ა. ხ-ანისათვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს (688 ლარი) გაცემის ნაწილში ლიკვიდირებული საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის უფლებამოსილებით 2006 წლის 1 ნოემბრიდან 2007 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით დადგენილ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და დადგინდა სააღსრულებო ფურცლის გაცემის ვალდებულება.

სააპლაციო სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინების განმარტების საფუძველზე აღნიშნა, რომ ვინაიდან საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია საბოლოოდ დასრულდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს #428 განკარგულებით, შესაბამისად საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის დასრულებამდე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ა. ხ-ანისათვის დანიშნული ყოველთვიური სარჩოს გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

სააპლაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპლაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება 2002 წლის თებერვლიდან 2006 წლის ოქტომბრამდე აღსრულებული იყო. ამდენად, 2006 წლის ნოემბრიდან 2007 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით ა. ხ-ანისათვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს (688 ლარს) გაცემის ვალდებულება ეკისრებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. ამასთან, სააპლაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, ლიკვიდირებული საწარმოს მუშაკებზე ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურებაზე უფლებამოსილ სუბიექტს 2007 წლის 1 მარტამდე წარმოადგენდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ამჟამად -სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო), რომელსაც 2007 წლის 18 აგვისტოს შემდგომ პერიოდში ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება აღარ გააჩნდა. ამდენად მითითებულ პერიოდში ეს უკანასკნელი არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული ლიკვიდირებული საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის უფლებამოსილებით.

თბილისის სააპლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის განჩინებაზე ა. ხ-ანმა კერძო საჩივარი წარადგინა, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მას სარჩო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დანიშნული ჰქონდა სამისდღეშიოდ და სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, არსებითად ემსჯელა, თუ რა პერიოდით უნდა ყოფილიყო გადახდილი ხსენებული სარჩო, რომლის გაცემაზე უფლებამოსილ სუბიექტს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოადგენდა.

თბილისის სააპლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის განჩინებაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომაც წარადგინა კერძო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა უკანონოდ მიიჩნია გასაჩივრებული განჩინება და აღნიშნა, რომ სააპლაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 29 ივნისის #279 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დებულება. აღნიშნული დებულების თანახმად, სამინისტროს სისტემაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 იანვრის #1 ბრძანებულების მე-2 პუნქტის შესაბამისად ლიკვიდირებულ იქნა და "საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიისა. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა დაეფარა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახი-

რებულ, მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებისა და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხების გადახდა. ამასთან, აღნიშნული ზიანის ანაზღაურება უნდა განხორციელდებოდეს "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების თანახმად. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, თუ იარსებებდა ზემოაღნიშნული გარემოებები, მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იქნებოდა ვალდებული, უზრუნველყო ამ სახის ზიანის ანაზღაურება.

კერძო საჩივრის ავტორმა ასევე მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია და არა რეორგანიზაცია, ამდენად, მას სამართალმემკვიდრე, უფლებამონაცვლე პირი არ დარჩენია. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორმა უსაფუძვლოდ მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის სააღსრულებო ფურცელში მითითებული ყოფილიყო, როგორც საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის უფლებამონაცვლე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ოქტომბრის განჩინებებით ა. ხ-ანისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კერძო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა ა. ხ-ანისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კერძო საჩივრებისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებაში მითითებული გარემოებები იმის თაობაზე, რომ "ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის #872 განკარგულებით შეიქმნა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია. აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მიმდინარეობის პერიოდში "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო. აღნიშნული მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ. აღნიშნულ კანონში 2004 წლის 24 ივნისის #195-რს კანონით განხორციელებული ცვლილებების თანახმად კი საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციის გამო, მისი უფლებამოსილებანი გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი "შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის

ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილება, რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდებოდა დანიშნული "ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს" გაცემის ვალდებულება, ხოლო ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი სსიპ -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა ძველი წესით დანიშნულ სარჩოზე არსებული დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე. "საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის #872 განკარგულება, რომლითაც შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა "საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს #428 განკარგულებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ ვინაიდან საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია საბოლოოდ დასრულდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს #428 განკარგულებით, შესაბამისად საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ფუნქციონირების დასრულებამდე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ა. ხ-ანისათვის დანიშნული ყოველთვიური სარჩოს გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზეც, რომ, ვინაიდან თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება 2002 წლის თებერვლიდან 2006 წლის ოქტომბრამდე აღსრულებული იყო, 2006 წლის ნოემბრის თვიდან 2007 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით ა. ხ-ანისათვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს (688 ლარის) გაცემის ვალდებულება ეკისრებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, ლიკვიდირებული საწარმოს მუშაკებზე ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურებაზე უფლებამოსილ სუბიექტს 2007 წლის 1 მარტამდე წარმოადგენდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ამჟამად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო), რომელსაც 2007 წლის 18 აგვისტოს შემდგომ პერიოდში ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება აღარ გააჩნდა, მითითებულ პერიოდში ეს უკანასკნელი არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული ლიკვიდირებული საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის უფლებამონაცვლედ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტების საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა სარჩელი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა შეიტანოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ 2007 წლის 18 აგვისტოს შემდგომ პერიოდში ა. ხ-ანისათვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს (688 ლარის) გაცემაზე ვალდებული პირის დადგენის მიზნით კრედიტორს შეუძლია მიმართოს სარჩელით შესაბამის სასამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. ხ-ანისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კერძო საჩივრები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ხ-ანისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.